ბიოლოგიური მედიცინისა და
ჰომოტოქსიკოლოგიის საზოგადოება

ჰომოტოქსიკოლოგია და ანტიჰომოტოქსიკური თერაპია

მეოთხე განახლებული გამოცემა

თბილისი
2005

ჰომოტოქსიკოლოგიის მოკლე კურსში განხილულია ბიოლოგიური მედიცინის ერთ-ერთი ძირითადი მიმართულების - ჰომოტოქსიკოლოგიის საფუძვლები, რაც თანამედროვე ჯანდაცვის სისტემაში უსაფრთხო და ეფექტური საკურნალწამლო საშუალებებისა და მეთოდების დანერგვას ემსახურება; კრებულში მოცემულია, აგრეთვე, ანტიჰომოტოქსიკური თერაპიის პრინციპული სქემის კლინიკური გამოყენების თეორია.

წიგნში შესულია საქართველოს ჯანმრთელობის სამინისტროს მიერ რეგისტრირებული და საქართველოს ტერიტორიაზე მოხმარებისთვის დაშვებული ფირმა Heel-ის ანტიჰომოტოქსიკური პრეპარატების ნუსხა დაყალებათა სამინათვალთან ერთად, რომელთა საკურნალოდაც გამოიყენება ეს პრეპარატები.

წარმოდგენილი მასალა ფარმაცევტებისათვის, სხვადასხვა სპეციალობის ექიმებისათვის, ასევე, სამედიცინო და ბიოლოგიური ფაკულტეტის სტუდენტებისა და პომეოპათიით დაინტერესებულ პირებისათვის, სასარგებლო სახელმძღვანელოს წარმოადგენს და დიდ დახმარებას გაუწევს მათ პაციენტების მკურნალობის საქმეში.

რედაქტორი თ. ტერუნაშვილი
შემდგენელი: მ. ჩახნაშვილი
მთარგმნელი: ა. ქავთარაძე
კომპიუტერული უზრუნველყოფა: თ. გიორგობიანი,
გ. ბასილია
კორექტორი: ც. მჭედლიშვილი

© "ნატუროპათი", 2005 წ.

ISBN 99928-920-1-3

ჰომოტოქსიკოლოგიის ფუძემდებელია, ექიმია და მეცნიერია ჰანს ჰაინრიხ რეკეგეგა (1905-1985) „ბატონია მელიკა“ და ჰომოტოქსიკოლოგიის სახელმძღვანელო პირველად 50 წლის წინ გამოსცა.

ბატონი ჰერ კაელე მაშინ შეეცადა სამუდამო ანესთეზიის პომეოპათიური მკურნალობის იდეა თანამედროვე მეცნიერებაში ჯადოსიტყვა, მაგრამ ეს პომეოპათიის საფუძველების მეცნიერულ დასაბუთებაში უნდა მიმხვრიყო.

ის ფაქტი, რომ ჰომოტოქსიკოლოგია მეცნიერულად კვლევად თანამედროვე სწავლებაა დაფუძნებული და ჰომეოპათიური საშუალებების მოქმედების მიღების შესახებ, შემდგომში მრავალი კვლევით დასტურდა.

დღესათვის **Ordinatio Antihomotoxica** თარგმნილია მსოფლიოს მრავალ ენაზე. მასში თავმოყრილია ჰომოტოქსიკოლოგიის ყველაზე მნიშვნელოვანი ასპექტები და ყველაზე ხშირი პრაქტიკული სამყაროს სპირალებლი სახელმძღვანელოს წარმოადგენს, რომელიც სწრაფ და საიმედო ინფორმაციას შეიცავს.

დოქტორება ჰანს ჰაინრიხ რეკეგეგა **Ordinatio Antihomotoxica**-ს პირველ გამოცემებს წინასიტყვაობა დაწერილი შემდეგი სიტყვებით: - "დღე ამ ნაშრომმა მკურნალობის თანამედროვე და მეცნიერულად დასაბუთებული მეთოდის ნათელი რწმენა და მიმართულება მოგცეთ."

მოხარული ვარ, რომ ქართულ საშუალებებს საზოგადოების საშუალება აქვს გაეცნოს ანგარიშგებულ პირადობის საკუთრებს. ჯე ამ ნაშრომიდან დასაწყისი მიგვანიშნებს, საეთილოდ, რომ ძირისეული მეთოდი მიგვაჩნია დოქტორ ჰანს ჰაინრიხ რეკეგეგის ანდერძს. სატოქსიკოლოგიო ისე დაუცალებელად მოქმედებს ნაკლებად შავნე მეცნიერული ოპერაციებისაგან (ეროზიული მეცნიერების საშუალებით). ეს იდეა ძირითადი ცნება ცნება იყოს პაციენტების მკურნალობისას.

ვფიქრობთ, რომ ამ წიგნმა საქართველოში მრავალი მეგობარი შეიძინოს და ყოველდღიურ პრაქტიკაში.

ჰომოტოქსიკოლოგიის საერთაშორისო
საზოგადოების ფიცე-პრეზიდენტი
მეცნიერების დოქტორი,
გერნერ ფრანც



მე მეღიცინისათვის ვწერ რაღაც სრულიად არა-ჩვეულებრივს, ახალს. მრავალი წელი გაივლის, ვიდრე ეს ყველას მიერ იქნება აღიარებული და შეფასებული.

ჰანს ჰაინრიხ რეკეველი

თავი I

ჰომოტოქსიკოლოგია

1. ჰომოტოქსიკოლოგიის საფუძვლები

ჰომოტოქსიკოლოგია ორი სიტყვის კომპოზიტია და ნიშნავს **სწავლებას ჰომოტოქსინების შესახებ.** იგი სამედიცინო აზროვნების ერთ-ერთი უახლესი მიმართულებაა და დაავადებათა მკურნალობაში თანამედროვე მედიცინის მიღწევებისა და ჰომეოპათიური მიდგომის სინთეზს წარმოადგენს.

ორგანიზმის ცხოველმყოფელობა დამოკიდებულია მასში მიმდინარე ქიმიურ შენაერთთა გარდაქმნის პროცესებზე. ამგვარად, ქიმიურ ნივთიერებებს, ორგანიზმის ჯანმრთელი და დაავადებული მდგომარეობის განსაზღვრისას, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს.

ორგანიზმი წარმოადგენს თხევად სისტემას. ნივთიერება, ხვდება რა ორგანიზმში, ახდენს მასზე ზემოქმედებას, თვითონაც გარდაიქმნება და გამოიდევნება გარეთ. ეს პროცესი მუდმივად მიმდინარეობს. ამ ნივთიერებებს ჰ.ჰ. რეკევეგმა ადაპტაციის ტოქსინები, ანუ **ჰომოტოქსინები** უწოდა. ზოგიერთი ტოქსიკური ნივთიერება, ორგანიზმში მოხვედრისას, მონაწილეობს ორგანიზმის ცხოველმყოფელობაში და იწვევს საპასუხო იმუნურ რეაქციებს დამცველობითი სისტემის მხრიდან, რომელიც ჰ.ჰ. რეკევეგმა განსაზღვრა როგორც დაავადება. ამგვარად, **დაავადება არის ორგანიზმის ბიოლოგიურად მიზანდასახული დაცვითი რეაქცია ჰომოტოქსინების წინააღმდეგ და მისი მაკომპენსირებელი ქმედება ჰომოტოქსიკოზებზე.** ეს პროცესები ორგანიზმში წონასწორობის "არასტაბილურ" მდგომარეობას ინარჩუნებს, რომელიც მთლიანობაში შეფასდა ტერმინით "ჯანმრთელობა".

1.1 ჰომოტოქსიკოლოგიის ძირითადი პრინციპები

მკურნალობის არჩევისას კლასიკური ჰომეოპათია, სამუელ ჰანემანის მიხედვით (1811) პრეპარატთა ე.წ. სურათის ეყრდნობა, ანუ დაავადებები ისეთივე სიმპტომებს იძლევა, როგორც საცდელ ჯანმრთელ პირებს უვითარდებათ საწყისი ტინქტურის ან პოტენციის გადაჭარბებული მიღების შემდეგ. აქედან გამომდინარე, მოქმედების პრინციპი simile წესს წარმოადგენს (similia similibus curentur - მსგავსი მსგავსით იკურნება). ჰომეოპათიურ პრერარატს ცალკეულ პაციენტში გამოვლენილი დაავადების სურათის მსგავსი სნეულების

ხელოვნურად გამოწვევაა შეუძლია.

ჰომეოპათიური პრინციპით მკურნალობის პრაქტიკული გამოყენებისას თავისთავად გაირკვა, რომ ძალიან ძლიერი ან შხამიანი პირველადი ტინქტურების მიღებამ ავადმყოფს შეიძლება ავნოს, ამიტომ ისინი გამოყენებული უნდა იქნეს მხოლოდ ჰომეოპათიურად განზავებული და პოტენცირებული სახით. ეს პრაქტიკა მეცნიერულად დადასტურებული იქნა რუდოლფ არნდტისა (ფსიქიატრი, 1835-1900) და ჰუგო შულცის (ფარმაკოლოგი, 1853-1932) მიერ ბიოსისტემებზე სამკურნალო საშუალებათა ზემოქმედების რაოდენობრივი დოზირებაციით და ატარებს **არნდტ-შულცის წესის** სახელს (**ძირითადი ბიოლოგიური კანონი**), რომელიც ნიშნავს:

სუსტი გაღიზიანება სასიცოცხლო ფუნქციას ასტიმულირებს (ჰომეოპათიური პრეპარატების უკუ ეფექტი);

საშუალო ძალის გაღიზიანება ნეიტრალურად მოქმედებს;

ძლიერი გაღიზიანება შემაფერხებლად მოქმედებს სასიცოცხლო ფუნქციაზე.

კლასიკური ჰომეოპათია ემყარება ცალკეული ნივთიერებების გამოყენებას, რომლებიც ნაწილობრივ მარტივი ნივთიერებებია (მაგ., გოგირდი, ცერცხლისწყალი, დარიშხანი და სხვ.), ძირითადად კი მცენარეებიდან გამონაწურილი მრავალრიცხოვანი ნაერთების ნარევს წარმოადგენს. რეპერტორიუმები (სამკურნალო საშუალებების სურათთა ჩამონათვალი) ჰომეოპათს ღაავადების ინდივიდუალური სურათის გარკვევაში ეხმარება, მაგრამ ეს არც თუ ისე ადვილია, თუ გავითვალისწინებთ ორგანიზმში შემოსული ტოქსინების რაოდენობას და იმას თუ რამდენად სხვადასხვაგვარია მოცემული ინტოქსიკაციის გამოვლინებები.

ხშირად იქმნება ისეთი აუცილებლობა, რომელიც მოითხოვს რამდენიმე პრეპარატის ერთად დანიშვნას, რომელთა მოქმედება სინერგიულად ავსებს ერთმანეთს. ამ შემთხვევაში შესაძლებელია კომპლექსური პრეპარატების გამოყენება, რომლებიც აუცილებელი კომპონენტების მაქსიმალურ რაოდენობას შეიცავს. ასეთია ანტიჰომოტოქსიკური პრეპარატები; ისინი წარმოადგენს მრავალწლიანი რეპერტორიზაციის შედეგად მიღებულ მზა რეცეპტურებს; მათი გამოყენება ამცირებს შესაბამისი მსგავსი (Simile) პრეპარატის შერჩევის დროს და ხშირად გამოიყენება ოფიციალურად დამტკიცებული ჩვენების მიხედვით.

ანტიჰომოტოქსიკურ მედიცინაში უპირატესად ჩვენებათა მიხედვით მოქმედებენ (ობიექტური სიმპტომებით ორიენტირება). ანტიჰომოტოქსიკური პრეპარატები მეტწილად დაბალი და საშუალო პოტენციის მქონე ნივთიერებათა ნარევს წარმოადგენს.

ჰომოტოქსიკოლოგია ჰანს ჰაინრიხ რეკევეგის თეორიის მიხედვით იქნა დაფუძნებული (რეკევეგი, 1976): "ჰომოტოქსინების შესახებ მოძღვრების მიხედვით, ყველა ის მოვლენა, რომელთაც დაავადებებს ვუწოდებთ იმის დასტურია, რომ ორგანიზმი ცდილობს შხამების გაუვნებელყოფასა და განდევნას და ეს ბრძოლა მისი გამარჯვებით ან დამარცხებით სრულდება. მაგრამ ყოველთვის, ამ გამოვლინებებისას, რომელსაც ჩვენ დაავადებებს ვუწოდებთ, საქმე მიდის ბიოლოგიურ, ანუ ბუნებრივ მიზანდასახულ ცვლილებებამდე, რომელიც შხამებისაგან დაცვასა და დეზინტოქსიკაციას ემსახურება."

ანტიჰომოტოქსიკური თერაპიის მიზანს ორგანიზმში დარღვეული წონასწორობის აღდგენა წარმოადგენს. ეს უნდა მოხდეს, უპირველეს ყოვლისა პროფილაქტიკური ღონისძიებების გატარებით - ორგანიზმისთვის არასასურველი ნივთიერების შემოსვლის თავიდან აცილებით (ანტიჰომოტოქსიკური თერაპიის პირველი და ერთ-ერთი ძირითადი პრინციპი). უკვე არსებულის ელიმინაციისთვის კი ორგანიზმის სადრენაჟო და სადეზინტოქსიკაციო ფუნქციების და ასევე მეტაბოლიზმის გააქტიურებაა აუცილებელი (მეორე პრინციპი).

1.2 ჰომოტოქსინები

ორგანიზმის მიერ აუთვისებელი ნივთიერებები, რომლებიც არ ექვემდებარება გადამუშავებას, რეკევეგმა ჰომოტოქსინების ცნებით გააერთიანა (რეკევეგი, 1957).

ტოქსიკურ ნითვიერებებს, რომლებიც იწვევს ადამიანის ორგანიზმის დამცველობითი სისტემის უკუქმედებას და დაავადების სხვადასხვა ფაზებს, ეწოდება ჰომოტოქსინები. ისინი ყველა ცოცხალ ორგანიზმზე ერთნაირად არ მოქმედებს. ჰომოტოქსინები შეიძლება გარედან მოხვდეს ორგანიზმში (ეგზოგენური ჰომოტოქსინები) ან ორგანიზმშივე წარმოიქმნას ფიზიოლოგიური და პათოლოგიური რეაქციების შედეგად

(ენდოგენური ჰომოტოქსინები). ცხოვრების ყველა სფეროში ხელოვნური. ორგანული შენაერთების გამოყენების ზრდასთან ერთად მატულობს ჰომოტოქსინთა ზეგავლენაც.

ორგანიზმის უჯრედზე ან ქსოვილზე ჰომოტოქსინის ზემოქმედების შემდეგ წარმოშობილ პათოფიზიოლოგიურ მდგომარეობას ჰომოტოქსიკოზი ეწოდება.

ტოქსინები უნდა გამოიდევნოს ორგანიზმიდან, წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი ინტოქსიკაციის მიზეზი ხდება. არსებობს ქრონიკული და მწვავე ინტოქსიკაციები. მწვავე ინტოქსიკაციის მძიმე შემთხვევამ შეიძლება გამოიწვიოს სიკვდილი, ხოლო მცირე დოზებით ინტოქსიკაციამ - მწვავე დაავადება ტიპური სიმპტომატიკით, რომელიც კლინიკური გამოკვლევის შედეგად ვლინდება. ორგანიზმში ჰომოტოქსინების ხანგრძლივი შეღწევისას წარმოიშვება ქრონიკული დაავადება თავისი სიმპტომატიკით. ყველა ეს სიმპტომი შეიძლება განვიხილოთ დაავადების 6 ფაზიან ცხრილში.

1.3 მოკლე ისტორია ფაზების შესახებ, ბიოლოგიური ბარიერი

ჯერ კიდევ გასულ საუკუნეებში ცნობილი იყო, რომ დაავადებები დინამიურ პროცესს წარმოადგენს და განსაკუთრებული კანონზომიერების თანახმად მიმდინარეობს. კონსტანტინ ჰერინგმა (1800-1880) ჩამოაყალიბა კანონი, რომლის მიხედვითაც მდგომარეობის გაუარესება ყოველთვის მიმდინარეობს გარედან შიგნით და შედარებით უმნიშვნელო ორგანოდან უფრო მნიშვნელოვანი ორგანოსკენ.

ჰ.ჰ. რეკევეგმა განაყრცო ჰერინგის კანონი და შექმნა ჰომოტოქსიკოზების შემცველი ერთიანი სისტემა. მისი განვითარების კანონზომიერება მან წარმოგვიდგინა ცხრილში 6 ფაზით. (სურ.1).

ზემოთქმულიდან გამომდინარე, **ჰომოტოქსიკოზები ჰ.ჰ. რეკევეგის მიერ დაიყო ექვს სხვადასხვა ფაზად (ე.ი. დაავადებებად, რომლებიც ხასიათდება ორგანიზმის დამცველობითი სისტემის სხვადასხვა რეაქციით ტოქსინების ზემოქმედებაზე).** პირველი სამი ფაზის განმავლობაში ორგანიზმი თვითონ უმკლავდება ჰომოტოქსინებს და გამოდევნის გარეთ. ამ დროს ორგანიზმის უჯრედები და ორგანოები ჯერ კიდევ არ არის დაზიანებული.

სურ.1

პოზიტრონული ტომოგრაფია (შემდგომში ტომოგრაფია)

ორგანოთა სისტემები	ცენტრალური ფაზები		პერიფერიული ფაზები			ვეგეტაციური ფაზები	
	ქერქისეული ფაზა	ანთების ფაზა	დეგენერაციის ფაზა		ობსტრუქციის ფაზა	დეფიციტური ფაზა	დეფიციტური ფაზა
ტანი	თავბრუხვევა	ვეგეტაციური ნორმა	პოლიმორფული ნორმა	ა	ნორმა	ხანგრძლივობა	ქრონიზმი
ნერვული სისტემა	ცენტრალური პარეზები	ცენტრალური პარეზები	ცენტრალური პარეზები	ბ	შიგნით	ვეგეტაციური ნორმა	ფსიქოზური ტიპის
ბენსონული სისტემა	ცენტრალური ტიპის ნეიროლეპტიკური სინდრომი	ჰიპერკინეზი, ჰიპერტონია	ჰიპერკინეზი, ჰიპერტონია	გ	ნორმალური ტიპის ნეიროლეპტიკური სინდრომი	მეტაბოლური ნორმა	ნორმალური ტიპის ნეიროლეპტიკური სინდრომი
სისხლძარღვთა სისტემა	ტაქიკარდია, ჰიპერტენზია	ტაქიკარდია	ტაქიკარდია	დ	ჰიპერტენზია	სისხლძარღვთა ტონუსის ნორმა	სისხლძარღვთა ტონუსის ნორმა
ბენსონ-სისხლძარღვთა სისტემა	ბენსონის ფენომენი, ბენსონის ნიშანი	ბენსონის ფენომენი, ბენსონის ნიშანი	ბ ი ლ	ე	ბენსონის ფენომენი	ბენსონის ფენომენი	ბენსონის ფენომენი
სასუნთქი სისტემა	ბრონქოსპაზმი, ბრონქოსპაზმური ასთმა	ბრონქოსპაზმი, ბრონქოსპაზმური ასთმა	ბრონქოსპაზმი, ბრონქოსპაზმური ასთმა	ვ	ბრონქოსპაზმი, ბრონქოსპაზმური ასთმა	ბრონქოსპაზმი, ბრონქოსპაზმური ასთმა	ბრონქოსპაზმი, ბრონქოსპაზმური ასთმა
საჭმლის მონელებელი სისტემა	ნაწლავური ტიპის ნეიროლეპტიკური სინდრომი	ნაწლავური ტიპის ნეიროლეპტიკური სინდრომი	ნაწლავური ტიპის ნეიროლეპტიკური სინდრომი	ზ	ნაწლავური ტიპის ნეიროლეპტიკური სინდრომი	ნაწლავური ტიპის ნეიროლეპტიკური სინდრომი	ნაწლავური ტიპის ნეიროლეპტიკური სინდრომი
შარდ-სასქესო სისტემა	ნაწლავური ტიპის ნეიროლეპტიკური სინდრომი	ნაწლავური ტიპის ნეიროლეპტიკური სინდრომი	ნაწლავური ტიპის ნეიროლეპტიკური სინდრომი	თ	ნაწლავური ტიპის ნეიროლეპტიკური სინდრომი	ნაწლავური ტიპის ნეიროლეპტიკური სინდრომი	ნაწლავური ტიპის ნეიროლეპტიკური სინდრომი
სხვადასხვა	ნაწლავური ტიპის ნეიროლეპტიკური სინდრომი	ნაწლავური ტიპის ნეიროლეპტიკური სინდრომი	ნაწლავური ტიპის ნეიროლეპტიკური სინდრომი	ი	ნაწლავური ტიპის ნეიროლეპტიკური სინდრომი	ნაწლავური ტიპის ნეიროლეპტიკური სინდრომი	ნაწლავური ტიპის ნეიროლეპტიკური სინდრომი
ლაბორატორიული მაჩვენებლები	ნაწლავური ტიპის ნეიროლეპტიკური სინდრომი	ნაწლავური ტიპის ნეიროლეპტიკური სინდრომი	ნაწლავური ტიპის ნეიროლეპტიკური სინდრომი	კ	ნაწლავური ტიპის ნეიროლეპტიკური სინდრომი	ნაწლავური ტიპის ნეიროლეპტიკური სინდრომი	ნაწლავური ტიპის ნეიროლეპტიკური სინდრომი
ნაწლავური ტიპის ნეიროლეპტიკური სინდრომი	ნაწლავური ტიპის ნეიროლეპტიკური სინდრომი	ნაწლავური ტიპის ნეიროლეპტიკური სინდრომი	ნაწლავური ტიპის ნეიროლეპტიკური სინდრომი	ლ	ნაწლავური ტიპის ნეიროლეპტიკური სინდრომი	ნაწლავური ტიპის ნეიროლეპტიკური სინდრომი	ნაწლავური ტიპის ნეიროლეპტიკური სინდრომი
პოზიტრონული ტომოგრაფია	ნაწლავური ტიპის ნეიროლეპტიკური სინდრომი	ნაწლავური ტიპის ნეიროლეპტიკური სინდრომი	ნაწლავური ტიპის ნეიროლეპტიკური სინდრომი	მ	ნაწლავური ტიპის ნეიროლეპტიკური სინდრომი	ნაწლავური ტიპის ნეიროლეპტიკური სინდრომი	ნაწლავური ტიპის ნეიროლეპტიკური სინდრომი
	ნაწლავური ტიპის ნეიროლეპტიკური სინდრომი	ნაწლავური ტიპის ნეიროლეპტიკური სინდრომი	ნაწლავური ტიპის ნეიროლეპტიკური სინდრომი	ნ	ნაწლავური ტიპის ნეიროლეპტიკური სინდრომი	ნაწლავური ტიპის ნეიროლეპტიკური სინდრომი	ნაწლავური ტიპის ნეიროლეპტიკური სინდრომი
	ნაწლავური ტიპის ნეიროლეპტიკური სინდრომი	ნაწლავური ტიპის ნეიროლეპტიკური სინდრომი	ნაწლავური ტიპის ნეიროლეპტიკური სინდრომი	ო	ნაწლავური ტიპის ნეიროლეპტიკური სინდრომი	ნაწლავური ტიპის ნეიროლეპტიკური სინდრომი	ნაწლავური ტიპის ნეიროლეპტიკური სინდრომი
	ნაწლავური ტიპის ნეიროლეპტიკური სინდრომი	ნაწლავური ტიპის ნეიროლეპტიკური სინდრომი	ნაწლავური ტიპის ნეიროლეპტიკური სინდრომი	პ	ნაწლავური ტიპის ნეიროლეპტიკური სინდრომი	ნაწლავური ტიპის ნეიროლეპტიკური სინდრომი	ნაწლავური ტიპის ნეიროლეპტიკური სინდრომი
	ნაწლავური ტიპის ნეიროლეპტიკური სინდრომი	ნაწლავური ტიპის ნეიროლეპტიკური სინდრომი	ნაწლავური ტიპის ნეიროლეპტიკური სინდრომი	ჟ	ნაწლავური ტიპის ნეიროლეპტიკური სინდრომი	ნაწლავური ტიპის ნეიროლეპტიკური სინდრომი	ნაწლავური ტიპის ნეიროლეპტიკური სინდრომი
	ნაწლავური ტიპის ნეიროლეპტიკური სინდრომი	ნაწლავური ტიპის ნეიროლეპტიკური სინდრომი	ნაწლავური ტიპის ნეიროლეპტიკური სინდრომი	რ	ნაწლავური ტიპის ნეიროლეპტიკური სინდრომი	ნაწლავური ტიპის ნეიროლეპტიკური სინდრომი	ნაწლავური ტიპის ნეიროლეპტიკური სინდრომი
	ნაწლავური ტიპის ნეიროლეპტიკური სინდრომი	ნაწლავური ტიპის ნეიროლეპტიკური სინდრომი	ნაწლავური ტიპის ნეიროლეპტიკური სინდრომი	ს	ნაწლავური ტიპის ნეიროლეპტიკური სინდრომი	ნაწლავური ტიპის ნეიროლეპტიკური სინდრომი	ნაწლავური ტიპის ნეიროლეპტიკური სინდრომი
	ნაწლავური ტიპის ნეიროლეპტიკური სინდრომი	ნაწლავური ტიპის ნეიროლეპტიკური სინდრომი	ნაწლავური ტიპის ნეიროლეპტიკური სინდრომი	ტ	ნაწლავური ტიპის ნეიროლეპტიკური სინდრომი	ნაწლავური ტიპის ნეიროლეპტიკური სინდრომი	ნაწლავური ტიპის ნეიროლეპტიკური სინდრომი
	ნაწლავური ტიპის ნეიროლეპტიკური სინდრომი	ნაწლავური ტიპის ნეიროლეპტიკური სინდრომი	ნაწლავური ტიპის ნეიროლეპტიკური სინდრომი	უ	ნაწლავური ტიპის ნეიროლეპტიკური სინდრომი	ნაწლავური ტიპის ნეიროლეპტიკური სინდრომი	ნაწლავური ტიპის ნეიროლეპტიკური სინდრომი
	ნაწლავური ტიპის ნეიროლეპტიკური სინდრომი	ნაწლავური ტიპის ნეიროლეპტიკური სინდრომი	ნაწლავური ტიპის ნეიროლეპტიკური სინდრომი	ფ	ნაწლავური ტიპის ნეიროლეპტიკური სინდრომი	ნაწლავური ტიპის ნეიროლეპტიკური სინდრომი	ნაწლავური ტიპის ნეიროლეპტიკური სინდრომი
	ნაწლავური ტიპის ნეიროლეპტიკური სინდრომი	ნაწლავური ტიპის ნეიროლეპტიკური სინდრომი	ნაწლავური ტიპის ნეიროლეპტიკური სინდრომი	ქ	ნაწლავური ტიპის ნეიროლეპტიკური სინდრომი	ნაწლავური ტიპის ნეიროლეპტიკური სინდრომი	ნაწლავური ტიპის ნეიროლეპტიკური სინდრომი
	ნაწლავური ტიპის ნეიროლეპტიკური სინდრომი	ნაწლავური ტიპის ნეიროლეპტიკური სინდრომი	ნაწლავური ტიპის ნეიროლეპტიკური სინდრომი	ღ	ნაწლავური ტიპის ნეიროლეპტიკური სინდრომი	ნაწლავური ტიპის ნეიროლეპტიკური სინდრომი	ნაწლავური ტიპის ნეიროლეპტიკური სინდრომი
	ნაწლავური ტიპის ნეიროლეპტიკური სინდრომი	ნაწლავური ტიპის ნეიროლეპტიკური სინდრომი	ნაწლავური ტიპის ნეიროლეპტიკური სინდრომი	ყ	ნაწლავური ტიპის ნეიროლეპტიკური სინდრომი	ნაწლავური ტიპის ნეიროლეპტიკური სინდრომი	ნაწლავური ტიპის ნეიროლეპტიკური სინდრომი
	ნაწლავური ტიპის ნეიროლეპტიკური სინდრომი	ნაწლავური ტიპის ნეიროლეპტიკური სინდრომი	ნაწლავური ტიპის ნეიროლეპტიკური სინდრომი	შ	ნაწლავური ტიპის ნეიროლეპტიკური სინდრომი	ნაწლავური ტიპის ნეიროლეპტიკური სინდრომი	ნაწლავური ტიპის ნეიროლეპტიკური სინდრომი
	ნაწლავური ტიპის ნეიროლეპტიკური სინდრომი	ნაწლავური ტიპის ნეიროლეპტიკური სინდრომი	ნაწლავური ტიპის ნეიროლეპტიკური სინდრომი	ჩ	ნაწლავური ტიპის ნეიროლეპტიკური სინდრომი	ნაწლავური ტიპის ნეიროლეპტიკური სინდრომი	ნაწლავური ტიპის ნეიროლეპტიკური სინდრომი
	ნაწლავური ტიპის ნეიროლეპტიკური სინდრომი	ნაწლავური ტიპის ნეიროლეპტიკური სინდრომი	ნაწლავური ტიპის ნეიროლეპტიკური სინდრომი	ც	ნაწლავური ტიპის ნეიროლეპტიკური სინდრომი	ნაწლავური ტიპის ნეიროლეპტიკური სინდრომი	ნაწლავური ტიპის ნეიროლეპტიკური სინდრომი
	ნაწლავური ტიპის ნეიროლეპტიკური სინდრომი	ნაწლავური ტიპის ნეიროლეპტიკური სინდრომი	ნაწლავური ტიპის ნეიროლეპტიკური სინდრომი	ძ	ნაწლავური ტიპის ნეიროლეპტიკური სინდრომი	ნაწლავური ტიპის ნეიროლეპტიკური სინდრომი	ნაწლავური ტიპის ნეიროლეპტიკური სინდრომი
	ნაწლავური ტიპის ნეიროლეპტიკური სინდრომი	ნაწლავური ტიპის ნეიროლეპტიკური სინდრომი	ნაწლავური ტიპის ნეიროლეპტიკური სინდრომი	წ	ნაწლავური ტიპის ნეიროლეპტიკური სინდრომი	ნაწლავური ტიპის ნეიროლეპტიკური სინდრომი	ნაწლავური ტიპის ნეიროლეპტიკური სინდრომი
	ნაწლავური ტიპის ნეიროლეპტიკური სინდრომი	ნაწლავური ტიპის ნეიროლეპტიკური სინდრომი	ნაწლავური ტიპის ნეიროლეპტიკური სინდრომი	ჭ	ნაწლავური ტიპის ნეიროლეპტიკური სინდრომი	ნაწლავური ტიპის ნეიროლეპტიკური სინდრომი	ნაწლავური ტიპის ნეიროლეპტიკური სინდრომი
	ნაწლავური ტიპის ნეიროლეპტიკური სინდრომი	ნაწლავური ტიპის ნეიროლეპტიკური სინდრომი	ნაწლავური ტიპის ნეიროლეპტიკური სინდრომი	ხ	ნაწლავური ტიპის ნეიროლეპტიკური სინდრომი	ნაწლავური ტიპის ნეიროლეპტიკური სინდრომი	ნაწლავური ტიპის ნეიროლეპტიკური სინდრომი
	ნაწლავური ტიპის ნეიროლეპტიკური სინდრომი	ნაწლავური ტიპის ნეიროლეპტიკური სინდრომი	ნაწლავური ტიპის ნეიროლეპტიკური სინდრომი	ჯ	ნაწლავური ტიპის ნეიროლეპტიკური სინდრომი	ნაწლავური ტიპის ნეიროლეპტიკური სინდრომი	ნაწლავური ტიპის ნეიროლეპტიკური სინდრომი
	ნაწლავური ტიპის ნეიროლეპტიკური სინდრომი	ნაწლავური ტიპის ნეიროლეპტიკური სინდრომი	ნაწლავური ტიპის ნეიროლეპტიკური სინდრომი	ჰ	ნაწლავური ტიპის ნეიროლეპტიკური სინდრომი	ნაწლავური ტიპის ნეიროლეპტიკური სინდრომი	ნაწლავური ტიპის ნეიროლეპტიკური სინდრომი

ბოლო სამ ფაზაში ორგანიზმი განიცდის ჰომოტოქსინების მზარდ ზეგავლენას. აქ კანხილულია დაავადებები, რომლებიც ყალიბდება ორგანიზმზე უკიდურესად სახიფათო ჰომოტოქსინების (კარცინოტოქსინები, ცხიმის ღამშლელი ორგანული შენაერთები და სხვა) მოქმედების შედეგად და/ან დეზინტოქსიკაციის ბუნებრივი პროცესებისა და ორგანიზმიდან მათი გამოდევნის დათრგუნვის გამო; ამ დროს ხიანდება უჯრედშიგა სტრუქტურები (რეტოქსინების, ფერმენტული ფუნქციის მაბლოკირებელი და სხვა მსგავსი მოქმედების ქიმიური პრეპარატების მეშვეობით). ჰომოტოქსიკოზების ამ ფაზებში გადასვლა შეიძლება მიმდინარეობდეს ლატენტურად და წარმოადგენდეს Locus minoris resistentiae.

ზემოთ მოყვანილი პრინციპი შეიძლება განხილულ იქნეს, როგორც ფუნქციური დაყოფა პუმორულ (1 და 2), მატრიცულ (3 და 4) და უჯრედულ ფაზებად (5 და 6).

მატრიცულ ფაზებს (3 და 4) შორის ბიოლოგიური ბარიერი მდებარეობს. ეს განსაკუთრებით ზრდის მატრიცის, როგორც პუმორულ და უჯრედულ ფაზებს შორის შუამავლის მნიშვნელობას.

ბიოლოგიური ბარიერი ორგანიზმის ზოგადი რეგულაციის იმ საზღვარს წარმოადგენს, რომლის შემდეგაც მოსალოდნელია მისი ქვესისტემების თვითრეგულაციის უნარის მოშლის მზარდი საფრთხე. მაგალითად, რეგულაციური კავშირის დაკარგვა ჰორმონულ ან იმუნურ სისტემებს შორის (ქრონიკული დაავადებები) უჯრედულ ფუნქციათა გახლეჩამდეც კი (მაგალითად, უჯრედთა გენეტიკურად დაპროგრამებული კვდომის შეწყვეტა _ აპოპტოზი სიმსივნეების დროს). ანუ ის წარმოადგენს თავისებურ ათვლის წერტილს, რომლის შემდეგაც უჯრედები კარგავენ თვითრეგულაციის უნარს.

ბიოლოგიური ბარიერი ასევე საჭიროა ანტიჰომოტოქსიკური მედიცინის ვიკარიაციის პრინციპის გასაცნობიერებლად.

1.4. ვიკარიაციის ფენომენი

მრავალი ერთმანეთის გამომწვევი დაავადება წარმოადგენს ორგანიზმის ერთსა და იმავე ჰომოტოქსინებთან ბრძოლის ერთიან პროცესს. ორგანიზმის სხვადასხვა ორგანოს ქსოვილი ჰომოტოქსინების ზემოქმედებაზე სხვადასხვაგვარად რეაგირებს, რაც შეესაბამება დაავადების სიმპტომატიკის ცვლას.

ჰომოტოქსინის ერთი ქსოვილიდან მეორეში გადასვლის პროცესს ვიკარიაციის ეფექტი ანუ ვიკარიაციის ფენომენი ეწოდება. ჰ.ჰ. რეკეეგის მიერ გამოყოფილი იქნა **პროგრესული და რეგრესული ვიკარიაცია.** პროგრესული ვიკარიაციის ქვეშ იგულისხმება ფაზების გადანაცვლება მარცხნიდან მარჯვნივ და ქვემოთ, ანუ ჰუმორალურიდან უჯრედულისკენ - ამას შეესაბამება მდგომარეობის გაუარესება. რეგრესული ვიკარიაცია ხასიათდება უკუსვლით - სადეზინტოქსიკაციო პროცესების აღდგენით; ის ერწყმის ორგანიზმიდან ჰომოტოქსინების გამოდევნის პროცესს და დაავადების სურათის გაუმჯობესებას.

ანტიჰომოტოქსიკურ თერაპიაში ვიკარიაციული პრინციპის შეტანით რეკეეგმა ყურადღება მიაპყრო დაავადების ან გამოჯანმრთელების ყველანაირი პროცესის დინამიკას. დაავადებისა და გამოჯანმრთელების პროცესში ბიოსისტემასა და მავნე ჰომოტოქსინებს შორის ურთიერთდამოკიდებულება მუდმივად იცვლება. ორგანიზმის მიზანმიმართული თვითმარეგულირებელი ძალები ჰომოტოქსიკოზების ექვსფაზიანი ცხრილის მესამე ფაზამდეა შენარჩუნებული. ამის საწინააღმდეგოდ, ბიოლოგიური ბარიერის გადალახვის შემდეგ, მეოთხე ფაზიდან თვითრეგულირება და საკუთარი ძალებით გამოჯანმრთელება პრაქტიკულად შეუძლებელია. ამ შემთხვევაში საჭიროა მედიცინის ჩარევა, რათა გამოჯანმრთელება მაინც იქნეს მიღწეული.

1.5 ანტიჰომოტოქსიკური პრეპარატი

არსებობს ანტიჰომოტოქსიკურ სამკურნალო საშუალებათა 4 ჯგუფი:

კომბინირებული პრეპარატი შეიცავს რამდენიმე პოტენცირებულ ერთეულ ნივთიერებას (ძირითადად დაბლიდან საშუალო პოტენციამდე).

სხვადასხვა ***ჰომეოპათიური ერთეული საშუალებების პოტენციათა ყორდი*** (ატარებს დამატებას "Jnjeel" და "forte") თავის შემადგენლოვაში შეიცავს ძირითადად დაბალ პოტენციას, ხოლო შესაძლებელ პირველად რეაქციათა შესაფერხებლად, დამატებით მაღალ და უმაღლეს პოტენციებს.

ჰომაკორდები იქმნება სხვადასხვა ერთეული ჰომეოპათიური საშუალებების პოტენციების აკორდის კომბინაციით, რომლებიც გაერთიანებულია ერთიან პრეპარატებად.

სხვადასხვა ჰომეოპათიურ ერთეულ საშუალებათა ერთეული პოტენციები.

ოთხივე ჯგუფის პრეპარატები საინექციო ხსნარების, აბების, წვეთების, სანთლებისა და მალამოების სახით არის წარმოდგენილი.

2. ანტიჰომოტოქსიკური თერაპიის მოქმედების მექანიზმები


სასიცოცხლო ფუნქციათა შესანარჩუნებლად ყოველ ორგანოს ესაჭიროება ენერგია, რომელიც ნივთიერებათა ცვლის შედეგად მუდმივად უნდა მიეწოდებოდეს. ამიტომ ენერგეტიკული ცვლის დარღვევა ყოველთვის აზიანებს ენდოგენური გზით რეგულირებად ენერგომომარაგებასაც.

ორგანიზმი ენერგეტიკულად ღია სისტემას წარმოადგენს, რომელიც საჭიროებს შესაფერისი ენერგიის (საკვების სახით) მიწოდებას და არაშესაფერისის გარეთ გამოდევნას. ორგანიზმის ყველა რეაქცია ერთგვაროვან გარემოში დაბალ ტემპერატურაზე მიმდინარეობს, ამიტომ საჭიროა მათი დაჩქარება, ე. ი. კატალიზი.

2.1 ძირითადი რეგულაციის სისტემა, ძირითადი სუბსტანცია

ეფექტური კატალიზის პირობად უჯრედებში და მათ შორის არსებული შესაფერისი სუბსტრატები გვევლინება. უჯრედგარე სივრცე გარს ეკვრის უჯრედებს, ამიტომ ისინი რეაგირებენ ისე, როგორც იქნებიან ინფორმირებული უჯრედგარე სივრცის მეშვეობით. უჯრედგარე სივრცის დინამიკური სტრუქტურა და მისი რეგულირება ("ძირითადი რეგულაცია") უჯრედგარე და უჯრედშიდა კატალიზის ეფექტურობით განისაზღვრება (სურ. 2). ეს ძირითადი სუბსტანციის სტრუქტურაზეა დამოკიდებული (უჯრედგარე მატრიცა). იგი ყველა უჯრედსა და უჯრედულ შენაერთში წარმოადგენს მატრიცული კომპონენტებისგან შემდგარ მოლეკულურ საცერს; ეს კომპონენტებია შაქრის პროტეინები (მაღალპოლიმერული

სურ. 2. ძირითადი რეგულაციის სქემა



ურთიერთკავშირები (ისრები) კალაპოტებს (კაპილარები, ლიმფური სადინარები), ძირითად ნივთიერებას, ტერმინალურ ქსეგტატიურ აქსონებს, შემაერთებელი ქსოვილის უჯრედებსა (პოხიერი უჯრედები, დამცველობითი უჯრედები, ფიბრობლასტები და სხვა) და პარენქიმულ ორგანოებს შორის. ეპითელურ და ენდოთელურ უჯრედთა ნაერთები ბაზალური მემბრანის ქვეშ არის მოქცნილი. ყოველი უჯრედის ზედაპირს ძირითად ნივთიერებასთან დამაკავშირებელი გლიკოპროტეინებისა და გლიკოლიპიდების აკი გააჩნია (წვეტილი ხაზი), რომელთაც ქსოვილოვანი თავსებადობის კომპლექსებიც მიეკუთვნება. ძირითადი ნივთიერება ენდოკრინულ სისტემასთან სისხლძარღვების, ხოლო ცნსთან აქსონების საშუალებით არის დაკავშირებული.

კომპლექსები პროტეგლიკან-გლიკოზამინოგლიკანები), სტრუქტურული პროტეინები (კოლაგენები, ელასტინი) და ბადისებრი (შემბოჭავი) გლიკოპროტეინები (მაგალითად, ფიბრონექტინი, ვიტრონექტინი, თრომბოსპონდინი). პროტეგლიკან-გლიკოზამინოგლიკანების ელექტროუარყოფითი მუხტი განაპირობებს წყლის შეკავშირებისა და იონური ცვლის უნარს, რაც მატრიცაში იზოიონიის, იზოოსმიის და იზოტონიის გარანტს წარმოადგენს.

მატრიცა ბრმად დაბოლოებული ვეგეტატიური ნერვული ბოჭკოების მეშვეობით "ჩართულია" ცნს-თან, ხოლო კაპილარული ქსელით უერთდება შიდა სეკრეციის ჯირკვლებს (ჰიპოფიზი, ფარისებრი ჯირკვალი, თირკმელზედა ჯირკვლები და სხვა.). ტვინის ღეროში ორივე სისტემა ერთმანეთთან არის დაკავშირებული და უერთდება ტვინის უმაღლეს ცენტრს. ამგვარადაა აგებული ძირითადი რეგულაციის სისტემა (პიშინგერის სივრცე), რისი მეშვეობითაც მატრიცის ყველა ცვლილება შეიძლება დარეგულირდეს ფსიქო-ენდოკრინულ-იმუნოლოგიურ დონეზე. ამასთან ხდება ბიორითმების შეთანხმება.

ამგვარად, მატრიცაში ზემდგომი მარეგულირებელი უბნების ზემოქმედებით რეგულირება მუდმივად წარმოებს. **მატრიცაში მარეგულირებელ ცენტრს ფიბრობლასტი წარმოადგენს** (ცნს-ში მას გლიური უჯრედი შეესაბამება). ყველა შემავალ ინფორმაციაზე (ჰორმონები, ნეირონივთიერებები, მეტაბოლიტები, კატაბოლიტები, pH-ის ცვლილება და სხვა) იგი დაუყოვნებლივ რეაგირებს სიტუაციის შესაბამისი მატრიცული კომპონენტების სინთეზით. ამასთან, იგი არ აკეთებს არჩევანს "კარგსა" და "ცუდ" ინფორმაციას შორის. ამის გამო, მდგრადმა არაფიზიოლოგიურმა ლოკალურმა პროცესმა (მაგ.: "კერა") შეიძლება გამოიწვიოს მატრიცის გარშემო დაზიანების გავრცელება, და ბოლოს, ცნს-ს და ენდოკრინული სისტემის უკუკავშირების მეშვეობით სისტემური გავრცელება.

მნიშვნელოვანია, რომ პროტეგლიკან-გლიკოზამინოგლიკანების მფილტრაკ და შემაკავშირებელ თვისებათა საფუძველზე ყოველთვის არსებობს შლაკებით მატრიცის დაბინძურების საშიშროება, რასაც ერთვის თავისუფალი რადიკალების მომატებით, პროტეოლიზურ სისტემათა აქტივაციითა და პროანთებით სიტუაციაში გადასვლით მიმდინარე ლატენტური ქსოვილოვანი აციდოზი. ბოლოს და ბოლოს, შესაძლებელია, ადგილი ჰქონდეს ყველა ჰუმორულ და უჯრედულ ელემენტთა დაზიანებას – შეგრძნებების თავდაპირველი უმნიშვნელო დარღვევიდან ქრონიკულ დაავადებასა და ავთვისებიან წარმონაქმნთა ჩამოყალიბების პროცესამდე.

2.2 დამხმარე იმუნური რეაქცია

თერაპიის თანამედროვე სტრატეგიის განვითარება მჭიდროდ არის დაკავშირებული იმუნური სისტემის ფუნქციებთან, რომელიც შუალედურ რგოლს წარმოადგენს ინდივიდუმის ორგანიზმის ექსპოზიციასა (გარემო) და დისპოზიციას (შთამომავლობა) შორის.


შუალედური რგოლის - იმუნური სისტემის - ამოცანაა ქსოვილის სინთეზსა და რესტრუქტურიზაციას შორის წონასწორობის (ჰომეოსტაზი) შენარჩუნება. ამ პროცესების რეალიზაციისთვის აუცილებელი ინფორმაცია უჯრედში აღწევს განსაზღვრული მედიატორული უჯრედული ნივთიერებების (ნივთიერება - ინფორმაციის გადამტანი), ციტოკინების დახმარებით. ამ შემთხვევაში ძირითად ციტოკინს TGF-β (მატრანსფორმირებელი ზრდის ფაქტორი) წარმოადგენს, რომელიც უჯრედულ ცვლაში გადართვის მარეგულირებელ როლს ასრულებს.

ჰომეოსტაზის პათოლოგიური ცვლილებები ყოველთვის მიმდინარეობს იმუნური სისტემის არასპეციფიკურ (მაგ., მაკროფაგი) და სპეციფიკურ (T- და B-ლიმფოციტები) დარღვევებთან ერთად; ამიტომ სულ უფრო მეტ მნიშვნელობას იძენს იმუნურ სისტემაზე მიმართული ზემოქმედების საშუალებით დაავადების დათრგუნვა. არასასურველი გვერდითი ეფექტების მოჭარბების გამო, იზრდება იმუნური თერაპიის კლასიკური კონცეფციის კრიტიკული გადაფასების აუცილებლობა, მაგალითად, როგორიცაა პროანთებითი ლიმფოციტების განადგურება, იმუნური სისტემის და ციტოკინების სინთეზის დათრგუნვა ან ლიმფოციტების აქტიურობის ინჰიბირება ანთების საწინააღმდეგო ქიმიოთერაპიის მეშვეობით. **იმუნოთერაპიის სტრატეგიის თანამედროვე ტენდენციები** კლასიკურისაგან განსხვავდება იმით, რომ:

- **ისინი მიმართულია არასპეციფიკური იმუნიტეტის უმნიშვნელოვანესი მედიატორების (TNF-α და IL-1) დონის დაქვეითებისაკენ.**
- **მარეგულირებელ ლიმფოციტებზე უშუალო ზემოქმედების მეშვეობით ხდება TGF-β ფაქტორის გამოთავისუფლება ანთებითი პროცესის ინჰიბირებისათვის.**

ტენდენციების ორივე ასპექტი "ანტიჰომოტოქსიკური მედიცინის დამხმარე იმუნოლოგიური რეაქციის" დროს გამოიყენება. (სურ. 3). რეაქცია შემდეგნაირად მიმდინარეობს: ანტიჰომოტოქსიკური პრეპარატის ფორმისა და მიღების წესის

დამხმარე იმუნური რეაქცია



მიუხედავად დაბალ და საშუალო პოტენციაში არსებული მცენარეული და ცხოველური წარმოშობის პროტეინები აღიქმება მაკროფაგების (ასევე, მაკროფაგის მონათესავე წერილი ნაწლავის ლორწოვანი გარსის M-უჯრედების - პეიერი უჯრედების) მიერ. შემდეგში ისინი ლიზოსომებში მოინელება და მცირე ფრაგმენტი (ჯაჭვში 3-დან 15-მდე ამინომჟავა: "მოტივი") უჯრედის ზედაპირზე განლაგდება და იქ ჰისტოთავსებად კომპლექსებს უკავშირდება.

აგენტით არამარკირებული "მოპატრულე" T-ლიმფოციტები ("მიამიტი" ლიმფოციტები) აღიქვამს მოტივს (უერთებს თავის რეცეპტორებს) ან მოტივებს, ბრუნდება უახლოეს ლიმფურ კვანძში ("ჰოუმინგი") და მრავლდება მოტივის რაოდენობის შესაბამისად, რითაც მარეგულირებელი ლიმფოციტების სხვადასხვა კლონებს აძლევს საწყისს (**Th3 ლიმფოციტები**). მნიშვნელოვანია ის, რომ სინთეზი ხდება მხოლოდ D1-D14 პოტენციებისას. პოტენციების უფრო მაღალი კონცენტრაცია Th-3-უჯრედების სინთეზს ეწინააღმდეგება. ხოლო მაღალი პოტენციებისას, პირიქით, "მოტივის" წარმოქმნა არ ხდება. "მოტივირებული" Th3-კლონები ორგანიზმში სისხლისა და ლიმფის მიმოქცევის საშუალებით ვრცელდება.

ანთებითი პროცესის შემთხვევაში ხდება მათი ქემოტაქსისური მიზიდვა (ქემოკინები, კომპლემენტის ფაქტორები და მრავალი სხვა) შესაბამის კერაში. საბოლოო ჯამში ისინი აწყდებიან პროანთებითი და ანთებითი პროცესის ხელისშემწყობ T4 ლიმფოციტებს და მათ სუბპოპულაციებს Th1 და Th2 უჯრედების სახით (ანუ T-ჰელპერებს) და დეზინტოქსიკაციურად მოქმედებენ მათზე. ის კი, თავის მხრივ, ინფლამატორული ლიმფოციტების უმძლავრეს ინჰიბიტორს წარმოადგენს. ამგვარად შეიძლება შევაჩეროთ ანთებითი პროცესი და წინ აღვუდგეთ მის ქრონიზაციას. მაშასადამე, ანთების მაინჰიბირებელ და მასტიმულირებელ ციტოკინებს შორის წონასწორობის აღდგენის შედეგად ხდება ანთებითი პროცესის დასრულება.

3. მკურნალობა Heel-ის ბიოთერაპიულ-ანტიჰომოტოქსიკური საშუალებებით

ანტიჰომოტოქსიკური პრეპარატების დიფერენციაცია

ანტიჰომოტოქსიკური პრეპარატები შედგენილია განსაზღვრული წესის მიხედვით და შეიცავს სხვადასხვა აქტიურ კომპონენტებს. მათი მოქმედება ვრცელდება მთელი ორგანიზმის ყველა დონეზე და ყველა მიმართულებით, ისინი პასუხობენ ეფექტური თერაპიის ყველა მოთხოვნას.

კომბინირებული პრეპარატები:

სპეციალური პრეპარატები (Cralonin, Vertigoheel, Traumeel S და სხვა);
ჰომაკორდები (Belladonna-Homaccord);
კომპოზიციური პრეპარატები (Echinacea compositum S).

ჰომეოპათიური ერთეული საშუალებები:

კლასიკური ჰომეოპათიური საშუალებები (Arnica D6);
ჰომეოპათიზირებული ალოპათიური საშუალებები (Penicilin-Injeel);
კატალიზატორები (Ubichinon-Injeel) ლიმონმჟავა ციკლის კატალიზატორების ჩათვლით;
ნოზოდები (Sinusitis-Nosode-Injeel);
სუის-ორგანული პრეპარატები (Cerebrum suis-Injeel).

3.1. კომბინირებული პრეპარატები

სპეციალური პრეპარატები წარმოადგენს სხვადასხვა კომპონენტებისაგან შემდგარ, დაბალი პოტენციების (D4-D12) კომბინაციას, რომლებიც ზემოქმედებს განსაზღვრულ პათოლოგიურ სიმპტომატიკაზე, ძირითადად მწვავე დაავადებებისას. ეს პრეპარატები გამოიყენება არა მარტო ნატუროპათიულ, არამედ ჩვეულებრივი თერაპიის საჭეებისათვისაც. ისინი ფართოდ მოიხმარება კლინიკებშიც (მაგ., Vertigoheel, Traumeel S). ყველაზე ხშირად მოსახმარი სპეციალური პრეპარატებია:

Cralonin – Cor senile, Cor nervosum;
Engystol N – გრიპი, ვირუსული ინფექციები;
Gripp-Heel – გრიპოზული ინფექციები;
Lymphomyosot – ლიმფატური შეშუპებები, ტონზილიტი, სისუსტე;
Spascupreel – ჭვალი, მიოგელოზი;
Spigelon – თავის ტკივილი;
Traumeel S – ართრიტები, ტრავმები;
Vertigoheel – სხვადასხვა წარმოშობის თავბრუსხვევები;
Viburcol – ცხელება, ინფექციები, მშფოთვარე მდგომარეობა;
Zeel T – ართროზი, პოლიართროზი;

ჰომაკორდები ერთი ან რამდენიმე აქტიური სუბსტანციის შესაბამის პოტენციათა აკორდს შეიცავს. დაბალი პოტენცია კომბინირდება საშუალო და მაღალ პოტენციასთან. პოტენციათა ამგვარ კომბინირებას ასი წლის თერაპიული გამოცდილება აქვს. დაბალი და საშუალო პოტენციები ხასიათდება ბიოქიმიური ზემოქმედებით და მოქმედებს ფუნქციურ და ორგანოტროპულ დონეზე ფერმენტების აქტივაციით, რადიკალების ბლოკადით, დამხმარე იმუნოლოგიური რეაქციით.

მაღალი პოტენციები ახდენს ბიოფიზიკურ ზემოქმედებას ინფორმაციის გადატანის ხარჯზე და მოქმედებს პათოლოგიური პროცესის კონსტიტუციურ/ფსიქიკურ დონეზე. პრეპარატების ცალკეული კომპონენტები არ ერევა ერთმანეთს, მოქმედებს თავისებური კასკადით, რასაც მივყავართ სწრაფ და მყარ ეფექტამდე, გარდა ამისა დაბალ, საშუალო და მაღალ პოტენციათა კომბინირება ამცირებს პირველად გაუარესებას.

ჰომაკორდების მიღება შესაძლებელია როგორც პერორალურად, ისე პარენტერალურად – საინექციო ხსნარის სახით. მათი გამოყენება რეკეევგის 6 ფაზიანი ცხრილის თითქმის ყველა ფაზის დაავადებებისას არის შესაძლებელი.

კომპოზიციური პრეპარატები. ერთი მხრივ ძლიერი, ეფექტური და მეორე მხრივ დაბალი რისკის მქონე პრეპარატების მისაღებად საუკეთესო გადაწყვეტილება იყო გაეერთიანებინათ სხვადასხვა ჰომეოპათიური ერთეულოვანი ნივთიერებები, ჰომეოპათიზირებული ალოპათიური პრეპარატები, შუალედური კატალიზატორები და ზოგიერთ შემთხვევაში სუის-ორგანული პრეპარატები; ისინი ერთ კომბინირებულ პრეპარატს ქმნიან.

კომპოზიციური პრეპარატების შემადგენელი კომპონენტების სიმრავლე ღრმა თერაპიულ ეფექტს განაპირობებს. ამის საფუძველს შემადგენელი კომპონენტების მრავალმხრივი ეფექტურობა განსაზღვრავს.

აქედან გამომდინარე, სხვადასხვა, მრავალფეროვანი ეფექტურობის მქონე სუბსტანციების გაერთიანება ერთ კომბინირებულ პრეპარატში, ქრონიკული დაავადების მკურნალობის სასურველ შედეგს იძლევა.

ვინაიდან ქრონიკული დაავადების პროგრესირება ხდება არა მხოლოდ ერთი სინდრომით და სხვადასხვა გამომწვევ მიზეზს ერთ, დიაგნოზირებად კლინიკურ სინდრომად აერთიანებს, ამიტომ, მხოლოდ ერთი ერთეულოვანი სუბსტანციით მკურნალობა სასურველ ეფექტს არ იძლევა, რაც მრავალწლიანი გამოცდილებით არის დადასტურებული. თუ დიაგნოზირებული დაავადებების, რომლებიც ძირითადად უჯრედულ დაავადებებს წარმოადგენს და მოთავსებულია ბიოლოგიური ბარიერის მარჯვნივ, კლასიფიცირებას ჰომოტოქსიკოლოგიის ექვსფაზიანი ცხრილით მოვახდენთ, შესაბამისი ჰომეოპათიური საშუალებების არჩევა მატრიცულ და, ასევე, დეგენერაციისა და დედიფერენციაციის ფაზაში ვერ შემოიფარგლება მხოლოდ მცენარეული, მინერალური და ცხოველური წარმოშობის კლასიკური ჰომეოპათიური საშუალებებით.

ნოზოდების, სუის-ორგანული კომპონენტებისა და კატალიზატორების კომბინირებით ექიმს შესაძლებლობა ეძლევა განკურნოს ბიოლოგიური ბარიერის მარჯვნივ მდებარე პროგრესირებადი უჯრედული ფაზის დაავადებები, რადგან ენზიმური ბლოკადის მოცილება კატალიზატორების ან იზოთერაპიული "მასიური ნოზოდური დოზების" მეშვეობით, ასევე, სუის-ორგანული პრეპარატებით, რეგრესული ვიკარიაციისას დაავადების რეგრესის გააქტივებას იწვევს.

ჰუმორულ ფაზაში რეგრესული ვიკარიაციის გადანაცვლებისას კატალიზატორები, ნოზოდები, სუის-ორგანული ნივთიერებები, ორგანოტროპული კლასიკური ჰომეოპათიური საშუალებები ეფექტურ გაჯანსაღებას განვითარებული ანთებითი ფაზის დროსაც იწვევს.

3.2. ჰომეოპათიური ერთეული პრეპარატები

Injeel ფორმის ყველა პრეპარატის ამპულა შეიცავს ძირითადი ნივთიერების რამდენიმე პოტენციას; ამ ფორმისთვის ძირითადი

პოტენციებია ზოგადად D10, D12, დამატებითი კომპონენტებია D30 და D200, ისინი პრეპარატებში თანაბარი რაოდენობით შედის. როგორც წესი, Injeel-forte ფორმები თანაბარი რაოდენობით შეიცავს D4, D6, D12, D30. D200 და–შესაძლებელია D1000-საც. პოტენციის აკორდები ორგანიზმის სახეადასხვა იერარქიულ დონეზე მოქმედებს; რადგან მე-4, 5, 6 ფაზების ქრონიკული ან მწვავე დაავადებათა რეგრესული ვიკარიაციის მიმდინარეობისას, მაკროსკოპულად შესამჩნევ ორგანოსტრუქტურულ შეცდომებთან ერთად, მნიშვნელოვან ფუნქციურ და ინფორმაციულ შეცდომებს აქვს ადგილი, ასეთ პოტენციათა აკორდი პრეპარატები, მათში მაღალი პოტენციების შემცველობის გამო, უჯრედულ დაავადებათა ექსკრეციისათვის არის ნაჩვენები.

პოტენციათა აკორდების პრინციპი მდგომარეობს შემდეგში: სამკურნალო აგენტის დაბალი პოტენციის მიღებით წარმოშობილი ნებისმიერი არასასურველი რეაქცია შესაძლებელია შერბილდეს ან შემცირდეს იგივე აგენტის მაღალი პოტენციის ერთდროული მიღებით (მაღალი პოტენციის უკუეფექტი). როგორც წესი, მკურნალობა უნდა დავიწყოთ ერთეული Injeel-ფორმების, კატალიზატორების და სპეციფიკური პრეპარატების ერთდროული მიღებით. Forte-ფორმები გამოიყენება როგორც მწვავე ისე ორგანული დაავადებების სამკურნალოდ.

Injeel ფორმის პრეპარატები ან ერთეული პოტენციები შეიძლება გაკეთდეს კანქვეშ, კუნთში, ვენაში და კანში (სეგმენტური თერაპია); ამავე დროს, ისინი შეიძლება გამოვიყენოთ როგორც "დასალევი ამპულები", განსაკუთრებით პედიატრიაში (აზავებენ წყლით და სხვ.).

3.2.1. კლასიკური ჰომეოპათიური საშუალებები

ანტიჰომოტოქსიკურ მედიცინაში ამ ფორმის პრეპარატების გამოყენება იშვიათად ხდება, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც სურათი ნათელია – ინიშნება ერთეულ კონსტიტუციური საშუალება ერთეულოვან პოტენციაში. ეს ერთეული საშუალებები კლასიკური ჰომეოპათიის თანახმად Simile-ს პრინციპით მიიღება. ანტიჰომოტოქსიკურ მედიცინაში ერთეული პოტენციები ამპულების სახით გამოიყენება. ქვემოთ მოყვანილი ჩამონათვალი გვიჩვენებს იმ ერთეულოვანი პოტენციების ერთეული პრეპარატების მიმოხილვას, რომლებიც პოტენციათა აკორდების, ნოზოდების, სუის-ორგანული პრეპარატების და სხვა სახით გვეელინება.

ჰომეოპათიური ერთეული პრეპარატები:

Acidum formicicum D5; D30; D200
Acidum fumaricum D6
Acidum succinicum D4
Aqua Daun D2
cAMP
Coenzym A D8
Coxsackie-Virus A9 D6; D7; D8
Coxsackie-Virus B4 D6
Cyctein D6
Hamamelis D4
Histamin D6; D12; D30; D200
Hypophysis suis D6; D200
Hypothalamus suis D200
Nux vomica D6
Pallido-Striatum D12
Phosphorus D6
Secale cornutum D4
Staphylococcus D5
Streptococcus haemolyticus D5
Sulfur D200

3.2.2. ჰომეოპათიზირებული ალოპათიური საშუალებები

ეს პრეპარატები იატროგენულ დარღვევათა გამოსწორების მიზნით გამოიყენება (იზოპათიური პრინციპი). სამკურნალო აგენტები, რომელიც იატროგენულ დაავადებებს იწვევს, მაღალი განზავებებით, თერაპიულ დაზიანებათა ანტიდოტურ აღმდგენ საშუალებადაც გამოიყენება (იზოპათიური პრინციპი). ჰომეოპათიზირებული ალოპათიური პრეპარატების დასახელება მათი წარმოშობის წყაროს შეესაბამება. ეს პრეპარატები Simile-ს პრინციპით გამოიყენება: დიდი დამცველობითი სისტემის რეცეპტორები უკვე ოკუპირებულია დაზიანების გამომწვევი აგენტებით და ვეღარ პასუხობს პრეპარატებს "ერთგვაროვნების პრინციპის" თანახმად.

მსგავსების კანონის მიხედვით, ანტიჰომოტოქსიკური აგენტების მსგავსად, დამატებითი რეზისტენტული მექანიზმები, რომლებიც აქამდე საწინააღმდეგოდ მოქმედებდა, აქტიურდება ამ ჰომეოპათიზირებული პრეპარატებით. იატროგენული დაავადებისას გამომწვევ ჰომეოპათიზირებულ პრეპარატთან ერთად სასურველია მსგავსი აქტიური სუბსტანციების გამოყენებაც. მაგალითად, პენიცილინის მიერ გამოწვეული დაზიანების შემთხვევაში, წინაღობა დაძლეული უნდა იყოს Penicillin-Injeel-ით, სასურველია Streptomycin-Injeel ან Sulfonamid-Injeel-ის დამატება.

ჰომეოპათიზირებული ალოპათიური საშუალებები:

Acetylsalicylsaure-Injeel, forte	Penicillin-Injeel, forte
Chloramphenicol-Injeel	Streptomycin-Injeel, forte
Doxycyclin-Injeel	Sulfonamid-Injeel, forte
Erythromycin-Injeel	Tetracyclin-Injeel, forte
Gamma-Globulin-Injeel	

3.2.3. კატალიზატორები

ანტიჰომოტოქსიკურ თერაპიაში ფართოდ გამოიყენება მეტაბოლიზმის შუალედური კატალიზატორები. კატალიზატორებში შემავალი სუბსტანციები უჯრედული სუნთქვისა და ენერგიის ცვლის (ლიმონმჟავა ციკლი, ჟანგვა-აღდგენითი პროცესები) პროდუქტებია.

ჰომეოპათიურ პრეპარატებში შესაბამისი კატალიზატორების გამოყენება მეტაბოლური პროცესების გააქტივების კონცეფციას ეფუძნება, რითაც ბლოკირებული უჯრედული და ენზიმური ფუნქციები რეაქტივირდება. რადგან ენზიმური დაზიანება გამოვლინდება როგორც ქრონიკული და/ან დეგენერაციული დაავადება, კატალიზატორების გამოყენება პირდაპირაა ნაჩვენები ასეთი დაავადებებისას.

კატალიზატორები არის ნივთიერებები, რომლებიც პროცესის ბალანსის დაურღვევლად ქიმიური რეაქციების წონასწორობას აჩქარებს. კატალიზატორების მიერ რეაქციის დაჩქარება მეტად შთამბეჭდავია. რეაქციის ბოლოს კატალიზატორი შეუცვლელი რჩება და გააჩნია შემდეგი მოლეკულის დაუყოვნებლივი კატალიზის უნარი. როდესაც კატალიზური რეაქცია ხდება ბიოსისტემებში, ისინი იწოდება ბიოკატალიზატორებად.

კატალიზი შეიძლება დამატებით გაიზარდოს აქტივატორებით ან ბლოკირება გაუქეთდეს "შხამებით" (ჰომოტოქსინებით). ლიმონმჟავა ციკლი წარმოადგენს მეტაბოლიზმის ბრუნვის ციკლს. ეს გზა ორგანიზმში მიმდინარე სინთეზს მნიშვნელოვანი ელემენტებით ამარაგებს. ლიმონმჟავა ციკლის რესპირატორული ჯაჭვი მეტაბოლური პროცესებისათვის მნიშვნელოვან ენერგიის წყაროს წარმო-

ადგენს. ეს ციკლი ამარაგებს წყალბადით ბიოლოგიურ ჟანგვას, რის გამოც მჭიდროდაა დაკავშირებული უჯრედის ენერგიის მეტაბოლიზმთან.

ლიმონმჟავა ციკლის ელემენტებია: ლიმონმჟავა, ცის-აკონიტის მჟავა, ოქსალსუქცინიკის მჟავა, α-კეტოგლუტარის მჟავა, ქარვის მჟავა, ფუმარის მჟავა, ვაშლის მჟავა და ნატრიუმის მჟაუნმჟავას და ძმარმჟავას მარილები.

გასათვალისწინებელია ის, რომ კატალიზატორებს მოქმედების შესაბამისი გარემო პირობები ესაჭიროება. საკონტროლო სისტემებსა და მეტაბოლურ ჯაჭვში მონაწილეობას იღებს არა მარტო გარკვეული კონცენტრაციის (pH) წყალბად იონები, არამედ შესაბამისი სუბსტრატები და კო-ფაქტორები.

კო-ფაქტორები მოიცავს ვიტამინებს და მიკროელემენტებს, ზოგიერთი ლითონის იონებთან ერთად. ზოგიერთ კატალიზატორს ამ კო-ფაქტორებით გააქტიურება ესაჭიროება, რათა ქმედითუნარიანი გახდეს. ლითონის ენზიმურ კომპლექსებს ხშირად მეტალოენზიმებს უწოდებენ. ზოგიერთი ლითონის იონი "ორსახიანია" – მცირე დოზებში ისინი კატალიზის საშუალებას იძლევა, ხოლო დიდი დოზებით შთანთქავს ან ბლოკავს ამ ფუნქციებს.

თერაპიული გამოყენებისათვის "კატალიზატორი" ფართო ფიზიოლოგიურ შინაარსს ატარებს; ეს მოიცავს კატალიზატორს, მისი მკაცრი გაგებით - "ენზიმი", ასევე რესპირატორულ სუბსტრატს, შუალედურ პროდუქტს და კო-ფერმენტს.

ეს პროდუქტები სამ ჯგუფად კლასიფიცირდება:

ჯგუფი A: ლიმონმჟავა ციკლის მჟავები და მათი მარილები.

ჯგუფი B: ქინონები და მათი წარმონაქმნები, სხვა შუალედურ სუნთქვის კატალიზატორებთან ერთად.

ჯგუფი C: მასტიმულირებელი ეფექტის ნივთიერებები: ბიოგენური მჟავები, ჰორმონები, ელემენტები (მიკრო), ბოტანიკური ექსტრაქტები (ანტოციანინები).

ბიოკატალიზატორების გამოყენება პაციენტებზე ძლიერ მასტიმულირებელ ეფექტს იწვევს (წამლის მიღების შემდგომი "ძლიერი დაღლილობა"). მკურნალობის პირველი სამი დღის განმავლობაში საჭიროა 3 ლიტრამდე სითხის მიღება, ფიზიკური აქტიურობის შემცირება და ნაკლებად ტოქსიკური საკვების მიღება. რეგრესული ვიკარაციის ნიშნები კი არ უნდა დაითრგუნოს, არამედ ექსკრეცია

ბიოლოგიური სამკურნალო საშუალებების მეშვეობით უნდა მოხდეს.

კატალიზის ჩატარებისას დიდი მნიშვნელობა დროის ზუსტად დაცვას ენიჭება. დროის სიზუსტის დარღვევამ, ზოგიერთ შემთხვევაში, პროგრესული ვიკარიაცია შეიძლება გამოიწვიოს. ამ ფენომენს ადგილი აქვს იმ შემთხვევაში, როდესაც ორგანიზმი აბსოლუტურად შეუსაბამო მდგომარეობაში იმყოფება ან ძლიერაა დასუსტებული, იმისთვის, რომ მასტიმულირებელი თერაპია ჩატარდეს. იმ შემთხვევაში, თუ პაციენტი ძლიერაა დასუსტებული, თერაპია ძალიან ფრთხილად უნდა დაიწყოს და არ იქნეს გამოყენებული წამლის დიდი დოზები. მაგალითად, დასაწყისისთვის სასურველია კვირაში ორჯერ ნახევარი ამპულის პერორალური მიღება ან 1 ამპულა იხსნება 1.5 ლიტრ წყალში და მიიღება დღის განმავლობაში მცირე ყლუპებად კვირაში ორჯერ. ბიოკატალიზატორები ხშირად ახდენს სასურველ ეფექტს "მწვავე" განკურნების გარეშე.

კატალიზატორების გამოყენებისას განმეორებითი ინექცია კეთდება პირველადი გამწვავების ჩაცხრობის შემდეგ. კატალიზატორებით მკურნალობის წინ, მწვავე ტოქსიკური დატვირთვის მქონე პაციენტებში ენდოგენური დაცვითი სისტემის მობილიზებისათვის, მნიშვნელოვანია სათანადო დრენაჟის ჩატარება.

კატალიზატორები ნაჩვენებია ნებისმიერი დაავადების და მდგომარეობისას, რომელიც ჟანგბადის არასაკმარისი დაგროვებით ხასიათდება. ეს განსაკუთრებით ეხება ბიოლოგიური ბარიერის მარჯვნივ მდებარე ყველა ქრონიკულ დაავადებას. რადგან ამ დროს შეინიშნება ფერმერტების და მეტაბოლიზმის ჯაჭვის ბლოკადები, თერაპიის ჩატარება მიზანშეწონილია შერწყმული კატალიზატორებით (რამდენიმე ერთად). მზა კომბინაციებს წარმოადგენენ Coenzine compositum და Ubichinon compositum.

კატალიზატორები:

Acidum cis-aconiticum-Injeel, forte
Acidum citricum-Injeel, forte
Adrenalin-Injeel, forte
Cortison-Injeel, forte
Cystein-Injeel
Hystanin-Injeel, forte

Insulin-Injeels
Ubichinon-Injeel
Vitamin A-Injeel
Vitamin B1-Injeel

3.2.4. ნოზოდური პრეპარატები

ნოზოდები დაავადების გამომწვევი აგენტებია, რომელთაც ტოქსიკურობა და ვირულენტობა მოცილებული აქვს ჰომეოპათიური პოტენცირების პროცესში, მაგრამ მათი ინფორმაცია მექანიზმის ამოცნობის საშუალებას გვაძლევს, რითაც წარმოიშვება სათანადო სტიმულები, რომლებიც განკურნებას უწყობს ხელს. არსებობს აუტონოზოდური და ჰეტერონოზოდური პრეპარატები.

აუტონოზოდური პრეპარატები არის სუბსტანციები, რომლებიც პაციენტის ორგანიზმიდან მიიღება, ესენია სისხლი, შარდი, ცრემლი, ნახველი, ჩირქი, განავალი ან დაავადებული ქსოვილი. პირველადი ნივთიერებები ჰომეოპათიურად არის დამუშავებული და ეძლევა იგივე პაციენტს.

ჰეტერონოზოდური პრეპარატები არის სუბსტანციები, რომლებიც ნებისმიერი სხვა ორგანიზმიდან მიიღება.. ესენია:

1. ვირუსული ნოზოდური პრეპარატები, მაგ., Herpes zoster-Nosode, Coxsackie A9 და/ან Coxsackie B4;

2. ბაქტერიული ნოზოდური პრეპარატები, მაგალითად: Tuberculinum, Staphylococcinum, Streptococcinum;

3. ვაქცინა-ნოზოდური პრეპარატები, მაგ., Influenza Nosode, Rabies vaccine, Rubeola vaccine (მიიღება მიკროორგანიზმებისა და ვაქცინებისაგან)

4. ქსოვილოვანი ნოზოდები, მაგ., Gastritis-Nosode, Tonsillitis-Nosode, Sinusitis-Nosode, Mastopathia cystica-Nosode (მიიღება პათოლოგიური ორგანოებიდან, ქსოვილებიდან, აგრეთვე მეტაბოლიზმის პროდუქტებისგან – სეკრეტების ჩათვლით).

ნედლეული მასალა. ნოზოდები არის პრეპარატები, რომლებიც ჰომეოპათიური ტექნიკითაა დამზადებული ადამიანის ან ცხოველური წარმოშობის პათოლოგიური სახეშეცვლილი ორგანოებიდან ან ორგანოთა შემადგენელი ნაწილებისგან, ასევე, მიკროორგანიზმების მკვდარი კულტურებისგან, ცხოველური წარმოშობის დაშლის პროდუქტებისგან, რომელსაც სხეულის სითხეები შეიცავს (მაგ., პუნქციით მიღებული სითხე).

ნედლეული მასალა მოწმდება სპეციალისტების მიერ ლაბორატორიული გამოკვლევების შედეგად და საჭიროების შემთხვევაში, ბაქტერიისა და ვირუსის მომწოდებლის სერტიფიკატის საფუძველზე. HAB-ს (გერმანული ჰომეოპათიური ფარმაკოპეა) თანახმად, ნოზოდური პრეპარატებისთვის საბაზისო მასალა პირველ რიგში უნდა გასტერილდეს და გაკონტროლდეს (DAB 10). ჰომეოპათიური პროცესირება სრულდება მხოლოდ ზემოთ ჩამოთვლილი პირობების შესრულების შემდეგ. ამის გამო ნოზოდურ პრეპარატებს არ მიეკუთვნება ვაქცინები, შრატები და სხვა მსგავსი აგენტები; ნოზოდური პრეპარატები ატარებს წმინდა ჰომეოპათიურ ბუნებას. დედა ტინქტურები წარმოებულია 43 და 44 პუნქტების თანახმად.

ნოზოდური პრეპარატების გამოყენება. ისინი გამოიყენება:

ა) სიმპტომური/ანამნეზური მსგავსების (Simile-პრინციპი) თანახმად.

ბ) მკურნალობის ბოლოს ან მწვავე სტადიის დაძლევის შემდეგ.

განვიხილოთ თითოეული მათგანი:

ა) ნოზოდური პრეპარატების გამოყენება უნდა მოხდეს სიმპტომატური მსგავსების თანახმად, რომელიც მსგავსების ფუნდამენტურ ჰომეოპათიურ კანონს წარმოადგენს და/ან აწ განკურნებულ დაავადებასთან ანამნეზური ეტიოლოგიის მსგავსობის თანახმად. მაგ., Diphteria-Nosode (Diphterinum-Injeel და forte) არ გამოიყენება უშუალოდ მწვავე დიფტერიის სამკურნალოდ. ის იხმარება დიფტერიის შედეგად დაზიანებული გულის სამკურნალოდ (=სიმპტომური მსგავსობა) და/ან გულის დაავადების მქონე პაციენტების სამკურნალოდ, რომელთაც ანამნეზში დიფტერია აღენიშნებათ (=ეტიოლოგიური მსგავსება).

არსებული ეტიოლოგიური მსგავსების თვალსაზრისით ნოზოდური პრეპარატების გამოყენებისას მნიშვნელოვანია შემდეგი:

ყველა ნოზოდი გამოყენებული უნდა იქნეს სპეციფიკურად, ანუ როგორც შესაბამისი დაავადების იზოთერაპიული აგენტი, რომელთაგანაც ისინი წარმოიშვნენ. ძირითადად ისინი გამოიყენება როგორც შუალედური საშუალება, იმ დანიშნულ ჰომეოპათიურ წამალთან და მატრიცის სადრენაჟო საშუალებებთან ერთად (Lymphomyosot. Galium-Heel), რომელთაც მნიშვნელოვანი როლი ენიჭებათ.

ბ) დაავადების დაძლევის შემდეგ ნოზოდები წარმოადგენენ ბრწყინვალე სამკურნალო საშუალებას, რათა მატრიცაში დაგროვილი ტოქსინები სწრაფად გამოიდევნოს.

ნოზოდური თერაპიის ჩვენებები:

1. ქრონიკული ექსუდატიური დაავადებანი
2. ქრონიკული პროლიფერაციული დაავადებანი
3. დეგენერაციული დაავადებანი
4. აუტოაგრესიული დაავადებანი
5. იატროგენური დაზიანებანი

ჰომოტოქსიკოლოგიაში ნოზოდები გამოიყენება უჯრედულ, განსაკუთრებით რეტოქსიულად დამუხრუჭებულ ფაზებში, აუტოაგრესიულ დაავადებათა სამკურნალოდ (ფრთხილად!), ასევე, ფსორული დაავადებების (ჰანემანის მიხედვით) და ალერგიებისას. აუტოაგრესიული დაავადებების ნოზოდებით მკურნალობა ხდება, სათანადო წინამკურნალობის, მაგ., მატრიცის დრენაჟის ჩატარების შემდეგ. ნოზოდები გამოიყენება არა მარტო უჯრედულ, არამედ ჰუმორულ ფაზებშიც, კერძოდ, როდესაც ჩართულია დისკრაზიული კომპონენტი ან შესაძლებელია ჩივილების მომატება, ან შემცირებულია იმუნოპოტენციალი.

დოზირება. ნოზოდების დოზირება მკაცრად ინდივიდუალურია და დამოკიდებულია გამოკვლევების მონაცემებზე, ჯანმრთელობის მდგომარეობაზე და ორგანიზმის რეაქციაზე ნოზოდურ პრეპარატზე, რომელიც შეიძლება შეიცვალოს სხვადასხვა შემთხვევაში (ძირითადად, კვირაში 1-3-ჯერ). ნოზოდური პრეპარატებით მკურნალობის ხანგრძლივობა განისაზღვრება ინდივიდუალურად და უნდა მივუსადაგოთ თითოეულ შემთხვევას.

მწვავე ინფექციის შემდგომ პერიოდში ნოზოდური პრეპარატებით მკურნალობა საკმარისია 2-4 კვირა, ხოლო ქრონიკული დაავადების შემთხვევაში 6 თვემდე გრძელდება. ეს ყოველივე პაციენტის ინდივიდუალურ რეაქციაზეა დამოკიდებული.

რეკომენდებულია ნოზოდური თერაპიის დაწყება ჩვეულებრივი Injeel ფორმით, შემდგომი forte ფორმაზე გადასვლით, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, როდესაც შესაბამისი ან საპასუხო რეაქცია არასაკმარისია სასურველი ეფექტის მისაღებად.

მაღალი პოტენციები (ერთეულოვანი მაღალი პოტენციები) მხოლოდ იმ შემთხვევაში გამოიყენება, როდესაც შესაბამისი ნოზოდური პრეპარატების ჩვეულებრივ Injeel ფორმაზე ზერეაქციები წარმოიშვება.

ნოზოდური პრეპარატების უფრო მაღალი პოტენციები (D12,

D30 და ა.შ.) გამოიყენება შემდეგ დაავადებათა სამკურნალოდ:

- მომატებული მგრძნობელობა (Arsenic, Phosphor, Iodum ან Chamomila-ს ტიპი)
- დიათეზი
- ალერგია
- ქრონიკული დარღვევები

შედარებით დაბალი პოტენციები (დაახლოებით D6/ D8 და უფრო დაბალი) ნაჩვენებია მეტ-ნაკლებად მწვავე დაავადებების სამკურნალოდ:

- დაბალი რეაქციის ტიპის ინდივიდებისათვის (Sepia, Nux vomica, Graphites, Silicea-ს ტიპი).
- როდესაც სასურველია ამა თუ იმ ორგანოზე ორგანოტროპული მოქმედება (ტონზილებზე – Tonsillarphropfe – Injeel forte და/ან Tonsillitis-Nosode-Injeel forte თითოეული D6, D10, D30, D200 ჯორდად).

მაღალი პოტენციების განმეორებით მიღებებს შორის შუალედი რამდენიმე კვირას მოიცავს. დაბალი პოტენციების განმეორებით მიღებათა შორის პერიოდი შედარებით მოკლეა და მოიცავს კვირაში 3 დოზას.

ნოზოდური პრეპარატებით მკურნალობის პროცედურა რეკომენდებულია კანქვეშა, კანშიდა, კუნთში და/ან ნეერალურ და აკუპუნქტურულ წერტილებში ინიცირებით. თუ ამ პროცედურით სათანადო რეაქცია არ მიიღება, პრეპარატის ინიცირება ხდება ვენაში.

აუტოჰემოთერაპიისას უპირატესობა Nosode-Injeel ფორმებს ენიჭება, თუმცა ნოზოდები ყოველთვის ბოლო საფეხურზე გამოიყენება.

ნოზოდური პრეპარატების გამოყენება ბავშვებში. ნოზოდური პრეპარატების დოზირება მნიშვნელოვნად არ განსხვავდება სხვა ჰომეოპათიური საშუალებების დოზირებისგან, ანუ ბავშვები იღებენ შედარებით მცირე დოზებს, ვიდრე დიდები.

დოზირება ბავშვებისათვის:

0 – 1 წლამდე დაახლოებით 0.3 მლ;
1 – 6 წლამდე დაახლოებით 0.5 მლ;
6 – 12 წლამდე დაახლოებით 0.6 მლ;
12 წელზე ზევით – როგორც დიდების დოზა.

ბავშვებისათვის D4 – D8 პოტენციები მკურნალობის დასაწყისში მიიღება ისევე, როგორც მეტ-ნაკლებად მწვავე შემთხვევაში.

შეყვანის ფორმა იგივეა, რაც დიდებისათვის. უფრო მაღალი პოტენციები (D12 – D30) გამოიყენება როგორც ბავშვებში, ისე დიდებში (მკურნალობა იწყება დაბალი პოტენციებით D4 – D8) და/ან ეს პოტენციები (D12 – D30) გამოიყენება ქრონიკული დაავადების მკურნალობისას.

ძირითადი ინფორმაცია. როგორც "ადგილობრივი საშუალებები", ნოზოდები განაპირობებს ეფექტურ დამხმარე მოქმედებას ნებისმიერი ტიპის თერაპიისთვის. თერაპიულ რეაქციათა ჯაჭვში ნოზოდები გამოტოვებული რგოლის როლს ასრულებს ისე, რომ მის გარეშე მკურნალობა უშედეგოა ან ძალიან ძნელად მიიღწევა. ჰომოტოქსიკოლოგიური ასპექტიდან გამომდინარე, ნოზოდები ძირითადად გამოიყენება უჯრედული ფაზის ჰუმორულ ფაზაში გადასასვლელად, რათა მიღწეულ იქნეს რეგრესული ვიკარიაცია. ნოზოდები ჰუმორულ ფაზაში გამოიყენება იმ შემთხვევაში, როდესაც პროგრესული ვიკარიაციის და დაავადების ქრონიკულ ფორმაში გადასვლის საშიშროებაა.

ელექტროაკუპუნქტურული მეთოდით მომუშავე ექიმები წარმატებით იყენებენ ნოზოდებს დიაგნოსტიკური თვალსაზრისით და საკურნალოდ. მათ ინდივიდუალური პრეპარატის შერჩევა შეუძლიათ სამედიცინო ტესტირების საშუალებით.

ნოზოდური პრეპარატები:

Adenoma prostatae-Injeel	Parodontose-Nosode-Injeel
Adenoma prostatae-Injeel forte	Parodontose-Nosode-Injeel forte
Bacterium coli-Injeel	Salmonella typhi-Injeel
Coxsackie-Virus-A9-Injeel forte	Salmonella typhi-Injeel forte
Herpes zoster-nosode-Injeel	Staphylococcus-Injeel
Herpes zoster-nosode-Injeel forte	Staphylococcus-Injeel forte

3.2.5. სუის-ორგანული პრეპარატები

სუის-ორგანული პრეპარატები ანტიჰომოტოქსიკური თერაპიის მნიშვნელოვან შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს. ისინი უპირატესად ქრონიკული დაავადების მკურნალობისას გამოიყენება უჯრედულ

ფაზაში. ამ პრეპარატებს ორგანოთა ფუნქციების რეაქტივაციის ბრწყინვალე უნარი გააჩნია, განსაკუთრებით ხანშიშესულ პაციენტებში. პრეპარატები Simile-ს პრინციპის თანახმად გამოიყენება, რაც ნიშნავს თითოეულ ორგანოზე შესაბამისი პრეპარატის დანიშვნას. სუის-ორგანული პრეპარატები შეიცავს ორგანულ პროდუქტებს, რომლებიც ჰომეოპათიურად მუშავდება, ანუ ზავდება და პოტენცირდება გერმანული ოფიციალური ჰომეოპათიური ფარმაკოპეის (HAB1, 1978) 42-ე პუნქტის თანახმად. პირველადი მასალა მიღებულია ჯანმრთელი ღორის ორგანული ქსოვილისგან. სუის-ორგანული პრეპარატები ხასიათდება, როგორც მასტიმულირებელი თვისების მქონე ორგანულ-სპეციფიკური მედიკამენტები. სუის-ორგანული პრეპარატების მოქმედების მექანიზმი ეფუძნება სუბსტანციების ორგანოტროპულ ეფექტს და/ან მათში შემავალ მასტიმულირებელ ნივთიერებებს.

ადამიანის და ღორის ქსოვილები იჩენენ რიგ მსგავსებას ქიმიური და ბიოლოგიური ასპექტით, რითაც ჰომეოპათიური მსგავსება იქმნება. ადამიანისა და ღორის ორგანიზმებს შორის მორფოლოგიური და სხვა ბიოლოგიური მსგავსება ბოლო რამდენიმე ათეული წლის განმავლობაში მრავალჯერ აისახა სხვადასხვა მეცნიერის ნაშრომში.

სუის-ორგანული პრეპარატები გამოიყენება ადამიანის პომოლოგიური ორგანოს სამკურნალოდ. სუის-ორგანული პრეპარატებით მკურნალობა სპეციფიკურია, პირველ რიგში, უჯრედულ ფაზებში, კერძოდ, ქრონიკული დაავადებებისას (ანუ იმპრეგნაციის, დეგენერაციის და დედიფერენციაციის ფაზები). თუმცა მათი გამოყენება ბიოლოგიური ბარიერის მარცხნივ მდებარე ფაზების შემთხვევაშიც არის შესაძლებელი (ჰიპერჰიდროზი, დისმენორეა, ყაბზობა, თირკმლის გამომყოფი ფუნქციის დაქვეითება და სხვა). სუის-ორგანული პრეპარატები გამოიყენება დეპონირების ფაზის დაავადებებისას, როგორიცაა რევმატული დაავადებები, მიომა, კენჭოვანი დაავადებები, გაცხიმოვნება და სხვა.

დოზირება და მიღების წესები. ქვემოთ მოყვანილ ცხრილში ნაჩვენებია სუის-ორგანული პრეპარატების მიღების სქემა, ქრონიკულ ან დეგენერაციულ ორგანულ დაზიანებათა თერაპიისას.

კლინიკური განკურნების მიღწევის შემდეგ შესაძლებელია ორგანული პრეპარატის განმეორებით 2-3 კვირაში ერთხელ მიღება.

სუის-ორგანული Injeel-ფორმის 4-5 კვირიანი მიღების შემდეგ გამოიყენება Injeel-forte ფორმის ტესტ-ამპულა, რათა დადგინდეს ორგანოს ფუნქციური რეგენერაციის პროგრესის დონე. ანუ თერაპიული თვალსაზრისით განკურნების პროცესი მყარად მიმდინარეობს თუ არა. დეგენერაციის ფაზის მწვავე დაავადებების მკურნალობისას

საავარაუდო ვადები	თერაპიული ზომები
3-4 კვირა	წინასწარი მკურნალობა სადეზინტოქსიკაციო აგენტებით, როგორებიცაა Hepeel, Lymphomyosot, Galium-Heel, Engystol N, Psorinoheel N, Ubichinon compositum, Coenzyme compositum და სხვა.
4-5 კვირა	სუის-ორგანული პრეპარატები მიიღება 1-2-ჯერ კვირაში კუნთში, კანში, კანქვეშ, აკუპუნქტურულ წერტილებში, პერორალურად ან როგორც პროგრესული აუტოპემოთერაპია; თავიდან გამოიყენება Injeel ფორმა, ხოლო შემდეგ Injeel-forte ფორმა, 6-8 ინექცია, ინდივიდუალურად, შესაბამის ანტიჰომოტოქსიკურ საშუალებებთან ერთად.
3-4 კვირა	სუის-ორგანული პრეპარატების მიღება წყდება და გრძელდება ინდივიდუალურად შერჩეული ანტიჰომოტოქსიკური პრეპარატების მიღება. განმეორებით სუის-ორგანული პრეპარატები საჭიროების მიხედვით ინიშნება.

და დედიფერენციაციის ფაზის დაავადების დროს თერაპიული ჩარევის მცდელობისას საჭიროა ინექციების უფრო ხშირი გამოყენება (ყოველ 2-3 დღეში ერთხელ), რეგრესული ვიკარიაციის ხელშემწყობ აგენტებთან ერთად (Galium-Heel, Engystol N, Traumeel S); ყველაზე კარგი ეფექტი მიიღება კომბინირებული ინექციების მეშვეობით. ხშირად გამოიყენება ისეთი კომბინირებული ინექციები, რომლებიც, თითოეული კერძო შემთხვევისას, ხელს უწყობს ორგანოტროპულად ნაჩვენები ბიოთერაპიული საშუალებების (მაგალითად Hepeel-თან ერთად) მოქმედებას. ზოგიერთ შემთხვევაში ერთ პაციენტს რამდენიმე სუის-ორგანული პრეპარატი ენიშნება; ეს შეიძლება გაკეთდეს როგორც კომბინირებული ინექცია (ერთ შპრიცში), ან მონაცვლეობით.

სუის-ორგანული პრეპარატების ინექციების ინტრავენური გამოყენება უნდა მოხდეს ფრთხილად, ანუ ასეთი სახით ინიცირება სასურველია პრეპარატის კუნთში, კანქვეშ ან კანშიდა შეყვანის შემდეგ.

ორგანოთერაპიულად ნაჩვენები სუის-ორგანული პრეპარატებით სარგებლობის წინ, სასურველია 2-3 კვირის განმავლობაში გამოვიყენოთ ფუნქციურად ნაჩვენები შესაბამისი სუის-ორგანული პრეპარატები, რომლებსაც ტოქსიკური წმენდის უნარი გააჩნია. მაგ., ჰეპატურ მოშლილობათა სამკურნალოდ Hepar suis-ამდე Vesica fellea suis გამოიყენება, რენალური დარღვევების შემთხვევაში Ren suis-მდე გამოიყენება Vesica Urinaris suis და Ureter suis

ან Pyelon suis. მწვავე ინტოქსიკაციის შემთხვევაში ყველაზე მიღებული პროცედურაა მინიშნებული სუის-ორგანული პრეპარატის დასაწყისში გამოყენება, ესაა ორგანული პრეპარატი Colon suis D10, D30, D200 (კვირაში 1-2-ჯერ კუნთში ან კანქვეშ 2-3 კვირის განმავლობაში). ამ შემთხვევაში Colon suis ნაჩვენებია, როგორც კუჭ-ნაწლავის გამომყოფი ფუნქციის ხელშემწყობი და მანორმალიზებელი ფაქტორი.

სუის-ორგანული პრეპარატები გამოიყენება საფეხუროვან აუტოჰემოთერაპიაში შემდეგი დაავადებების სამკურნალოდ: იატროგენური დაზიანებანი, ღვიძლის ტოქსიკური დაზიანებები. შაკიკი, ქრონიკული ეგზემა, ბრონქული ასთმა, თორმეტგოჯა ნაწლავის და კუჭის წყლულები, ართროზი და ლიმფატიზმი. სუის-ორგანული პრეპარატები გამოიყენება ჰიპერიმუნიზაციის დროსაც.

სუის-ორგანული პრეპარატების გამოყენების შეზღუდვა: რადგანაც იმუნოლოგიური მექანიზმები სუის-ორგანული პრეპარატებით სტიმულირდება, გამოხატული კახექსიის და/ან მარაზმის შემთხვევაში ეს მოქმედება შემდგომში მოსალოდნელი აღარ არის. გარდა ამისა, ზოგიერთ შემთხვევაში ამ დაავადების მქონე პაციენტებში დაზიანებული უჯრედების დეგრადაციისას ადგილობრივი რეაქციები საშიშროებას უქმნის ამ პაციენტებს.

სუის-ორგანული პრეპარატების გამოშვების ფორმები: პარენტერალური (შესაძლებელია პერორალური) თერაპიისათვის სუის-ორგანული პრეპარატები 1.1 მლ-იანი ამპულების სახით იწარმოება ჩვეულებრივი Injeel ფორმა D10, D30, D200 და Injeel-forte ფორმა D8, D12, D30, D200. რიგი სუის-ორგანული პრეპარატებისა იწარმოება ერთეულოვან პოტენციებშიც – D6 და D200 (1.1 მლ-იანი ამპულა).

მითითება: რეცეპტის გამოწერის შემთხვევაში ექიმი ვალდებულია რეცეპტში ზუსტად მიუთითოს გამოშვების ფორმა ("Injeel" ან "Injeel-forte").

სუის-ორგანული პრეპარატები:

Bronchalis suis-Injeel
Bronchalis suis-Injeel forte
Cartilago suis-Injeel
Cartilago suis-Injeel forte
Cerebrum suis-Injeel
Cerebrum suis-Injeel forte
Hepar suis-Injeel
Hepar suis-Injeel forte
Prostata suis-Injeel forte
Ren suis-Injeel
Ren suis-Injeel forte forte
Testis suis-Injeel
Testis suis-Injeel forte

4. ბიოთერაპიულ-ანტიჰომოტოქსიკური საშუალებანი, მათი სამედიცინო თერაპიული მოქმედება

4.1. განსხვავება ბიოთერაპიულ-ანტიჰომოტოქსიკურ და კლასიკურ ჰომეოპათიურ პრეპარატებს შორის

კლასიკოსი ექიმი-ჰომეოპათი მკურნალობისას მხოლოდ ერთეული საშუალებებით სარგებლობს, რომელთა შემადგენლობა ჰომეოპათიური ფარმაკოპეული წარმოების მიერ მკაცრად განსაზღვრული წესებით არის პოტენცირებული და რომელთა გამოყენება ანამნეზის და დასკვნითი რეპერტორიზაციის შედეგად წარმოებს Simile წესის შესაბამისად. ბიოთერაპიულ-ანტიჰომოტოქსიკური პრეპარატები მკურნალი ექიმის მიერ, როგორც წესი, ჩვენებების მიხედვით გამოიყენება. ეს საშუალებები შედგება ჰომეოპათიური ნივთიერების კომბინაციებისაგან და სამედიცინო დეფინიციის მიხედვით წარმოადგენს EU- ხაზის 92/73 EC ჰომეოპათიურ პრეპარატებს, რომელთა წარმოება მხოლოდ ოფიციალური გერმანული ჰომეოპათიური ფარმაკოპეის (HAB 2000) მითითებით ხდება.

კლასიკური ჰომეოპათიური საშუალებებისაგან განსხვავებით, ბიოთერაპიულ-ანტიჰომოტოქსიკურ ნივთიერებათა თერაპიული გამოყენებისას, საქმე არსებითად ეხება რეკევეგის მიხედვით ამ პრეპარატების ჰომოტოქსიკოლოგიის შესაბამისად დანიშვნას. კერძოდ, იმას, რომ თავდაპირველად ექიმი რეკევეგის 6-ფაზიანი ცხრილის მიხედვით საზღვრავს, თუ რომელ ფაზაშია ამჟამად პაციენტის დაავადება.

დაავადებათა ფაზური მიმდინარეობის გამო მკურნალმა ყურადღება უნდა მიაქციოს ვიკარიაციულ ეფექტს, რომელიც გულისხმობს ავადმყოფობის ერთი ფაზიდან მეორეში გადასვლას. თერაპიის მიზანს წარმოადგენს დაავადების უკუსვლა ბიოლოგიური ბარიერის მარჯვნივ მდებარე ფაზებიდან – (4-6 ფაზა) მარცხნივ მდებარე ფაზებისაკენ (1-3 ფაზა). ამისთვის, თითოეულ შემთხვევაში, ჰომოტოქსინების გამოდევნა უნდა განხორციელდეს შესაბამისი ანტიჰომოტოქსიკური საშუალებებით.

დაავადებათა მნიშვნელოვანი სირთულის გამო, განსაკუთრებით

მათი ქრონიზაციისკენ მიმდინარეობისას, ანტიჰომოტოქსიკური თერაპიის წარმატებისთვის გადამწყვეტია ბიოლოგიური-ანტიჰომოტოქსიკური საშუალებების გამოყენება "ფაზათა შესაბამისად". ამასთან, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ დაავადებათა ე.წ. მატრიცულ (3-4 ფაზა), დეგენერაციულ და დედიფერენციაციულ ფაზებში გამოყენებული იქნეს კომპოზიციური პრეპარატები, რადგანაც ამ საშუალებებში სპეციფიკურ კლასიკურ ჰომეოპათიურ ნივთიერებებთან ერთად ისეთი ანტიჰომოტოქსიკური ნივთიერებებიც შედის, როგორებიცაა პოტენცირებული suis-ორგანული გამონაწყლილები, კატალიზატორები, ნოზოდები და, ზოგიერთ შემთხვევაში, ე.წ. ჰომეოპათიზირებული ალოპათიური საშუალებანი. როგორც პრაქტიკამ აჩვენა, კარგად შერჩეულ, კლასიკურ ჰომეოპათიურ პრეპარატებს ხშირად არ შეუძლია უჯრედულ ფაზაში (4 და 5 ფაზა) მყოფი დაავადების რეგრესულ ვიკარიაციაში გადაყვანა, თუ არ ვიზრუნებთ იმაზე, რომ უჯრედულ დონეზე აღმოჩენილი ენზიმური დეფექტები ან ბლოკადები ადრევე იქნეს თაყიდან აცილებული სწორად შერჩეული ისეთი ანტიჰომოტოქსიკური საშუალებებით, როგორებიცაა კატალიზატორები, suis-ორგანული ნივთიერებები, ნოზოდები და ჰომეოპათიზირებული ალოპათიური საშუალებები. შესაბამისი Simile მოქმედებს მხოლოდ ბლოკადის მოხსნის შემდეგ, ვინაიდან ჰომეოპათიურ ერთეულ საშუალებას ესაჭიროება უბანი, რომელიც თუნდაც ნაწილობრივ იქნება პასუხისმგებელი მასტიმულირებელ გაღიზიანებაზე; რეაქციის ბლოკადის მოხსნა კი საჭიროა სხვა სტრატეგიით, როგორიცაა ჰომოტოქსინების გამოდევნა ანტიჰომოტოქსიკური საშუალებებით, საფეხურებრივი აუტოჰემოთერაპია, ნევროლოგიური მკურნალობა და დიეტა.

რეგრესული ვიკარიაციის მიღწევას ხელს უწყობს კარგად შერჩეული შესაბამისი ერთეული საშუალებები, Injeel/forte ფორმები, კატალიზატორები, ნოზოდები და suis-ორგანული პრეპარატები ან კომბინირებული, განსაკუთრებით ე.წ. კომპოზიციური პრეპარატები. როდესაც დგება რეგრესული ვიკარიაციის ეფექტი და მეორადი ან მესამეული დაავადება რეგრესირებს, მაგალითად მე-2 ფაზაში, მაშინ შესაძლებელია წარმატებით გამოვიყენოთ კლასიკური ერთეული საშუალებანი ან მხოლოდ კლასიკურ ერთეულ შემადგენელ ნაწილთა კომბინაციის შემცველი ანტიჰომოტოქსიკური პრეპარატები.

ზემოთ თქმულიდან გამომდინარე ბიოთერაპიულ-ანტიჰომოტოქ-

სიკურ საშუალებათა მიზანმიმართული გამოყენებისათვის საჭიროა:

- დაავადების ფაზის დადგენა,
- ვიკარიაციულ ეფექტთა შეცნობა,
- ჰომოტოქსინთა გამოდევნა,
- დაავადების ანტიჰომოტოქსიკური ან ჰომეოპათიური მკურნალობა ვიკარიაციის შემდეგ აღმოცენებულ გამოყოფის ფაზაში.

ჰომეოპათიურ სამკურნალო საშუალებათა ინდივიდუალური შერჩევა შესაძლებელია პრეპარატთა რამდენიმე სურათის კომბინაციით, როგორც ეს ანტიჰომოტოქსიკურ კომპოზიციურ პრეპარატებშია.

4.2. ბიოლოგიური ბარიერის მარჯვნივ მდებარე დაავადებათა მკურნალობა ბიოთერაპიულ-ანტიჰომოტოქსიკური საშუალებებით

ბიოლოგიური ბარიერის მარჯვნივ მდებარე ფაზებისთვის საერთოა შემდეგი თვისებები:

მათ აქვთ განვითარების უფრო ხანგრძლივი დრო, ანუ დაავადება ავლენს ქრონიკულ ხასიათს;

ქრონიზაციის შედეგად, უჯრედთა ორგანელებში, როგორც წესი, ვლინდება სტრუქტურული დაზიანებანი;

სტუქტურული დაზიანებანი ხშირად აიხსნება პროცესთა ფიზიოლოგიური მეტაბოლური ჯაჭვის ბლოკადით (ენზიმური ბლოკადა);

მატრიცის ფუნქცია მკვეთრად არის შეცვლილი ნივთიერებათა ცვლის შედეგად დაგროვებული მეტაბოლიტებით (=ჰომოტოქსინები) და თანმხლები ხშირი აციდოზის გამო;

მატრიცის ცვლილება, თავის მხრივ, ზემოქმედებს მატრიცის შიგნით მიმდინარე იმუნოლოგიურ რეაქციებზე (იმუნოტოქსიკური და პარადოქსალურად მიმდინარე რეაქციები);

ამ მიზეზით, მოსაზღვრე პარენქიმულ უჯრედთა საკვები ნივთიერებებით ჩვეული მომარაგება სისხლძარღვთა კაპილარებით, მკვეთრად შეცვლილი ან შეზღუდულია (მატრიცის ტრანზიტული ფუნქციის დარღვევა).

მატრიცისა და მის ფიზიოლოგიურ რეაქციათა ცვლილებასთან ერთად ირღვევა მავნე ნივთიერებათა და მეტაბოლიტთა გამოდევნის პროცესი და იწყება პარენქიმულ ორგანოთა უჯრედების რეინტოქსიკაცია ამ ნივთიერებათა დაშლის პროდუქტებით (ჰომო-

ტოქსინები).

ზემოთ აღნიშნული ცვლილებებისას (განსაკუთრებით მატრიცაში), ბიოლოგიური ბარიერის მარჯვნივ მდებარე დაავადებების დროს, დაზიანებათა აღსაკვეთად არსებობს საერთო ანტიჰომოტოქსიკური სტრატეგია:

მაენე ნივთიერების შემდგომი მიწოდების შეჩერება, მაგალითად დიეტით.

პრეპარატ-კატალიზატორების დახმარებით ენზიმურ სისტემათა ბლოკადის მოხსნა, განსაკუთრებით, აქტიური ნივთიერებათა ცვლის მქონე ანუ ზოგადად "სადრენაჟო" ორგანოებში (ღვიძლი, თირკმელები, კუჭ-ნაწლავის ტრაქტი, ფილტვები);

ქსოვილოვანი აციდოზის თავიდან აცილება, მაგალითად ტუტოვანი საკვებით; მატრიცის დრენაჟი დეზინტოქსიკაციის სხვადასხვა ტექნიკით, როგორიცაა ლიმფური დრენაჟი, ფიზიოთერაპია (საუნა), ჰომეოპათიური ლიმფატიური სადრენაჟო საშუალებების მიცემა (მაგ., Lymphomyosot);

უჯრედშიდა დაზიანებულ სტრუქტურათა თერაპიული აღდგენა შესაბამისი ანტიჰომოტოქსიკური პრეპარატების (მაგ., suis-ორგანული პრეპარატები) საშუალებით.

მატრიცის დრენაჟისას ლიმფატიურ საშუალებებთან ერთად რეკომენდებულია ნოზოდების მიცემაც, რაც იზოთერაპიულად მოქმედებს მაღალსპეციფიკურ გაღიზიანებადობაზე ტოქსიურობის შესაცვლელად. როგორც ცნობილია, ნოზოდები გარკვეული უბნის სამკურნალო საშუალებას წარმოადგენს და აქვს თვისება, ორგანიზმს "შეახსენოს" ამ ნივთიერებებით გამოწვეული სპეციფიკური, "მსგავსი" ან შედარებით ტოქსიკური საერთო სიტუაციები.

ძლიერმოქმედი ალოპათიური საშუალებების ხშირი მიღებით გამოწვეული ინტოქსიკაციის სამკურნალოდ ავადმყოფს შეიძლება შევთავაზოთ შესაბამისი ჰომეოპათიზირებული ალოპათიური პრეპარატი "წამალი-ნოზოდის" სახით. ალოპათიური საშუალების ჰომეოპათიზაციით, რომელიც დაახლოებით D6 პოტენციას შეესაბამება, ხდება ამ ალოპათიური საშუალების მომწამვლელი მოქმედების შეცვლა. ამ პროცესს მეცნიერულად დამაჯერებლად ხსნის არნდტ-შულცის წესი ან Hormesis-ეფექტი.

ენზიმების ან ნივთიერებათა ცვლის ჯაჭვთა ბლოკადების მოხსნა ძალიან ეფექტურად მიიღწევა ანტიჰომოტოქსიკური პრეპარატ-კატალიზატორებით, როგორებიცაა Coenzyme compositum და

Ubichinon compositum (მიიღება მონაცვლეობით). ორივე პრეპარატი ვიტამინთა და კოენზიმთა მნიშვნელოვან კომბინაციასა და ენერგიის მიმწოდებელ ნივთიერებათა ცვლის შუალედურ პროდუქტებს შეიცავს D6 პოტენციიდან. შმიდტის მიხედვით, ეს პრეპარატები მოლეკულურ დონეზე წარიტაცებს მიტოქონდრიებს და ორგანიზმს ენერგიის მიმწოდებელ უჯრედშიდა პროცესთა რეგულირებაში ეხმარება. ამასთან, პოტენციები D6-დან D10-მდე თანმიმდევრობით მონაცვლეობს და შეუძლია მეტაბოლური დარღვევების გამოცოცხლება ენერგიით მომმარაგებელ ციკლში.

ნებისმიერი მიმე დაავადება, რომელიც თვითგანკურნებისადმი ტენდენციას აღარ აკლენს და ენერგიის მიწოდების პროცესთა დარღვევებთან არის დაკავშირებული, ყველა შემთხვევაში საჭიროებს პრეპარატ-კატალიზატორების მუდმივ ან მონაცვლეობით (სხვა ანტიჰომოტოქსიკურ პრეპარატებთან) დანიშვნას, რაც წარმატებით მტკიცდება როგორც ადამიანთა მედიცინის, ისე ვეტერინარიის სამკურნალო პრაქტიკაში.

მკურნალობის პროცესში ორივე კატალიზატორ-პრეპარატის მნიშვნელოვან დამატებას მიკროელემენტთა კომბინაცია წარმოადგენს, მაგალითად Molybdän compositum რომლის შემადგენელი მიკროელემენტები მოლიბდენი, თუთია, რკინა, კობალტი, მანგანუმი, სპილენძი, ნიკელი, რუბიდიუმი კომბინირებენ გოგირდსა და ფოსფორთან. ორი უკანასკნელი პოლიქრესტებს წარმოადგენს და ძლიერი მასტიმულირებელი მოქმედება გააჩნია ლორწოვან გარსებსა და ქსოვილოვან უჯრედებზე, ისინი ჰომეოპათიაში ე.წ. რეაქტიულ საშუალებებს განეკუთვნება. ზემოხსენებული მიკროელემენტები გვხვდება მარილების სახით D3-დან D8 პოტენციამდე. ამ დიაპაზონში მოცემულ მიკროელემენტებს ტოქსიკური ზემოქმედება უკვე აღარ გააჩნია და მასტიმულირებელი ან ჩანაცვლებადი ეფექტი აქვს. ეს ელემენტები მრავალ ენზიმდამოკიდებული რეაქციის კატალიზს ახდენენ. როგორც ცნობილია მოლიბდენი, თუთია, ნიკელი, სპილენძი, მანგანუმი და კობალტი იმ ელემენტებს წარმოადგენს, რომელიც განსაზღვრული ენზიმური კომპლექსებისთვის არის მნიშვნელოვანი, ანუ მათ გარეშე ეს ენზიმური კომპლექსები არ მუშაობს.

ზემოთ თქმულიდან ნათელია, რომ კომპოზიციურ პრეპარატებში შემავალი კატალიზატორები, მინერალები და მიკროელემენტები ნაჩვენებია ენერგეტიკული დეფიციტით მიმდინარე ყველა ქრონიკული

დაავადებისას, მაგალითად, ქრონიკული დაღლილობის სინდრომის და ორგანიზმის ასაკობრივი ცვეთით გამოწვეული დაავადებებისას.

4.3. ბიოლოგიური ბარიერის მარცხნივ მდებარე დაავადებათა ანტიჰომოტოქსიკური მკურნალობა

ბიოლოგიური ბარიერის მარცხნივ მდებარე ფაზების (1-დან 3-მდე) დაავადებათა მკურნალობა შედარებით "არასპეციფიკური" ჰომეოპათიური ნივთიერებებითაა შესაძლებელი. აქ "არასპეციფიკური" ნიშნავს, რომ პრეპარატის მოქმედების წერტილი არ არის კონცენტრირებული განსაზღვრულ, მაგალითად, დეგენერაციულად დაზიანებულ ორგანოზე. მისი მოქმედება მთელს ორგანიზმზე ვრცელდება, განსაკუთრებით სისხლისა და ლიმფური სისტემის საშუალებით.

პრაქტიკამ გვაჩვენა, რომ მატრიცული ფაზის, უპირატესად დეპონირების ფაზის (მე-3 ფაზა), დაავადებების მკურნალობა ეფექტურია ე.წ. საფეხურებრივი აუტოჰემოთერაპიით, ანუ საკუთარი სისხლის ნოზოდებისა და რეაქტიული საშუალებების კომბინაციით. ამ პრეპარატების ტიპური წარმომადგენლებია, მაგალითად, ქცელა ინფექციური დაავადებისას გამოსაყენებელი არასპეციფიკური მასტიმულირებელი საშუალებები, როგორებიცაა: Gripp-Heel, Engystol N ან Traumeel S. ამ პრეპარატთა მოქმედება ეფექტურად ძლიერდება საფეხუროვანი აუტოჰემოთერაპიით, ვინაიდან ხორციელდება საკუთარი სისხლის ნოზოდებით დამატებითი იმუნოლოგიური გაღიზიანება (განსაკუთრებით მატრიცის).

კლასიკურ ჰომეოპათიურ ნივთიერებათა ე.წ. ერთეული Injeel-პრეპარატების გამოყენება ჰუმორული ფაზის დაავადებათა მკურნალობის მეთოდებს მიეკუთვნება. ამასთან, დაბალ და მაღალ პოტენციათა კომბინაციას ის უპირატესობა გააჩნია, რომ მათი თერაპიული მოქმედება საკმაოდ დამზოგავად მოქმედებს და არ იწვევს პირველად გაუარესებას.

ჰუმორული ფაზის ყველა დაავადებისას საჭიროა იმის გათვალისწინება, რომ უჯრედშიდა სტრუქტურები ჯერ კიდევ ინტაქტურია და ენზიმური ბლოკადები ან უჯრედული სტრუქტურული დეფექტები არ გამოვლენილა. ამის საფუძველზე, ჰომეოპათიური

Simile ორგანიზმს აიძულებს გამოავლინოს ტოქსინსაწინააღმდეგო სპეციფიკური მოქმედება, რომელიც უფრო ძლიერდება საკუთარი სისხლის ნოზოდების საშუალებით.

დეპონირების ფაზა, რეკევეგის მიხედვით, ჯერ კიდევ ჰუმორულ ფაზებს მიეკუთვნება, ვინაიდან ჰომოტოქსინი აქ მხოლოდ კაფსულირებულია მატრიცაში და ასე ვთქვათ, ცვლის პროცესში გარეთ გამოიტანება, როგორც ნაგავსაყრელზე. ეს ფაზა ყოველთვის მაშინ დგება, როდესაც ანთებით ფაზაში ორგანიზმი ტოქსინების დაშლას ვეღარ ახერხებს.

დეპონირების ფაზაში ჰომოტოქსინები ორგანიზმის გარკვეულ ადგილებში კონდენსირდება, თუმცა ამ დროს მაინც არ აღინიშნება მატრიცის სტრუქტურული ცვლილებები ან დიდი მასშტაბის ფუნქციური დარღვევები. სანამ მატრიცას ფიზიოლოგიური მფილტრავი და დამცავი ფუნქციების შესრულება შეუძლია, გარემომცველი პარენქიმული უჯრედებისა და ქსოვილების რეგულაცია გარანტირებულია. მდგომარეობა დრამატულად იცვლება მხოლოდ ბიოლოგიური ბარიერის გადაკვეთის შემდეგ, როცა სულ უფრო მეტი რაოდენობით დაგროვილი კონდენსირებული ჰომოტოქსინების გამო მატრიცის საკუთარი სტრუქტურა იმდენად იტვირთება, რომ უკვე აღარ შეუძლია მფილტრავი და დამცავი ფუნქციების შესრულება. ამიტომ ჰომოტოქსინები ქსოვილოვან უჯრედებში აღწევს და უჯრედულ, ე.წ. სტრუქტურულ ცვლილებებს იწვევს უჯრედის ორგანელებში, მაგალითად მიტოქონდრიასა ან ბირთვში.

4.4. ჰომაკორდის და Injeel-ის მოქმედება

ჰომაკორდი და Injeel ან Injeel-ნარევი ისეთი პრეპარატებია, რომლებიც ერთი ან რამდენიმე ნივთიერების პოტენციის რამდენიმე საფეხურს შეიცავს. ამასთან, როგორც წესი, დაბალი პოტენცია, საშუალო და მაღალ პოტენციასთანაა კომბინირებული. პოტენციათა ამ კომბინაციას (პოტენციათა აკორდი) საფუძვლად ასი წლის თერაპიული გამოცდილება უდევს, რომლის მიხედვითაც დაბალი, საშუალო და მაღალი პოტენციების ერთდროული მიღება მდგომარეობის საწყის გაუარესებას ამცირებს.

პოტენციების აკორდები ორგანიზმზე მოქმედებს რამდენიმე იერარქიულ დონეზე, კერძოდ ორგანოტროპულ დონეზე – დაბალი პოტენციები, ფუნქციოტროპულზე – საშუალო და "ინფორმაციულ" ან "სულიერზე" მაღალი პოტენციები. ვინაიდან ქრონიკული ან მძიმე დაავადებების რეგრესული ვიკარიაციის მიმდინარეობისას მე-4, მე-5 ან მე-6 ფაზებიდან ჩნდება მნიშვნელოვანი ფუნქციური და ინფორმაციული, მაკროსკოპულად შესამჩნევი ორგანო-სტრუქტურული ცვლილებები, ამიტომ აკორდი-პოტენციების შემცველობის პრეპარატი გამოიყენება უჯრედულ დაავადებათა სამკურნალოდ მათ შემადგენლობაში მაღალი პოტენციის არსებობის გამო.

5. ზოგადი მითითებები ანტიჰომოტოქსიკური პრეპარატების გამოყენების შესახებ

5.1. ბიოთერაპიულ-ანტიჰომოტოქსიკური საშუალებების გამოყენების სახეები

ბიოთერაპიულ-ანტიჰომოტოქსიკური საშუალებების გამოყენება შეიძლება პერორალურად, პარენტერალურად ან ადგილობრივად (გარეგანად). ამასთან, კარგად ლოკალიზებული ჩივილების შემთხვევაში, რეკომენდებულია პერორალური და ადგილობრივი საშუალებების კომბინირება, მაგალითად, ტრავმის ან რევმატიული დაავადებების დროს. საყრდენმამოძრავებელი აპარატის დაავადებათა თერაპიისას ფართოდ გამოიყენება ორგანიზმის გარკვეული უბნების სეგმენტური პარენტერალური მკურნალობა სუბკუტანური და ინტრაკუტანური ბებერას სახით ან ინფილტრაციის გზით.

ბიოთერაპიულ-ანტიჰომოტოქსიკური საშუალებებით, როგორც საერთოდ ჰომეოპათიური პრეპარატებით, თერაპიის განსაკუთრებით ფართოდ გავრცელებულ მეთოდს აბების ან წვეთების სისტემატური პერორალური ხმარება წარმოადგენს. ბავშვებში გამოიყენება სანთლებიც.

ცალკეულ შემთხვევებში ინექციები, პარენტერალური თერაპიის ნაცვლად, პერორალურად მისაღები ამპულების სახით შეიძლება იქნეს გამოყენებული. ეს განსაკუთრებით რეკომენდებულია ალკოჰოლის გამოყენების შეუძლებლობის შემთხვევაში, მაგალითად,

ბავშვებში ან ისეთ პაციენტებში, რომელთაც ალკოჰოლი ვნებთ.

ინექციების გამოყენება მრავალფეროვანია და მოიცავს ინტრავენურ, ინტრამუსკულარულ, კანქვეშა და კანშიდა ინიცირებას ბებერას მეთოდით, ასევე სეგმენტურ, პერიარტიკულარულ და ცალკეულ შემთხვევაში ინტრაარტიკულარულ სახეს. პერიარტიკულარული გამოყენება რეკომენდებულია, როგორც პერიარტიკულარული კანქვეშა ინექცია, განსაკუთრებით სახსრის და კარგად ლოკალიზებული ტკივილებისას. ბიოთერაპიულ-ანტიჰომოტოქსიკურ საშუალებათა ინექციებისა და ნეიროთერაპიულ ნივთიერებათა (როგორიცაა Procain ან Xylocain) კომბინაციით შესაძლებელია მდგომარეობის გაუმჯობესების მიღწევა გაურთულებლად და ძალიან სწრაფად; და ბოლოს, მეტად ეფექტურია აკუპუნქტურულ წერტილებში ბიოთერაპიულ-ანტიჰომოტოქსიკურ საშუალებათა გამოყენება.

5.2. ანტიჰომოტოქსიკური პრეპარატების მიღების ზოგადი წესები

მკურნალობის სქემებში (თავი 2) ნაჩვენები პრეპარატები აპრობირებულია მრავალრიცხოვანი ექიმის მიერ (როგორც გერმანიაში, ასევე მსოფლიოს სხვა ქვეყნებში), რომლებიც მრავალი წლის განმავლობაში იყენებდნენ ანტიჰომოტოქსიკურ თერაპიას. გარდა ამისა, მკურნალობის სქემების შედგენისას გათვალისწინებული იყო ბოლო ხანებში ჩატარებული სამეცნიერო გამოკვლევების შედეგები.

ფირმა -Heel-ის პრეპარატებით მკურნალობის დროს გამოიყენება ორი მეთოდი:

1. მოკლევადიანი თერაპია, რომელიც გამოიყენება მწვავე, უეცრად წარმოშობილი დაავადებების სამკურნალოდ.

2. ხანგრძლივი, გრძელვადიანი თერაპია, რომელიც გამოიყენება ქრონიკული დაავადებების სამკურნალოდ.

მოკლევადიანი თერაპიის მეთოდისას ნაჩვენებია შესაბამისი პრეპარატების ხშირი მიღება: როგორც წესი, 1 აბი ან 10 წვეთი ყოველ 15 წუთში, ორი საათის განმავლობაში (მაინიცირებელი თერაპია). დაავადების დასაწყისში საინექციო ხსნარი გამოიყენება ყოველდღე. დაავადების განსაკუთრებით მძიმე ფორმებისას 3-ჯერ დღეში. რაც უფრო მძიმეა დაავადება, ზოგადი წესის თანახმად, მით

უფრო ხშირია პრეპარატების გამოყენების სიხშირე. პაციენტის მდგომარეობის გაუმჯობესების შემდეგ წამლების მიღების სიხშირე თანდათანობით უნდა შემცირდეს.

ქრონიკული დაავადების ხანგრძლივი მკურნალობისას წამლების დოზირება შემდეგნაირია:

- პერორალურად მისაღები პრეპარატებისათვის - 3-ჯერ დღეში თითო აბი, სუბლინგვალურად სრულ გაწოვამდე; წვეთები - 10 წვეთი ენაზე დაწვეთებით. პერორალური პრეპარატები მიიღება 30 წუთით ადრე ჭამის წინ;

- საინექციო ხსნარებისათვის - 1-2 ინექცია კვირაში.

ასეთივე დოზირება შეიძლება გამოვიყენოთ გადატანილი მწვავე დაავადებების მკურნალობის შემდგომ პერიოდში.

აუცილებელია აღინიშნოს, რომ მოცემული სქემა გარკვეული პრეპარატებით მკურნალობაში დიდ დახმარებას გაუწევს ექიმს, რომელსაც არ აქვს სათანადო გამოცდილება ჰომეოპათიასა და ანტიჰომოტოქსიკურ თერაპიაში. შესაბამისი გამოცდილების შეძენის შემდეგ ექიმთა უმრავლესობა გადადის ყოველი პაციენტისთვის ინდივიდუალურ დოზირებაზე დაავადების სიმძიმის, პაციენტის მდგომარეობის და ორგანიზმის რეაქციის გათვალისწინებით მოცემულ პრეპარატზე, ანუ ადგენს ანტიჰომოტოქსიკური თერაპიის ალგორითმს მოცემული პათოლოგიური მდგომარეობისას კონკრეტული პიროვნებისთვის.

5.3. დოზირება მოზარდებისათვის

როგორც წესი, თერაპია ჰომეოპათიური პრეპარატებით მოზარდი და ჩვილი ბავშვებისათვის (ისევე, როგორც მოზრდილებისათვის) ტარდება ინდივიდუალურად. ყოველთვის არ არის რეკომენდებული მივდიოთ თერაპიის მკაცრ სქემებს, თუ არ გავითვალისწინებთ პაციენტის ინდივიდუალურ თავისებურებას და მისი ორგანიზმის რეაქციას პრეპარატზე.

ზოგადად რეკომენდებულია დოზირების შემდეგი პრინციპები:

წვეთების ერთჯერადი დოზა

ჩვილებისა და მოზარდებისათვის 2 წლამდე წარმოადგენს 3 წვეთს;

2-დან 6 წლამდე - 5 წვეთს;

6 წლის ზემოთ - 10 წვეთს 3-ჯერ დღეში;

მწვავე დაავადებისას კი ყოველ 15 წუთში - 2 საათის განმავლობაში;

გამონაკლისი: Lymphomyosot-ით მკურნალობისას საშუალო დოზა ჩვილებისათვის 5 წვეთი; მოზარდებისთვის 2-დან 6 წლამდე - 8 წვეთი; 6 წლის ზემოთ 15-20 წვეთი.

აბების ერთჯერადი დოზა

მოზარდებისთვის 3 წლამდე შეადგენს ნახევარ აბს;

3 წლის ზემოთ - თითო აბი 3-ჯერ დღეში;

მწავავე დაავადებებისას კი - ყოველ 15 წუთში, არა უმეტეს 2 საათისა.

ამპულების (1,1 მლ-იანი) ერთჯერადი დოზა

2 წლამდე მოზარდებისთვის შეადგენს 1/3 ამპულას;

2-დან 6 წლამდე - 1/2 ამპულას;

6 წლის ზემოთ - 1 ამპულას.

ამპულების (2,2 მლ-იანი) ერთჯერადი დოზა

2 წლამდე მოზარდებისთვის შეადგენს 1/6-დან 1/3-მდე ამპულას;

2-დან 6 წლამდე - 1/4-დან 1/2-მდე ამპულას;

არსებობს, აგრეთვე, განსაკუთრებული მითითება ნოზოდური პრეპარატების დოზირებისას.

სანთლების დოზირება

Viburcol-სთვის

ჩვილები 6 თვემდე იღებენ 2 სანთელს დღეში;

6 თვის ზემოთ 3 სანთელს დღეში.

Spascupreel-სთვის

ჩვილები 6 თვემდე იღებენ 1/2 სანთელს 2-3-ჯერ დღეში;

6 თვის ზემოთ თითო სანთელი 2-3-ჯერ დღეში.

5.4. პრეპარატების შერჩევა

პრეპარატების შერჩევისას ვხელმძღვანელობთ შემდეგი წესებით:

თუ პრეპარატი თერაპიული და ფარმაკოლოგიური ინდექსით შეესაბამება პაციენტის მოცემულ დაავადებას (სიმპტომების შესაბამისობა), მაშინ ის უნდა დაინიშნოს პირველ რიგში.

დაავადების სხვადასხვაგვარი გამოვლინების შემთხვევაში, ანდა, როცა გაძნელებულია შესაბამისი პრეპარატის შერჩევა, აუცილებელია დაავადების სიმპტომატიკით ორიენტაცია. ე.ი. უნდა მოიძებ-

ნოს პრეპარატები, რომელიც ნაჩვენებია მოცემული სიმპტომებისას, მაგ., თავის ტკივილისას, გულის ან სახსრების ტკივილისას და ა. შ.

რამდენიმე პრეპარატის ერთად დანიშვნის შემთხვევაში ისინი შეიძლება გამოვიყენოთ ერთმანეთის მიყოლებით (1-2 საათის ინტერვალით).

თუ პრეპარატები გამოშვებულია სხვადასხვა ფორმით (მაგ., წვეთები, აბები) უნდა ჩაითვალოს, რომ მათი თერაპიული ეფექტი ერთგვარია; რადგან წვეთები მომზადებულია სპირტ-წყლიან საფუძველზე, სასურველია არ გამოვიყენოთ იმ პაციენტებში, რომლებშიც მცირე დოზის ალკოჰოლმაც კი შეიძლება გამოიწვიოს სერიოზული პრობლემები (მაგ., ღვიძლით დაავადებულები, ალკოჰოლიკები და ა.შ.).

სხვა მხრივ, არ არის რეკომენდებული აბების გამოყენება იმ პაციენტებისათვის, რომელთაც გაზრდილი მგრძნობელობა აქვთ ლაქტოზის მიმართ, შაქრიანი დიაბეტი არ წარმოადგენს წინააღმდეგ ჩვენებას აბების მისაღებად. ზოგიერთი მძიმე დაავადების შემთხვევაში, როდესაც აუცილებელია მკაცრი დიეტა, ნახშირწყლების რაოდენობის ბალანსირებისათვის შეიძლება ერთი აბი (300 მგ-მდე) ჩაითვალოს 0,025 პურის ერთეულად.

5.5. პრეპარატების გამოყენება

დაავადების შედარებით სუსტი გამოვლინებისას შეიძლება რეკომენდებული იყოს მკურნალობის დაწყება პერორალური თერაპიით. ინექციები გამოიყენება იმ შემთხვევაში, როდესაც არის დაავადების მწვავე ფორმები ან ქრონიკული დაავადებებისას პერორალური თერაპია არ იძლევა შესაბამის ეფექტს; ინექციების სერიის დამთავრების შემდეგ რეკომენდებულია მკურნალობის გაგრძელება პერორალური თერაპიით.

არ შეიძლება გაეცეს ერთმნიშვნელოვანი პასუხი, თუ რომელი ფორმა უკეთესია გამოსაყენებლად - ამპულები თუ პერორალური პრეპარატები. მხოლოდ მრავალწლიანი დაკვირვების შედეგებზე დაყრდნობით შეიძლება დავასკვნათ, რომ ზოგიერთი კომპლექსური დაამპულირებული პრეპარატებით ჩატარებული თერაპიისას მიღწეული იყო უფრო კარგი სამკურნალო ეფექტი, ვიდრე პერორალური თერაპიისას.

კომპლექსური პრეპარატების გამოყენებაზე დაკვირვებამ გვიჩვენა,

რომ ვენური ინექციები იძლევა სწრაფ მაქსიმალურ ეფექტს. ისინი მოქმედებენ პაციენტზე უფრო ძლიერად და სწრაფად, ვიდრე კუნთში, კანქვეშ და კანში გაკეთებული ინექციები.

კუნთში გაკეთებული ინექციების ზემოქმედება უფრო ნელა ვლინდება, ვიდრე ვენის, მაგრამ ის შედარებით მყარია.

აღსანიშნავია, რომ სამკურნალო რეაქცია კანქვეშა ინექციებზე სხეულის მტკივნეულ მონაკვეთში ან აკუპუნქტურის წერტილებში ვლინდება ძალიან სწრაფად, ხოლო დანარჩენი მისი ზემოქმედება კუნთშიდა ინექციების მსგავსია.

კანშიგა ინექციები ნაჩვენებია ისეთი დაავადებებისას, როდესაც აუცილებელია მივაღწიოთ განსაზღვრულ ნევრალურ ეფექტს. ინექციები ტარდება სეგმენტურად, ნევრალურად, ტკივილის არეში და ხერხემლის არეში — პარავერტებრალურად, ნეკნთაშუა ნერვების გამოსვლის წერტილებში. თერაპიისათვის ნაჩვენები ყველა პრეპარატი შეიძლება შეკურიოთ ერთ შპრიცში და გავაკეთოთ რამდენიმე წერტილში მთელი ხერხემლის გასწვრივ.

ფირმა -Heel-ის პრეპარატების ამპულირებული ფორმები შეიძლება გამოვიყენოთ პერორალური თერაპიისთვის. პაციენტი აზავებს ამპულის შემადგენლობას ჭიქა წყალში და სვამს. ამიტომ სპეციალისტები ხშირად ხმარობენ გამოთქმას - „სასმელი ამპულები“, მიუხედავად იმისა, რომ სპეციალურად ამ მიზნისათვის ამპულირებული ფორმები არ გამოიშვება.

ჰომეოპათიური პრეპარატების გამოყენებამ თავიდან შეიძლება გამოიწვიოს პაციენტის მდგომარეობის მცირე გაუარესება (ზუსტად ისეთივე, როგორც ბალნეოთერაპიის კურსისას). როგორც წესი, ასეთი რეაქცია თავისთავად არ არის საშიში და სწრაფად გაივლის.

ჰომეოპათიური პრეპარატების გამოყენებამ შეძლება გამოიწვიოს დაავადების სიმპტომატიკის შეცვლა. რეგრესული ვარიაციის შემდგომ დაავადების უკუდინება უმეტეს წილად მეორე ან მესამე ფაზაში მთავრდება, ბიოლოგიური ბარიერის მარჯვნივ მდებარე უჯრედული დაავადებები უკუდინების შემდეგ ხშირად ანთებით ფაზაში სრულდება. ამის გამო, როგორც წესი, საჭიროა ანტიჰომოტოქსიკური პრეპარატის შეცვლა, ვინაიდან მე-2 ფაზაში ძლიერი სიმპტომატური საშუალებაა ნაჩვენები. მე-2 და მე-3 ფაზებში, (რეკეევგის მიხედვით ჰუმორულ ფაზებს მიეკუთვნება) ორგანიზმს ჯერ კიდევ გააჩნია თვითმარეგულირებელი უნარი; ასე რომ, მხოლოდ მასტიმულირებელ სამკურნალო გამა-

ღიზიანებლებს შეუძლია ანთებითი მექანიზმების ჩართვა, განსაკუთრებით მატრიცაში, და შემდგომში მათი კონტროლირებად რეჟიმში მიმდინარეობა. ამასთან, ტოქსინების გამოდევნა კანისა და ლორწოვანი გარსის მეშვეობით ხდება. გაძლიერებული ოფლიანობა, ღებინება, შარდის გამოყოფა, სუსტი დიარეა და ციებ-ცხელება დაავადების უჯრედული - მე-4-6 ფაზებიდან (რეკვეგის მიხედვით) უკან გადაადგილების, რეგრესული ვიკარიაციისა და დაავადების გაუმჯობესების სასურველ ნიშნებად გვევლინება. მწვავე - I და მე-2 ფაზებში, ძირითადად აღარ არის საჭირო ადრე დანიშნული კომპოზიციური პრეპარატები. ამ დროს მიზანშეწონილია, სამკურნალო საშუალებების შეცვლა და ისეთი პრეპარატების დანიშვნა, როგორიცაა Traumeel S ან კარგად შერჩეული Homaccord-პრეპარატები, ან ერთეული Injeel-პრეპარატები.

ჰომეოპათიური თერაპიისას შეინიშნება ორგანიზმის გამომყოფი ფუნქციის ინტენსივობის გააქტიურება, მაგალითად, სეკრეტების გაძლიერებული გამოყოფა, მომატებული შარდდენა და სხვა. მსგავსი მოვლენები შეიძლება დადებითად განვიხილოთ, რადგან ამით ხორციელდება ორგანიზმიდან მავნე ნივთიერებების და ჰომოტოქსინების გამოყოფა. ორგანიზმიდან პათოლოგიური გამონაყოფების გაძლიერებაც კი (Fluor album) შეიძლება განვიხილოთ, როგორც ორგანიზმის იმუნური სისტემის გააქტიურება და დაავადებების გამომწვევი ტოქსინების გამოდევნა. ასეთ შემთხვევაში ყოველთვის აუცილებელია დავფიქრდეთ, ღირს კი ასეთ პროცესებზე ზემოქმედება მოვახდინოთ სპეციალური თერაპიის დახმარებით? იგივე შეიძლება ითქვას ცხელებით რეაქციაზე, რომელიც ხანდახან გვხვდება ჰომეოპათიურ თერაპიაში.

პაციენტის ჯანმრთელობა შეიძლება სრულად აღდგეს, თუ დაავადებამ ორგანიზმს არ მიაყენა გამოუსწორებელი ზიანი. მოცემულ პრეპარატებზე ავადმყოფის რეაქციით შეიძლება დავასკვნათ, რამდენად წარმატებით მიდის პაციენტის გამოჯანსაღების პროცესი. პრეპარატის მიღებისას გამოხატული პირველი მკვეთრი რეაქციები მიუთითებს, რომ მოსალოდნელია ხანგრძლივი, ინტენსიური მკურნალობა; გამოჯანმრთელების პროცესში ორგანიზმს თანდათან უქრება პრეპარატებზე (სუის-ორგანული, ნოზოდები და სხვა) რეაქცია.

ორგანოებსა და ქსოვილებში შეუქცევადი დეგენერაციული და-

ავადებებისა და სიმსივნური წარმონაქმნებისას არ უნდა ველოდოთ სრულ გამოჯანმრთელებას. მიუხედავად ამისა, რეკომენდებულია სიმპტომური შესაბამისობის პრეპარატების მიღება, რადგან ეს ააქტიურებს ორგანიზმის დეზინტოქსიკაციურ პროცესს. ამასთანავე, უმჯობესდება პაციენტის ზოგადი მდგომარეობა, რაც შეიძლება შეფასდეს, როგორც პრეპარატებზე დადებითი რეაქცია. ყველაზე უკეთესი ზემოქმედების პრეპარატები რეკომენდებულია გამოვიყენოთ ხანგრძლივად. მიუხედავად იმისა, რომ ასეთი თერაპიით შეიძლება ვერ განვკურნოთ დაავადება, მაგრამ შეიძლება გამოვიყვანოთ ორგანიზმიდან დამამძიმებელი ტოქსინები და შევაფერხოთ დაავადების პროგრესირება.

5.6. პრეპარატების ვარგისიანობა და შენახვის წესები

ფირმა Heel-ის პრეპარატები ყველა წესის დაცვით ინახება 5 წლის განმავლობაში. ვადის გასვლის შემდეგ პრეპარატის გამოყენება აკრძალულია.

წვეთოვანი პრეპარატები ხმარების წინ, დიდი ხნით შენახვის შემდეგ, აუცილებელია რამდენიმეჯერ ძლიერად შევანჯღრიოთ. ყველა ფორმის პრეპარატები აუცილებელია მოვარიდოთ ზედმეტ გადახურებას და მზის პირდაპირ სხივებს. აბები უნდა მოვარიდოთ სინესტეს. ხმარების შემდეგ ფლაკონი უნდა მოიხუფოს.

პრეპარატები სანთლების სახით არავითარ შემთხვევაში არ უნდა გავაცხელოთ 30 გრადუსზე ზემოთ, რადგან ისინი დარბილდება და გაღნება.

თავი 2

ანტიჰომოტოქსიკური თერაპიის სქემები

შენიშვნა: პრეპარატები, რომლებიც მოცემულია როგორც საბაზისო თერაპიული, აუცილებელია გამოვიყენოთ, პირველ რიგში, შესაბამის ჩვენებათა მიხედვით.

სიმპტომატური მკურნალობისთვის მოყვანილია ის თერაპიული საშუალებანი, რომლებიც შეიძლება დამატებით ჩაირთოს მკურნალობის კურსში. მკურნალობის მიმდინარეობისას შეიძლება შეიცვალოს დაავადების სიმპტომები, შესაბამისად უნდა შეიცვალოს გამოყენებული პრეპარატებიც.

აბსცესი

(მეზენქიმის ანთების ფაზა)

საბაზისო თერაპია:

Belladonna-Homaccord (წვეთები)

Traumeel S (წვეთები, აბები, ამპულები)

სიმპტომატური თერაპია:

Apis-Homaccord (წვეთები)

შეშუპება;

Coenzyme compositum (ამპულები)

ფერმენტული სისტემის ფუნქციის აღდგენა და გააქტიურება დეგენერაციული დაავადებებისას (უჯრედული ფაზა);

Echinacea compositum SN (ამპულები)

იმუნური სისტემის გააქტივება ცხელების და ანთებითი პროცესებისას;

Engystol N (ამპულები)

არასპეციფიკური იმუნიტეტის გააქტივება;

Ubichinon compositum (ამპულები)

დეზინტოქსიკაციური პროცესის გააქტივება, ფერმენტული სისტემის ფუნქციის ნორმალიზაცია და აღდგენა დეგენერაციული დაავადებებისას (უჯრედული ფაზა).

ადენოიდური ვარმონაქმნები (ვანაზარდები)

(ოროდერმის დეპონირების ფაზა)

საბაზისო თერაპია:

Barijodeel (აბები)

Lymphomyosot N (წვეთები, აბები, ამპულები)

სიმპტომატური თერაპია:

Coenzyme compositum (ამპულები)

ფერმენტული სისტემის ფუნქციის აღდგენა და გააქტივება დეგენერაციული დაავადებებისას (უჯრედული ფაზა);

Echinacea compositum SN (ამპულები)

იმუნური სისტემის გააქტივება ცხელების და ანთებითი პროცესებისას;

Engystol N (ამპულები)

არასპეციფიკური იმუნიტეტის გააქტივება, განსაკუთრებით, გრიპის და გაურკვეველი ცხელებით მიმდინარე ინფექციური დაავადებისას;

Psorinoheel N (წვეთები, ამპულები)

კონსტიტუციური საშუალება, გამოიყენება ქრონიკული დაავადებებისას;

Ubichinon compositum (ამპულები)

ღეზინტოქსიკაციური პროცესების გააქტივება, ფერმენტული სისტემის ფუნქციის ნორმალიზაცია და აღდგენა ღეგენერაციული დაავადებებისას (უჯრედული ფაზა).

ადენომა - ფიბრომიომის პირკვლის

(ჰერმინოდერმის იმპრეგნაციის ფაზა)

საბაზისო თერაპია:

Sabal-Homaccord (წვეთები, ამპულები)

Solidago compositum SN (ამპულები)

სიმპტომატური თერაპია:

Berberis-Homaccord (წვეთები)

შარდსასქესო გზების გაღიზიანება და ანთება;

Coenzyme compositum (ამპულები)

ფერმენტული სისტემის ფუნქციის აღდგენა და გააქტივება ღეგენერაციული დაავადებებისას (უჯრედული ფაზა);

Nux vomica-Homaccord (წვეთები, ამპულები)

ჩივილები, რომლებიც გამოწვეულია ალკოჰოლის, თამბაქოს და ყავის ჭარბი გამოყენების შედეგად;

Testis compositum N (ამპულები)

ორგანოების ფუნქციის გააქტივება, განსაკუთრებით, იმპოტენციის, Ejaculatio praecox, ენურეზის და დაუძლურების შემთხვევაში;

Ubichinon compositum (ამპულები)

ღეზინტოქსიკაციური პროცესების გააქტივება, ფერმენტული სისტემის ფუნქციის ნორმალიზაცია და აღდგენა ღეგენერაციული დაავადებებისას (უჯრედული ფაზა).

ადნექსიტი

(ჰერმონოდერმის ანთების ფაზა)

საბაზისო თერაპია:

Traumeel S (წვეთები, აბები, ამპულები, მალამო)

Gynaecoheel N (წვეთები)

Metro-Adnex-Injeel (ამპულები)

Spascupreel S (სანთლები)

სიმპტომატური თერაპია:

Apis-Homaccord (წვეთები)

შეშუპებები;

Coenzyme compositum (ამპულები)

ფერმენტული სისტემის ფუნქციის აღდგენა და გააქტივება დეგენერაციული დაავადებებისას (უჯრედული ფაზა);

Echinacea compositum SN (ამპულები)

იმუნური სისტემის გააქტივება ცხელების და ანთებითი პროცესებისას;

Ovarium compositum (ამპულები)

იმუნიტეტის გააქტივება დისმენორეის, ენდომეტრიტის, მეტრიტის, პარამეტრიტისას;

Ubichinon compositum (ამპულები)

დეზინტოქსიკაციური პროცესების გააქტივება, ფერმენტული სისტემის ფუნქციის ნორმალიზაცია და აღდგენა დეგენერაციული დაავადებებისას (უჯრედული ფაზა).

სადრენაჟო თერაპია:

Lymphomyosot N (წვეთები, ამპულები).

ალერგია

(იმპრეგნაციის ფაზა)

საბაზისო თერაპია:

Galium-Heel N (წვეთები)

Engystol N (ამპულები)

Psorinoheel N (ამპულები)

Traumeel S (მალამო)

(მაგრამ არა მწვავე ალერგიული დერმატიტების შემთხვევაში)

სიმპტომატური თერაპია:

Coenzyme compositum (ამპულები)

ფერმენტული სისტემის ფუნქციის აღდგენა და გააქტივება დეგენერაციული დაავადებებისას (უჯრედული ფაზა);

Cutis compositum N (ამპულები)

იმუნური სისტემის გააქტივება ალერგიის, ნეიროდერმიტის, სკლეროდერმიისას;

Hepar compositum N (ამპულები)

ღვიძლის ფუნქციების გააქტივება დერმატოზების, გლურას, ნეიროდერმიტებისას;

Hepeel (აბები)

ღვიძლის ფუნქციების პირველადი და მეორადი დარღვევა, ღვიძლის დაზიანება;

Lymphomyosot N (წვეთები, ამპულები)

ექსუდატური და ლიმფატური დიათეზი;

Mucosa compositum (ამპულები)

სხვადასხვა სახის და ლოკალიზაციის ლორწოვანი გარსის დაავადება და კატარი;

Ubichinon compositum (ამპულები)

ღეზინტოქსიკაციური პროცესების გააქტივება, ფერმენტული სისტემის ფუნქციის ნორმალიზაცია და აღდგენა დეგენერაციული დაავადებებისას (უჯრედული ფაზა).

ამენორეა (მეორადი)

(*პერმინოდერმის იმპრეგნაციის ფაზა*)

საბაზისო თერაპია:

Gynaecoheel N (წვეთები)

Hormeel SN (წვეთები)

Ovarium compositum (ამპულები)

სიმპტომატური თერაპია:

Cerebrum compositum NM (ამპულები)

ნეიროვეგეტატიური ამენორეა და დაუძლურება;

Coenzyme compositum (ამპულები)

ფერმენტული სისტემის ფუნქციის აღდგენა და გააქტივება დეგენერაციული დაავადებებისას (უჯრედული ფაზა);

Metro-Adnex-Injeel (ამპულები)

ადნექსიტი, პარაენდომეტრიტი, დისმენორეა, მუცლის ქვემო ნაწილის ტკივილი მენსტრუაციებშუა პერიოდში, ვაგინიტი, კოლპიტი, კლიმაქსური ნევროზები;

Ubichinon compositum (ამპულები)

დეზინტოქსიკაციური პროცესების გააქტივება, ფერმენტული სისტემის ფუნქციის ნორმალიზაცია და აღდგენა

დეგენერაციული დაავადებებისას (უჯრედული ფაზა).

ანგინა ტონზილარული

(ლიმფოდერმის ანთების ფაზა)

საბაზისო თერაპია:

Angin-Heel SD (აბები)

Belladonna-Homaccord (წვეთები)

Traumeel S (წვეთები, აბები, ამპულები)

სიმპტომატური თერაპია:

Barijodeel (აბები)

ლიმფატიზმი;

Coenzyme compositum (ამპულები)

ფერმენტული სისტემის ფუნქციის აღდგენა და გააქტივება დეგენერაციული დაავადებებისას (უჯრედული ფაზა);

Echinacea compositum SN (ამპულები)

იმუნური სისტემის გააქტივება ცხელების და ანთებითი პროცესებისას, ანგინისა და კეროვანი ინფექციებისას;

Lymphomyosot N (წვეთები, ამპულები)

იმუნიტეტის ამაღლება, ლიმფატიური აპარატის სტიმულირება, ბავშვებში ლიმფატური განვითარების მოშლა;

Ubichinon compositum (ამპულები)

დეზინტოქსიკაციური პროცესების გააქტივება, ფერმენტული სისტემის ფუნქციის ნორმალიზაცია და აღდგენა დეგენერაციული დაავადებებისას (უჯრედული ფაზა).

აპოპლექსია ცერებრალური

(ჰემოდერმის ან ნეიროდერმის დეგენერაციის ფაზა)

საბაზისო თერაპია:

Belladonna-Homaccord (წვეთები)

სიმტომატური თერაპია:

Cerebrum compositum NM (ამპულები)

აპოპლექსიის შემდგომი გონებრივი შესაძლებლობების დარღვევა;

Coenzyme compositum (ამპულები)

ფერმენტული სისტემის ფუნქციის აღდგენა და გააქტივება დეგენერაციული დაავადებებისას (უჯრედული ფაზა);

Cor compositum N (ამპულები)

გულის სისუსტე, არითმია, ტკივილი გულის არეში, ჰიპერტონია;

Cralonin (წვეთები, ამპულები)
გულის სტიმულირება, განსაკუთრებით, "სენილური გულისას";
Psorinoheel N (წვეთები, ამპულები)
კონსტიტუციური საშუალება ქრონიკული დაავადებებისას; აპოპლექსიის შემდგომი პერიოდის თავის ტკივილი;
Ubichinon compositum (ამპულები)
დეზინტოქსიკაციური პროცესების გააქტივება, ფერმენტული სისტემის ფუნქციის ნორმალიზაცია და აღდგენა დეგენერაციული დაავადებებისას (უჯრედული ფაზა).
სადრენაჟო საშუალება:
Lymphomyosot N (წვეთები, ამპულები).

ართრიტი

(კაკოდერმის ანთების, დეპონირების ან დეგენერაციის ფაზა)
საბაზისო თერაპია:
Traumeel S (წვეთები, აბები, მალამო, ამპულები)
Neuralgo-Rheum-Injeel (ამპულები)
სიმპტომატური თერაპია:
Belladonna-Homaccord (წვეთები)
ადგილობრივი ანთებითი პროცესი;
Colocynthis-Homaccord (წვეთები, ამპულები)
ნევრალგიური მჩხვლეტავი ხასიათის ტკივილი, პარესთეზიები;
Discus compositum (ამპულები)
ოსტეოქონდროზი, ზოგადი საშუალება ხერხემლისათვის - სპონდილართრიტი, სპონდილიტი;
Hepar compositum N (ამპულები)
ღვიძლის სადეზინტოქსიკაციო ფუნქციის გააქტიურება;
Lithiumeel (აბები)
პოდაგრო-რევმატული დიათეზი;
Ubichinon compositum (ამპულები)
დეზინტოქსიკაციური პროცესების გააქტივება, ფერმენტული სისტემის ფუნქციის ნორმალიზაცია და აღდგენა დეგენერაციული დაავადებებისას (უჯრედული ფაზა).
სადრენაჟო თერაპია:
Lymphomyosot N (წვეთები, ამპულები).
Solidago compositum SN (ამპულები).

ართრიტი რევმატოიდული

(კაოდერმის ანთების, დეპონირების ან დეგენერაციის ფაზა)

საბაზისო თერაპია:

Bryaconeel (აბები)

Traumeel S (ამპულები, მალამო)

Zeel T (აბები, ამპულები)

სიმპტომატური თერაპია:

Apis-Homaccord (წვეთები)

შეშუპებები;

Coenzyme compositum (ამპულები)

ფერმენტული სისტემის ფუნქციის აღდგენა და გააქტივება დეგენერაციული დაავადებებისას (უჯრედული ფაზა);

Discus compositum (ამპულები)

იმუნიტეტის გააქტივება და ოსტეოქონდროზის დროს ჰომოტოქსიკურ უბნებზე ზემოქმედება. სახსრების დაავადებების (ქრონიკული ართრიტი, ართროზი), განსაკუთრებით, ხერხემლის ნევრო-რევმატული დავადებებისას;

Galium-Heel N (წვეთები, ამპულები)

არასპეციფიკური იმუნიტეტის გააქტივება, განსაკუთრებით, ქრონიკული დაავადებებისას;

Hepar compositum N (ამპულები)

ღვიძლის დეზინტოქსიკაციური ფუნქციის გააქტივება, ღვიძლის და ნაღველის ბუშტის მწვავე და ქრონიკული დაავადებებისას, ღვიძლის ფუნქციის ტოქსიკური დაზიანებებისას;

Hepeel (აბები)

ღვიძლის ფუნქციის პირველადი და მეორადი დარღვევა; ღვიძლის დაზიანება;

Lymphomyosot N (წვეთები, ამპულები)

ლიმფატიზმი (ლიმფური კვანძების ჰიპერტროფია, შეშუპებების და ინფექციებისადმი მიდრეკილება); ჯირკვლების შეშუპება, ნუშურების ჰიპერტროფია და ქრონიკული ტონზილიტი;

Ubichinon compositum (ამპულები)

ფერმენტული სისტემის დეზინტოქსიკაციური პროცესების გააქტივება, ნორმალიზაცია და აღდგენა დეგენერაციული დაავადებებისას (უჯრედული ფაზა).

ართროზი

(კოდერმის ანთების, დეპონირების ან დეგენერაციის ფაზა)

საბაზისო თერაპია:

Zeel T (აბები, ამპულები)

Traumeel S (წვეთები აბები, ამპულები, მალამო)

სიმპტომატური თერაპია:

Bryaconeel (აბები)

რევმატული და ნევრალგიური ტკივილებისას;

Coenzyme compositum (ამპულები)

ფერმენტული სისტემის ფუნქციის აღდგენა და გააქტიება დეგენერაციული დაავადებებისას (უჯრედული ფაზა);

Discus compositum (ამპულები)

ხერხემლის თერაპიის ზოგადი საშულება; ოსტეოქონდროზი, ართროზი;

Hepar compositum N (ამპულები)

ღვიძლის სადეზინტოქსიკაციო ფუნქციის გააქტივება;

Neuralgo-Rheum-Injeel (ამპულები)

ართრიტი, ნევრალგიური ტკივილები;

Osteoheel S (აბები)

ძვლის ტკივილი, პერიოსტიტი, ეგზოსტოზი;

Ubichinon compositum (ამპულები)

დეზინტოქსიკაციური პროცესების გააქტივება, ფერმენტული სისტემის ფუნქციის ნორმალიზაცია და აღდგენა დეგენერაციული დაავადებებისას (უჯრედული ფაზა).

სადრენაჟო თერაპია:

Lymphomyosot N (წვეთები, ამპულები).

არითმია გულის

(პემოდერმის იმპრეგნაციის ან დეგენერაციის ფაზა)

საბაზისო თერაპია:

Cralonin Tropfen (წვეთები)

Cor compositum N (ამპულები)

სიმპტომატური თერაპია:

Chelidonium-Homaccord N (წვეთები)

ღვიძლის და ნაღვლის ბუშტის სამკურნალო საშუალება; დამატებითი საშუალება გულის რითმის დარღვევისას;

Hepar compositum N (ამპულები)

ღვიძლის დეზინტოქსიკაციური ფუნქციის გააქტივება ღვიძლის და ნაღვლის ბუშტის მწვავე და ქრონიკული დაავადებისას, ღვიძლის ფუნქციის ტოქსიკური დარღვევისას; ნაჩვენებია, ასევე, მიოკარდის ინფექციურ-ტოქსიკური დაზიანებით გამოწვეული სისუსტისას, არითმიასთან შერწყმით;

Hepeel (აბები)

ღვიძლის ფუნქციის პირველადი და მეორადი დარღვევა; ღვიძლის დაზიანება გასტროკარდიალურ სიმპტომოკომპლექსთან შერწყმით.

არტერიოსკლეროზი

(ჰემოდერმის იმპრეგნაციის ფაზა; შესაძლებელია, ასევე. დეპონირების ან დეგენერაციის ფაზა)

საბაზისო თერაპია:

Barijodeel (აბები)

სიმპტომატური თერაპია:

Cactus compositum S (წვეთები)

ტკივილი გულის არეში, განსაკუთრებით, ჰიპერტონიისას;

Cerebrum compositum NM (ამპულები)

ცერებროსკლეროზი მეხსიერების დარღვევით, ნერვული გამოფიტვით, აგზნებადობით, დეპრესიით;

Cor compositum N (ამპულები)

არტერიოსკლეროზი, გულის დეგენერაციული დაავადებები, ჰიპერტონია;

Cralonin (წვეთები, ამპულები)

სენილური გული;

Galium-Heel N (წვეთები, ამპულები)

ქრონიკული დეგენერაციული დაავადებები;

Ubichinon compositum (ამპულები)

დეზინტოქსიკაციური პროცესების გააქტივება, ფერმენტული სისტემის ფუნქციის ნორმალიზაცია და აღდგენა დეგენერაციული დაავადებებისას (უჯრედული ფაზა);

Vertigoheel (აბები, ამპულები)

არტერიოსკლეროზით გამოწვეული თავბრუსხვევა.

სადრენაჟო თერაპია:

Lymphomyosot N (წვეთები, ამპულები).

ასთმა ბრონქიალური

(სიმპათიკოდერმის, მუკოდერმის და ორგანოდერმის დეგენერაციის ფაზა)

საბაზისო თერაპია:

Tartephedreel N (წვეთები)

Husteel (წვეთები)

სიმპტომატური თერაპია:

Bronchalis-Heel (აბები)

ბრონქიტი, განსაკუთრებით, მწეველთა ქრონიკული კატარი;

Coenzyme compositum (ამპულები)

ფერმენტული სისტემის ფუნქციის აღდგენა და გააქტივება დეგენერაციული დაავადებებისას (უჯრედული ფაზა);

Engystol N (ამპულები)

არასპეციფიკური იმუნიტეტის გააქტივება, განსაკუთრებით, გრიპის და გაურკვეველი ცხელებით მიმდინარე ინფექციებისას (ვირუსული ინფექციები, გრიპი, ასთმა);

Galium-Heel N (წვეთები, ამპულები)

იმუნიტეტის გააქტივება, განსაკუთრებით, ქრონიკული დაავადებებისას;

Traumeel S (აბები, წვეთები, ამპულები)

ანთებითი და დეგენერაციული პროცესები;

Ubichinon compositum (ამპულები)

დეზინტოქსიკაციური პროცესების გააქტივება, ფერმენტული სისტემის ფუნქციის ნორმალიზაცია და აღდგენა დეგენერაციული დაავადებებისას (უჯრედული ფაზა).

საძრენაჟო თერაპია:

Lymphomyosot N (წვეთები, ამპულები).

ასთმა გულის

(სიმპათიკოდერმის, მუკოდერმის ან ორგანოდერმის იმპრეგნაციის ფაზა)

საბაზისო თერაპია:

Cralonin Tropfen (წვეთები)

სიმპტომატური თერაპია:

Cactus compositum S (წვეთები)

კორონარული სისხლის მიმოქცევის მოშლა, ტკივილი

გულის არეში;

Coenzyme compositum (ამპულები)

ფერმენტული სისტემის ფუნქციის აღდგენა და გააქტივება დეგენერაციული დაავადებებისას (უჯრედული ფაზა);

Cor compositum N (ამპულები)

მიოკარდის სისუსტე, ფილტვების ემფიზემა;

Galium-Heel N (წვეთები, ამპულები)

არასპეციფიკური იმუნიტეტის გააქტივება, განსაკუთრებით, ქრონიკული დაავადებებისას;

Ubichinon compositum (ამპულები)

დეზინტოქსიკაციური პროცესების გააქტივება, ფერმენტული სისტემის ფუნქციის ნორმალიზაცია და აღდგენა დეგენერაციული დაავადებებისას (უჯრედული ფაზა);

სადრენაჟო თერაპია:

Lymphomyosot N (წვეთები, ამპულები).

ასციტი

(*სეროდერმის დეგენერაციის ფაზა*)

საბაზისო თერაპია:

Apis-Homaccord (წვეთები)

Lymphomyosot N (წვეთები, აბები)

სიმპტომატური თერაპია:

Coenzyme compositum (ამპულები)

ფერმენტული სისტემის ფუნქციის აღდგენა და გააქტივება დეგენერაციული დაავადებებისას (უჯრედული ფაზა);

Cralonin (წვეთები, ამპულები)

გულის კუნთის სისუსტე როგორც ინფექციის და ინტოქსიკაციის შემდეგ, ასევე სენილური გულისას;

Engystol N (ამპულები)

არასპეციფიკური იმუნიტეტის გააქტივება განსაკუთრებით, გრიპის და უცნობი ინფექციისას (მ.შ. ვირუსული);

Galium-Heel N (წვეთები, ამპულები)

იმუნიტეტის გააქტივება, განსაკუთრებით, ქრონიკული დაავადებებისას;

Hepar compositum N (ამპულები)

ღვიძლის სადეზინტოქსიკაციო ფუნქციის გააქტივება, განსაკუთრებით, ღვიძლის ტოქსიკური დაზიანებისას;

Hepeel (აბები)

ღვიძლის დაზიანების შედეგად გამოწვეული ასციტი;

Reneel N (აბები)

საშარდე გზების დაავადებები; თირკმლის დაზიანების შედეგად გამოწვეული ასციტი;

Solidago compositum SN (ამპულები)

დიურეზის გააქტივება; თირკმლის დაავადების (ნეფროსკლეროზი, გლომერულონეფრიტი, ნეფროზი) შედეგად გამოწვეული ასციტი;

Ubichinon compositum (ამპულები)

დეზინტოქსიკაციური პროცესების გააქტივება, ფერმენტული სისტემის ფუნქციის ნორმალიზაცია და აღდგენა დეგენერაციული დაავადებებისას (უჯრედული ფაზა).

საძრენაჟო თერაპია:

Berberis-Homaccord (წვეთები, ამპულები).

ბეხტერევის დაავადება

(ოსტეოდერმის დეპონირების ფაზა)

საბაზისო თერაპია:

China-Homaccord S (წვეთები)

Colocynthis-Homaccord (წვეთები)

Discus compositum (ამპულები)

Neuralgo-Rheum-Injeel (ამპულები)

Traumeel S (მალამო)

Spascupreel S (სანთლები)

სიმპტომატური თერაპია:

Coenzyme compositum (ამპულები)

ფერმენტული სისტემის ფუნქციის აღდგენა და გააქტივება დეგენერაციული დაავადებებისას (უჯრედული ფაზა);

Osteoheel S (აბები)

პერიოსტიტი, ეგზოსტოზი;

Ovarium compositum (ამპულები)

ენდოკრინული ჯირკვლის ფუნქციის, იმუნიტეტის და შემაერთებელი ქსოვილის ფუნქციის გააქტივება ქალებში, ოსტეომალაცია;

Testis compositum N (ამპულები)

სასქესო ორგანოების ფუნქციის გააქტივება მამაკაცებში; ბეხტერევის დაავადებით შეპყრობილ მამაკაცთა და ქალთა

რაოდენობის შეფარდება არის 10:1;

Traumeel S (წვეთები, აბები, ამპულები)

ანთებითი და დეგენერაციული პროცესები სხვადასხვა ორგანოებსა და ქსოვილებში, განსაკუთრებით, საყრდენ-მამოძრავებელ აპარატში;

Ubichinon compositum (ამპულები)

დეზინტოქსიკაციური პროცესების გააქტივება, ფერმენტული სისტემის ფუნქციის ნორმალიზაცია და აღდგენა დეგენერაციული დაავადებებისას (უჯრედული ფაზა).

Zeel T (აბები, ამპულები)

სახსრების დეგენერაციული დაავადებები - სპონდილართროზის ჩათვლით.

სადრენაჟო თერაპია:

Lymphomyosot N (წვეთები, ამპულები).

ბრონქიტი

(ორგანოდერმის ანთების ფაზა)

საბაზისო თერაპია:

Bronchalis-Heel (აბები)

Tartrphedreel N (წვეთები)

Echinacea compositum SN (ამპულები)

Traumeel S (ამპულები)

სიმპტომატური თერაპია:

Coenzyme compositum (ამპულები)

ფერმენტული სისტემის ფუნქციის აღდგენა და გააქტივება დეგენერაციული დაავადებებისას (უჯრედული ფაზა);

Engystol N (ამპულები)

არასპეციფიკური იმუნიტეტის გააქტივება, განსაკუთრებით, გრიპის და უცნობი ინფექციისას (მ.შ. ვირუსული);

Mucosa compositum (ამპულები)

იმუნიტეტის გააქტივება კატარების და სხვადასხვა სახის და ლოკალიზაციის ლორწოვანის დაავადებებისას, მ.შ. ზემო და ქვემო სასუნთქი გზების;

Gripp-Heel (აბები, ამპულები)

გრიპი, ბრონქიტი;

Husteel (წვეთები)

სპასტიური ბრონქიტისას, გაცივებისას, პლევრიტისას;

Ubichinon compositum (ამპულები)

დეზინტოქსიკაციური პროცესების გააქტივება, ფერმენტული სისტემის ფუნქციის ნორმალიზაცია და აღდგენა დეგენერაციული დაავადებებისას (უჯრედული ფაზა).

სადრენაჟო თერაპია:

Lymphomyosot N (წვეთები, ამპულები).

ბრონქოპნევმონია

(ორგანოლერმის ანთების ფაზა)

საბაზისო თერაპია:

Bryaconeel (აბები)

Gripp-Heel (ამპულები)

Traumeel S (ამპულები)

არასპეციფიკური იმუნიტეტის გააქტივება, განსაკუთრებით, გრიპის და ცხელებით მიმდინარე ინფექციებისას (მ.შ. ვირუსული);

Lymphomyosot N (წვეთები, ამპულები)

ლიმფატიზმი (ლიმფატური სისტემის ჭარბი განვითარების, შეშუპების და ინფექციებისადმი მიდრეკილება); ჯირკვლების შეშუპება.

ქუსლის დეზი

(ოსტეოდერმის დეპონირების ფაზა)

საბაზისო თერაპია:

Osteoheel S (აბები)

Traumeel S (ამპულები, მალამო)

Zeel T (ამპულები)

სიმპტომატური თერაპია:

Discus compositum (ამპულები)

ხერხემლის დაავადებების თერაპია; ტკივილები ქუსლის მიდამოში აქილოდინიის და სპონდილიტისას;

ღვიძლის ციროზი (Cirrhosis Hepatis)

(ორგანოდერმის იმპრეგნაციის ან დეგენერაციის ფაზა)

საბაზისო თერაპია:

Galium-Heel N (წვეთები, ამპულები)

Hepeel (აბები)

სიმპტომატური თერაპია:

Chelidonium-Homaccord N (წვეთები)

მწვავე და ქრონიკული ჰეპატიტი, ღვიძლის დაზიანება, შეგუბებითი სიყვითლე;

Coenzyme compositum (ამპულები)

ფერმენტული სისტემის ფუნქციის აღდგენა და გააქტივება დეგენერაციული დაავადებებისას (უჯრედული ფაზა);

Engystol N (ამპულები)

არასპეციფიკური იმუნიტეტის გააქტივება, განსაკუთრებით, გრიპის და ცხელებით მიმდინარე ინფექციებისას (მ.შ. ვირუსული);

Hepar compositum N (ამპულები)

ღვიძლის დეზინტოქსიკაციური ფუნქციის გააქტივება, ღვიძლის და ნაღვლის ბუშტის მწვავე და ქრონიკული დაავადებებისას, მაგ., ქოლანგიტის, ნაღვლის ბუშტის ანთებისას და სხვა; ღვიძლის ფუნქციის ტოქსიკური დაზიანება; ღვიძლის უჯრედების ფუნქციის გააქტივება;

Traumeel S (წვეთები, აბები, ამპულები)

ანთებითი და დეგენერაციული პროცესები სხვადასხვა ორგანოებსა და ქსოვილებში;

Ubichinon compositum (ამპულები)

ფერმენტული სისტემის დეზინტოქსიკაციური პროცესების გააქტივება, ნორმალიზაცია და აღდგენა დეგენერაციული დაავადებებისას (უჯრედული ფაზა).

სადრენაჟო თერაპია:

Lymphomyosot N (წვეთები, ამპულები).

ყაბზობა

(მუკოდერმის დეპონირების ფაზა)

საბაზისო თერაპია:

Nux vomica-Homaccord (წვეთები, ამპულები)

Spascupreel S (სანთლები)

სიმპტომატური თერაპია:

Gastricumeel (აბები)

შეკრულობა მწვავე და ქრონიკული გასტრიტებისას წყლულებით და მათ გარეშე, ხშირად თან ახლავს გულძმარვა, მეტეორიზმი და გასტროკარდიალური სიმპტომოკომპლექსი;

Hepar compositum N (ამპულები)

ღვიძლის დეზინტოქსიკაციური ფუნქციის დარღვევა ღვიძლის და ნაღვლის ბუშტის მწვავე და ქრონიკული დაავადებებისას (ქოლანგიტი, ნაღვლის ბუშტის ანთება და ა.შ); ღვიძლის ფუნქციის ტოქსიკური დაზიანებისას; ღვიძლის უჯრედების ფუნქციის გააქტივება;

Hepeel (აბები)

ღვიძლის ფუნქციის პირველადი და მეორადი დარღვევა; ღვიძლის დაზიანება მეტეორიზმთან შერწყმით, მადის დაქვეითება;

Mucosa compositum (ამპულები)

იმუნური სისტემის გააქტივება კატარების და სხვადასხვა სახის და ლოკალიზაციის ლორწოვანი გარსის ანთებისას; მაგ., საჭმლის მომნელებელი სისტემა წყლულებით და მათ გარეშე (წყლულოვანი კოლიტი);

Spascupreel (აბები, ამპულები)

ღრუ ორგანოების გლუვი კუნთების სპაზმი (კუჭი, ნაწლავები)

Traumeel S (წვეთები, აბები, ამპულები)

ანთებითი და დეგენერაციული პროცესები სხვადასხვა ორგანოებსა და ქსოვილებში;

სადრენაჟო თერაპია:

Lymphomyosot N (წვეთები, ამპულები).

ყივანახველა

(ორგანოდერმის ანთების ფაზა)

საბაზისო თერაპია:

Spascupreel S (სანთლები)

Viburcol N (სანთლები)

სიმპტომატური თერაპია:

Echinacea compositum SN (ამპულები)

იმუნიტეტის გააქტივება ცხელებების და ანთებებისას;

Engystol N (ამპულები)

არასპეციფიკური იმუნიტეტის გააქტივება, განსაკუთრებით, გრიპის და ცხელებით მიმდინარე ინფექციებისას (მ.შ. ვირუსული);

Husteel (წვეთები)

ხველა, მაგ., გაცივების შედეგად გამოწვეული; სპასტიური ბრონქიტი, პლევრიტი;

Mucosa compositum (ამპულები)

იმუნიტეტის გააქტივება კატარების და სხვადასხვა სახის და ლოკალიზაციის ლორწოვანი გარსის ანთებისას, მაგ., ზემო და ქვემო სასუნთქი გზები და კონიუნქტივა;

Spascupreel (აბები, ამპულები)

ღრუ ორგანოების გლუვი კუნთების სპაზმი;

Tartephedreel N (წვეთები)

ბრონქიტი, განსაკუთრებით, ასთმური ხასიათის; ბრონქული ასთმა; გახანგრძლივებული ხველა სკროფულოზურ ბავშვებში, ბრონქების და ხორხის სხვადასხვა სახეობის კატარი; ყივანახველის გარკვეული ფორმები; მოცემული პრეპარატი ნაჩვენებია ყველა სახის კატარალური დაავადებისას.

შაქრიანი დიაბეტი

(მოხუცებულობითი დიაბეტი)

(ორგანოდერმის ან სიმპათიკოდერმის იმპრეგნაციის ან დეგენერაციის ფაზა)

საბაზისო თერაპია:

Syzygium compositum (წვეთები)

სიმპტომატური თერაპია:

Cerebrum compositum NM (ამპულები)

ცენტრალური გენეზის დიაბეტი;

Coenzyme compositum (ამპულები)

ფერმენტული სისტემის ფუნქციის აღდგენა და გააქტივება დეგენერაციული დაავადებებისას (უჯრედული ფაზა);

Cutis compositum N (ამპულები)

იმუნიტების გააქტივება დერმატიტების, დერმატოზების, დერმატომიკოზებისას;

Galium-Heel N (წვეთები, ამპულები)

არასპეციფიკური იმუნიტეტის გააქტივება, განსაკუთრებით, ქრონიკული დაავადებებისას;

Hepeel (აბები)

ღვიძლის ფუნქციის პირველადი და მეორადი დარღვევა: ღვიძლის დაზიანება;

Mucosa compositum (ამპულები)

იმუნიტეტის გააქტივება სხვადასხვა სახის და ლოკალიზაციის კატარების და ლორწოვანი გარსების დაავადებისას;

Ubichinon compositum (ამპულები)

ფერმენტული სისტემების დეზინტოქსიკაციური პროცესების გააქტივება, ნორმალიზაცია და აღდგენა დეგენერაციული დაავადებებისას (უჯრედული ფაზა);

სადრენაჟო თერაპია:

Lymphomyosot N (წვეთები, ამპულები).

შეშუპება ალერგიული

(ექსტოდერმის ან ენდოდერმის დეპონირების ფაზა)

საბაზისო თერაპია:

Apis-Homaccord (წვეთები)

Engystol N (ამპულები)

სიმპტომატური თერაპია:

Belladonna-Homaccord (წვეთები)

ადგილობრივი ანთებები, განსაკუთრებით, ანთებითი შეშუპებები, რომელსაც თან ახლავს შეწითლება, გასივება, ტკივილი;

Coenzyme compositum (ამპულები)

ფერმენტული სისტემის ფუნქციის აღდგენა და გააქტივება დეგენერაციული დაავადებებისას (უჯრედული ფაზა);

Lympomyosot N (წვეთები, ამპულები)

ლიმფატიზმი (ლიმფური სისტემის ჭარბი განვითარების, შეშუპების და ინფექციებისადმი მიდრეკილება); ჯირკვლების შეშუპება;

Psorinoheel N (წვეთები, ამპულები)

ზოგადთერაპიული საშუალება ღვიძლის დაზიანების და ქრონიკული დაავადებებისას;

Ubichinon compositum (ამპულები)

ფერმენტული სისტემების დეზინტოქსიკაციური პროცესების გააქტივება, ნორმალიზაცია და აღდგენა დეგენერაციული დაავადებებისას (უჯრედული ფაზა);

შეშუპება გულისმიერი

(მეზენქიმის დეპონირების ფაზა)

საბაზისო თერაპია:

Apis-Homaccord (წვეთები)

Cralonin Tropfen (წვეთები)

Cor compositum N (ამპულები)

სიმპტომატური თერაპია:

Coenzyme compositum (ამპულები)

ფერმენტული სისტემის ფუნქციის აღდგენა და გააქტივება დეგენერაციული დაავადებებისას (უჯრედული ფაზა);

Lympomyosot N (წვეთები, ამპულები)

შეშუპებისადმი მიდრეკილება; ნუშურების ჰიპერტროფია და ქრონიკული ტონზილიტი (დაზიანებული ნუშურები წარმოადგენს გულის კუნთის ინფექციურ-ტოქსიკური დაზიანების კერას, რომელსაც თან ერთვის გულისმიერი შეშუპებები);

Solidago compositum SN (ამპულები)

თირკმლის გამომყოფი ფუნქციის გააქტივება, ნეფროგენული ჰიპერტონია;

Ubichinon compositum (ამპულები)

ფერმენტული სისტემების დეზინტოქსიკაციური პროცესების გააქტივება, ნორმალიზაცია და აღდგენა დეგენერაციული დაავადებებისას (უჯრედული ფაზა).

შეშუპება თირკმლისმიერი

(ნეფროდერმის დეპონირების ან იმპრეგნაციის ფაზა)

საბაზისო თერაპია:

Apis-Homaccord (წვეთები)

Solidago compositum SN (ამპულები)

სიმპტომატური თერაპია:

Berberis-Homaccord (წვეთები, ამპულები)

შარდ-სასქესო გზების ანთება და გაღიზიანება - კენჭებით და მათ გარეშე;

Coenzyme compositum (ამპულები)

ფერმენტული სისტემის ფუნქციის აღდგენა და გააქტივება დეგენერაციული დაავადებებისას (უჯრედული ფაზა);

Cor compositum N (ამპულები)

მიოკარდის უკმარისობა თირკმლისმიერი შეშუპების დროს; ჰიპერტონია, ფილტვების შეშუპებისადმი მიდრეკილება;

Hepar compositum N (ამპულები)

ღვიძლის დეზინტოქსიკაციური ფუნქციის გაძლიერება; ღვიძლის ფუნქციის ტოქსიკური დარღვევა (ჰეპატიტური შეშუპება, ჰეპატორენალური სინდრომი ღვიძლის მძიმე დაზიანებისას, განსაკუთრებით, ციროზისას);

Lympomyosot N (წვეთები, ამპულები)

შეშუპების და ინფექციებისადმი მიდრეკილება; ქრონიკული ტონზილიტი (დაზიანებული ნუშურები, როგორც ინტოქსიკაციის კერები გლომერულონეფრიტის და თირკმლისმიერი შეშუპებისას);

Traumeel S (წვეთები, აბები, ამპულები)

ანთებითი და დეგენერაციული პროცესები სხვადასხვა ორგანოებსა და ქსოვილებში;

Ubichinon compositum (ამპულები)

ფერმენტული სისტემების დეზინტოქსიკაციური პროცესების გააქტივება, ნორმალიზაცია და აღდგენა დეგენერაციული დაავადებებისას (უჯრედული ფაზა);

ჩიყვი (სტრუმა)

(ექტოდერმის დალექვის ფაზა, შესაძლოა დედიფერენციაციის ფაზა)

საბაზისო თერაპია:

Strumeel T (აბები)

ერთი აბი შეიცავს 9.3 მკგ იოდს;

Galium-Heel N (ამპულები)

სიმპტომატური თერაპია:

Cerebrum compositum NM (ამპულები)

იმუნური სისტემის გააქტივება, განსაკუთრებით, დეპრესიების, ნერვული დაუძლურების, აღგზნებული მდგომარეობის, ვეგეტატიური დისტონიის და მეხსიერების დარღვევის შემთვევაში;

Coenzyme compositum (ამპულები)

ფერმენტული სისტემის ფუნქციის აღდგენა და გააქტივება დეგენერაციული დაავადებებისას (უჯრედული ფაზა);

Engystol N (ამპულები)

არასპეციფიკური იმუნიტეტის გააქტივება;

Ubichinon compositum (ამპულები)

ფერმენტული სისტემების დეზინტოქსიკაციური პროცესების გააქტივება, ნორმალიზაცია და აღდგენა დეგენერაციული დაავადებებისას (უჯრედული ფაზა);

სადრენაჟო თერაპია:

Lymphomyosot N (წვეთები, ამპულები).

ცრუ კრუპი

(ენდოდერმის ანთების ან იმპრეგნაციის ფაზა)

საბაზისო თერაპია:

Belladonna-Homaccord (წვეთები)

Echinacea compositum SN (ამპულები)

Spascupreel S (სანთები)

სიმპტომატური თერაპია:

Apis-Homaccord (წვეთები)

შეშუპებები, აღგზნებული მდგომარეობა;

Engystol N (ამპულები)

არასპეციფიკური იმუნიტეტის გააქტივება, განსაკუთრებით, გრიპის და ცხელებით მიმდინარე ინფექციებისას (მ.შ. ვირუსული);

Gripp-Heel (აბები, ამპულები)

გრიპი და გრიპოზული ინფექციები;

Husteel (წვეთები)

ხველა, განსაკუთრებით, გაცივების შედეგად გამოწვეული;

ბრონქიტი;

Mucosa compositum (ამპულები)

იმუნიტეტის გააქტივება კატარის და სხვადასხვა სახის და ლოკალიზაციის ლორწოვანი გარსის დაავადებებისას, მაგ., ზემო და ქვემო სასუნთქი გზების;

Tartephedreel N (წვეთები)

ხორხის სხვადასხვა სახის კატარი; სხვადასხვა ფორმის ყივანახველა;

Traumeel S (წვეთები, აბები, ამპულები)

ანთებითი და დეგენერაციული ცვლილებები სხვადასხვა ორგანოებსა და ქსოვილებში.

ცხელება

(მეზენქიმის ანთების ფაზა)

საბაზისო თერაპია:

Gripp-Heel (აბები, ამპულები)

Engystol N (ამპულები)

Traumeel S (წვეთები, აბები, ამპულები)

Viburcol N (სანთლები)

სიმპტომატური თერაპია:

Apis-Homaccord (წვეთები)

ანთებები, რომელსაც თან ახლავს აღგზნებული მდგომარეობა;

Belladonna-Homaccord (წვეთები)

ადგილობრივი ანთება, რომელსაც თან ახლავს შეწითლება და ოფლიანობა;

China-Homaccord S (წვეთები)

ცხელება, სისუსტე და დაუძლურება;

Echinacea compositum SN (ამპულები)

იმუნიტეტის გააქტივება ცხელების და ანთებებისას;

Lymphomyosot N (წვეთები, ამპულები)

ლიმფატიზმი, ინფექციებისადმი მიდრეკილება.

ღვიძლა

(ექტოდერმის ან მეზენქიის ანთების ფაზა)

საბაზისო თერაპია:

Bryaconeel (აბები)

Tartephedreel N (წვეთები)

Engystol N (ამპულები)

Gripp-Heel (ამპულები)

Viburcol N (სანთლები)

სიმპტომატური თერაპია:

Apis-Homaccord (წვეთები)

შეშუპება, აგზნებული მდგომარეობა;

Belladonna-Homaccord (წვეთები)

ადგილობრივი ანთება, რომელსაც თან ახლავს ტკივილი, შეწითლება, შეშუპება;

Echinacea compositum SN (ამპულები)

იმუნიტეტის გააქტივება ცხელებების და ანთებისას, ოტიტის და ენცეფალიტისას;

Traumeel S (წვეთები, აბები, ამპულები)

ანთებითი და დეგენერაციული პროცესები სხვადასხვა ორგანოებსა და ქსოვილებში.

ღვიძლი მგლურა

(ექტოდერმის დეგენერაციის ფაზა)

საბაზისო თერაპია:

Galium-Heel N (წვეთები, ამპულები)

Psorinoheel (წვეთები)

Cutis compositum N (ამპულები)

სიმპტომატური თერაპია:

Coenzyme compositum (ამპულები)

ფერმენტული სისტემის ფუნქციის აღდგენა და გააქტივება დეგენერაციული დაავადებებისას (უჯრედული ფაზა);

Echinacea compositum SN (ამპულები)

იმუნიტეტის გააქტივება ცხელებების და ანთებებისას;

Engystol N (ამპულები)

არასპეციფიკური იმუნიტეტის გააქტივება, განსაკუთრებით, გრიპის და ცხელებით მიმდინარე ინფექციებისას;

Hepar compositum N (ამპულები)

ღვიძლის დეზინტოქსიკაციური ფუნქციის გააქტივება; ღვიძლის ფუნქციის ტოქსიკური დარღვევა; ღვიძლის უჯრედების ფუნქციის გააქტივება; ნაჩვენებია, ასევე, ტოქსიკური ეგზანთემების და წითელი მგლურას დროს;

Hepeel (აბები)

ღვიძლის ფუნქციის პირველადი და მეორადი დარღვევა, ღვიძლის დაზიანება (მ.შ. ჰეპატიტი);

Lympomyosot N (წვეთები, ამპულები)

ლიმფატიზმი (ლიმფური ორგანოების ზომაზე მეტად განვითარება, შეშუპებისა და ინფექციებისადმი მიდრეკილება); ჯირკვლების შეშუპება;

Traumeel S (წვეთები, აბები, ამპულები)

ანთებითი და დეგენერაციული პროცესები სხვადასხვა ორგანოებსა და ქსოვილებში;

Ubichinon compositum (ამპულები)

ფერმენტული სისტემების დეზინტოქსიკაციური პროცესების გააქტივება, ნორმალიზაცია და აღდგენა დეგენერაციული დაავადებებისას (უჯრედული ფაზა).

ᲬᲘᲗᲔᲚᲘ ᲥᲐᲠᲘ

(ენდოდერმის ან მეზენქიმის ანთების ფაზა)

საბაზისო თერაპია:

Belladonna-Homaccord (წვეთები)

Traumeel S (ამპულები)

სიმპტომატური თერაპია:

Apis-Homaccord (წვეთები)

შეშუპებები, პუსტულური და ბულოზური ეგზემა, ბულოზური წითელი ქარი;

Coenzyme compositum (ამპულები)

ფერმენტული სისტემის ფუნქციის აღდგენა და გააქტივება დეგენერაციული დაავადებებისას (უჯრედული ფაზა);

Cutis compositum N (ამპულები)

არასპეციფიკური იმუნიტეტის გააქტივება სხვადასხვა დერმატოზებისას;

Echinacea compositum SN (ამპულები)

იმუნიტეტის გააქტივება ცხელებების, ანთებების და ფლეგმონებისას;

Hepeel (აბები)

ღვიძლის ფუნქციის პირველადი და მეორადი დარღვევა; ღვიძლის დაზიანება;

Ubichinon compositum (ამპულები)

ფერმენტული სისტემის დეზინტოქსიკაციური პროცესების გააქტივება, ნორმალიზაცია და აღდგენა დეგენერაციული დაავადებებისას (უჯრედული ფაზა).

სადრენაჟო თერაპია:

Lymphomyosot N (წვეთები, ამპულები).

წითურა

(ექტოდერმის ანთების ან იმპრეგნაციის ფაზა)

საბაზისო თერაპია:

Belladonna-Homaccord (წვეთები)

Lymphomyosot N (წვეთები, ამპულები)

Viburcol N (სანთლები)

სიმპტომატური თერაპია:

Apis-Homaccord (წვეთები)

შეშუპებები; პუსტულური და ბულზური ეგზემა; აგზნებული მდგომარეობა;

Echinacea compositum SN (ამპულები)

იმუნიტეტის გააქტივება ცხელებების და ანთებებისას;

Engystol N (ამპულები)

არასპეციფიკური იმუნიტეტის გააქტივება, მ.შ. ვირუსული დაავადებებისას.

ჭინჭრის ციება

(ექტოდერმის იმპრეგნაციის ფაზა)

საბაზისო თერაპია:

Apis-Homaccord (წვეთები)

სიმტომატური თერაპია:

Belladonna-Homaccord (წვეთები)

ადგილობრივი ანთებები;

Cutis compositum N (წვეთები, ამპულები)

იმუნური სისტემის გააქტივება, განსაკუთრებით, დერმატიტების, დერმატოზების, იმპეტიგოს და კვინკეს შეშუპებებისას;

Hepeel (აბები)

ღვიძლის ფუნქციის პირველადი და მეორადი დარღვევა; ღვიძლის დაზიანება (ინტესტინოგენური ჭინჭრის ციება);

Solidago compositum SN (ამპულები)

თირკმლის გამომყოფი ფუნქციის გააქტივება მოჭარბებული ოფლდენისას, ფეხის ოფლიანობისას, ეგზემისას;

სადრენაჟო თერაპია:

Lymphomyosot N (წვეთები, ამპულები).

Berberis-Homaccord (წვეთები, ამპულები).

ჭრილობების თერაპია

(ანთების ან იმპრეგნაციის ფაზა)

საბაზისო თერაპია:

Traumeel S (წვეთები, ამპულები, მალამო)

სიმპტომატური თერაპია:

Apis-Homaccord (წვეთები)

შეშუპებები, პუსტულური და ბულოზური ეგზემა, აგზნებული მდგომარეობა;

Cutis compositum N (ამპულები)

იმუნური სისტემის გააქტივება, განსაკუთრებით, ალერგიების, დერმატოზების, იმპეტიგოს დროს;

Echinacea compositum SN (ამპულები)

იმუნიტეტის გააქტივება ცხელებების და ინფექციებისას, განსაკუთრებით, ფურუნკულების, აბსცესების, ფლეგმონების და ჩირქოვანი ფისტულებისას;

Lymhomyosot N (წვეთები, ამპულები)

ჯირკვლების შეშუპება; მიდრეკილება შეშუპებების და ინფექციებისადმი (ტრავმის შემდგომი ლიმფური შეშუპება და სხვა);

ჰეპატიტი, ღვიძლის დაავადებები

(ორგანოდერმის ანთების ან იმპრეგნაციის ფაზა)

საბაზისო თერაპია:

Hepeel (აბები)

Hepar compositum N (ამპულები)

სიმპტომატური თერაპია:

Chelidonium-Homaccord N (წვეთები)

მწვავე და ქრონიკული ჰეპატიტი, ღვიძლის დაზიანება (პარენქიმის); შეგუბებითი სიყვითლე;

Coenzyme compositum (ამპულები)

ფერმენტული სისტემის ფუნქციის აღდგენა და გააქტივება დეგენერაციული დაავადებებისას (უჯრედული ფაზა);

Engystol N (ამპულები)

არასპეციფიკური იმუნიტეტის გააქტივება, განსაკუთრებით, გრიპის და ცხელებით მიმდინარე ინფექციებისას (მ.შ. ვირუსული); განსაკუთრებით, ნაჩვენებია ვირუსული ჰეპატიტისას;

Galium-Heel N (წვეთები, ამპულები)

არასპეციფიკური იმუნიტეტის გააქტივება, განსაკუთრებით, ქრონიკული დაავადებებისას (ქრონიკული პერსისტირებული ჰეპატიტი);

Gastricumeel (აბები)

მწვავე და ქრონიკული გასტრიტი, გულძმარვა, მეტეორიზმი;

Nux vomica-Homaccord (წვეთები, ამპულები)

კუჭ-ნაწლავის და ღვიძლის სამკურნალო საშუალება; ალკოჰოლის, თამბაქოს და ყავის ჭარბი გამოყენების შედეგად მიღებული გართულებები, მეტეორიზმი;

Ubichinon compositum (ამპულები)

ფერმენტული სისტემების დეზინტოქსიკაციური პროცესების გააქტივება, ნორმალიზაცია და აღდგენა დეგენერაციული დაავადებებისას (უჯრედული ფაზა);

სადრენაჟო თერაპია:

Lymphomyosot N (წვეთები, ამპულები).

ჰიპერტონიული დაავადება

(ჰემოდერმის იმპრეგნაციის ან დეპონირების ფაზა)

საბაზისო თერაპია:

Barijodeel (აბები)

სიმპტომატური თერაპია:

Cactus compositum S (წვეთები)

კორონარული სისხლის მიმოქცევის მოშლა, სტენოკარდია;

Coenzyme compositum (ამპულები)

ფერმენტული სისტემის ფუნქციის აღდგენა და გააქტივება დეგენერაციული დაავადებებისას (უჯრედული ფაზა);

Cralonin (წვეთები, ამპულები)

გულის კუნთის სტიმულირება; Cor senile;

Hepar compositum N (ამპულები)

ღვიძლის დეზინტოქსიკაციური ფუნქციის დარღვევა ღვიძლის და ნაღვლის ბუშტის მწვავე და ქრონიკული დაავადებებისას; ღვიძლის ფუნქციის ტოქსიკური დაზიანება; ღვიძლის უჯრედების ფუნქციის გააქტივება; ჰიპერქოლესტერინემია;

Hepeel (აბები)

ღვიძლის ფუნქციის პირველადი და მეორადი დარღვევა; ღვიძლის დაზიანება;

Reneel N (აბები)

საშარდე გზების ანთებები, ხშირად ერთვის კენჭების წარმოქმნა; ნაჩვენებია თირკმლისმიერი წნევისას;

Solidago compositum SN (ამპულები)

თირკმლის ფუნქციის გააქტივება;

Ubichinon compositum (ამპულები)

ფერმენტული სისტემების დეზინტოქსიკაციური პროცესების გააქტივება, ნორმალიზაცია და აღდგენა დეგენერაციული დაავადებებისას (უჯრედული ფაზა);

Vertigoheel (აბები, ამპულები)

თავის ტვინის სკლეროზის შედეგად გამოწვეული თავბრუსხვევა;

ჰიპოთირეოზი (ლატენტური)

(ენდოდერმის დეგენერაციის ფაზა)

საბაზისო თერაპია:

Apis-Homaccord (წვეთები)

სიმპტომატური თერაპია:

Coenzyme compositum (ამპულები)

ფერმენტული სისტემის ფუნქციის აღდგენა და გააქტივება დეგენერაციული დაავადებებისას (უჯრედული ფაზა);

Galium-Heel N (წვეთები, ამპულები)

არასპეციფიკური იმუნიტეტის გააქტივება, განსაკუთრებით, ქრონიკული დაავადებებისას;

Placenta compositum (ამპულები)

იმუნიტეტის და ნივთიერებათა ცვლის გააქტივება, პერი-

ფერიული სისხლის მიმოქცევის გაძლიერება;

Solidago compositum SN (ამპულები)

თირკმლის ფუნქციის გააქტივება;

Ubichinon compositum (ამპულები)

ფერმენტული სისტემების დეზინტოქსიკაციური პროცესების გააქტივება, ნორმალიზაცია და აღდგენა დეგენერაციული დაავადებებისას (უჯრედული ფაზა);

სადრენაჟო თერაპია:

Lymphomyosot N (წვეთები, ამპულები).

თავი 3.

ანტიჰომოტოქსიკური კომპლექსური პრეპარატების ანოტაციები

ANGIN-HEEL ® SD

ანგინ-ჰილ სდ

გამოშვების ფორმა და შეფუთვა:

ტაბლეტები: 50 ან 250 ტაბლეტი შეფუთვაში. ***რეგისტრაციის ნომერი R-0004170.***

შემადგენლობა:

1 ტაბლეტი შეიცავს: Hydrargirum bicyanatum D8, Phytolacca americana D4, Apis mellifica D4, Arnica D4 - შესაბამისად 30 მგ, Hepar sulphuris D6, Atropa belladonna D4 - შესაბამისად 60 მგ. ასევე Lactose-Monohydrat და Magnesiumstearat.

ჩვენება:

ანგინა; ტონზილარული ჩირქოვანი საცობები.

წინააღმდეგ ჩვენება:

არ გააჩნია.

გვერდითი ეფექტი:

მომატებული ნერწყვდენის დროს პრეპარატის მიღება უნდა შეწყდეს.

სხვა პრეპარატებთან ურთიერთქმედება:

აღსანიშნავ თავისებურებათა გარეშე.

დოზირება და გამოყენების წესი:

ჩვეულებრივ - 1 ტაბლეტი 3-ჯერ დღეში ენის ქვეშ დადებით. მწვავე მდგომარეობისას - 1 ტაბლეტი ყოველ 15 წუთში, არა უმეტეს 2 საათისა.

დამატებითი რეკომენდაცია:

Angin-Heel SD ინიშნება მწვავე და ქრონიკული ტონზილარული ანგინების, ნუშურა ჯირკვლების ჰიპერტროფიის, ანგინის შემდგომი თირკმლისმიერი გართულებისას. მოცემული პრეპარატი ნაჩვენებია ქრონიკული რინიტების და ლორწოვანის სხვა დაავადებებისას. დიფტერიით გამოწვეული ლორწოვანის დაავადებებისას (როგორიცაა ცხვირის ან ჭრილობის დიფტერია) ინიშნება როგორც დამხმარე საშუალება.

APIS–HOMACCORD®

აპის-ჰომაკორდი

გამოშვების ფორმა და შეფუთვა:

წვეთები: საწვეთურიან ფლაკონში 30 მლ ან 100 მლ.

რეგისტრაციის ნომერი R-0004179.

შემადგენლობა:

100 გ (105 მლ) შეიცავს: Apis mellifica D10, Apis mellifica 30, Apis mellifica D200, Apis mellifica D1000 - შესაბამისად 0,1 გ; Apisinum D6, Apisinum D30, Scilla D10, Scilla D30 - შესაბამისად 0,25 გ; , Tartarus stibiatus D10, Tartarus stibiatus D30, Tartarus stibiatus D200 - შესაბამისად 0,4 გ; Apis mellifica D2 - 0,1 გ; Scilla D2 - 0.25 გ; Tartarus stibiatus D2 - 0,4 გ; Ethanol 43 vol%.

ჩვენება:

შეშუპებები; პუსტულური და ბულოზური ეგზემა; მომატებული ცერებრალური აგზნებადობა.

წინააღმდეგ ჩვენება:

არ გააჩნია.

გვერდითი ეფექტი:

არ გააჩნია.

სხვა პრეპარატებთან ურთიერთქმედება:

აღსანიშნავ თავისებურებათა გარეშე.

დოზირება და გამოყენების წესი:

წვეთები: ჩვეულებრივ - 10 წვეთი დღეში 2-4-ჯერ. Psorinoheel N-თან (კანისა და თავის დაავადებებისას), Belladonna-Homaccord-თან (ანთების ფაზისას, შეწითლებებისას) მონაცვლეობით.

დამატებითი რეკომენდაცია:

პრეპარატი ინიშნება ასევე შეშუპებებისას, განსაკუთრებით, კოჭ-წვივის მიდამოს შეშუპებისას ცხელ ამინდში; წითურას და კანის სხვა დაავადებებისას, რომელთა სიმპტომები მოგვაგონებს ყვავილს; ბავშვებთა პაპულოზურ ჭინჭრის ციებისას, ეგზანთემებისას, ამოსახველებლად ბრონქიტის და ლარინგიტისას; ნეიროდერმიტის და შემომსალტველი ლიქენისას; მწერების ნაკბენების, ხმის იოგთა შეშუპების, ალბუმინურიის, მწვავე გლომერულონეფრიტისას, მწველი ხასიათის ტკივილებისას (მ.შ. მწერებისა და ფუტკრის ნაკბენები); აგზნებული მდგომარეობისას (Bryaconeel, Belladonna-Homaccord-თან ერთად).

BARIJODEEL®
ბარიიოდელი

გამოშვების ფორმა და შეფუთვა:

ტაბლეტები: 50 ან 250 ტაბლეტი შეფუთვაში. *რეგისტრაციის*

ნომერი R-0004180.

შემადგენლობა:

1 ტაბლეტი შეიცავს: Barium carbonicum D12, Ignatia D6, Stramonium D4, Kalium phosphoricum D6, Arnica D4 - შესაბამისად 30 მგ; Causticum Hahnemanni D6, Anacardium D6, Aconitum D12 - შესაბამისად 45 მგ; Calcium jodatum D4 - 15 მგ. ასევე Lactose-Monohydrat და Magnesiumstearat.

ჩვენება:

ათეროსკლეროზი, განსაკუთრებით, თავის ტვინის სისხლძარღვების; ლიმფატიზმი;

წინააღმდეგ ჩვენება:

ფარისებრი ჯირკვლის დაავადებებისას პრეპარატი არ მიიღება ექიმის დანიშნულების გარეშე.

გვერდითი ეფექტი:

არ გააჩნია.

სხვა პრეპარატებთან ურთიერთქმედება:

აღსანიშნავ თავისებურებათა გარეშე.

დოზირება და გამოყენების წესი:

ჩვეულებრივ - 1 ტაბლეტი 3-ჯერ დღეში ენის ქვეშ დადებით. მწვავე მდგომარეობისას - 1 ტაბლეტი ყოველ 15-30 წუთში, არა უმეტეს 2 საათისა.

დამატებითი რეკომენდაცია:

პრეპარატი ინიშნება ათეროსკლეროზით ან არტერიოსკლეროზით გამოწვეული გონებრივი სისუსტის, მოტორული მოუსვენრობის და ძილიანობის, ღამით მოუსვენარი ძილის, მეხსიერების ასაკობრივი დაქვეითების, არტერიოსკლეროზის შედეგად გამოწვეული თავბრუსხვევის (Vertigoheel-თან კომბინაციაში); პოსტაპოპლექსიური პარეზებისას, ყურებში შუილის, ჯირკვლების სკროფულოზური შეშუპების, ბავშვებში ზრდის და გონებრივი განვითარების ჩამორჩენის შემთხვევებში.

ხანდაზმული პაციენტებისთვის Barijodeel ნაჩვენებია Vertigoheel, Cralonin, Galium-Heel, Hepeel, Nux vomica-Homaccord-თან და სხვა პრეპარატებთან ერთად.

BELLADONNA-HOMACCORD®
ბელადონა-ჰომაკორდი

გამოშვების ფორმა და შეფუთვა:

წვეთები: საწვეთურიან ფლაკონებში 30 ან 100 მლ. *რეგისტრაციის ნომერი R-0004181.*

შემადგენლობა:

100 გ (105 მლ) შეიცავს: Belladonna D2, Belladonna D10. Belladonna D30, Belladonna D200, Belladonna D1000, Echinacea angustifolia D10, Echinacea angustifolia D30, Echinacea angustifolia D200 - შესაბამისად 0,5 მლ; Ethanol 43 vol%.

ჩვენება: ნებისმიერი ლოკალური ანთებითი პროცესები (ანთების ფაზა), რომელთაც თან ახლავს შეწითლება და შესივება, მაგ., წითელას, ქუნთრუშის, ტონზილარული ანგინის, ფურუნკულების, კარბუნკულების, ცხვირის დანამატი წიაღების ანთების, ქოლანგიტისას და სხვა.

წინააღმდეგ ჩვენება:

არ გააჩნია.

გვერდითი ეფექტი:

არ გააჩნია.

სხვა პრეპარატებთან ურთიერთქმედება:

აღსანიშნავ თავისებურებათა გარეშე.

დოზირება და გამოყენების წესი:

ჩვეულებრივ - 10 წვეთი დღეში 3-ჯერ. მწვავე შემთხვევებში - იწყებენ 10 წვეთით ყოველ 15 წუთში, არა უმეტეს 2 საათისა.

დამატებითი რეკომენდაცია:

პრეპარატი ინიშნება ასევე მოგვიანებითი დაჩირქებისადმი მკაფიოდ გამოხატული ტენდენციისას, დამატებით გამოიყენება Traumeel S (ამპულები, აბები), აგრეთვე Hepeel (ღვიძლის დაავადებებისას), Chelidonium-Homaccord (ნაღვლის ბუშტის დაავადებებისას), Reneel (თირკმლების დაავადებებისას).

პედიატრიაში ეფექტურია Belladonna Homaccord-ის და Viburcol-ის ერთად გამოყენება (მაგ., ოტიტისას).

BERBERIS -HOMACCORD®
ბერბერის-ჰომაკორდი

გამოშვების ფორმა და შეფუთვა:

წვეთები: საწვეთურიან ფლაკონში 30 მლ ან 100 მლ. *რეგისტრაციის ნომერი R-0004182.*

შემადგენლობა:

100 გ (105 მლ) შეიცავს: Berberis D10, Berberis D30, Berberis D200 შესაბამისად 0.4 გ; Colocynthis D10, Colocynthis D30, Colocynthis D200, Veratrum D10, Veratrum D30, Veratrum D200 - შესაბამისად 0.3 გ; Berberis D2 - 0.4 გ; Veratrum D3 - 0.3 გ; Colocynthis D2 - 0.3 გ; Ethanol 43 vol%.

ჩვენება:

შარდსასქესო სისტემის ორგანოთა და სანაღვლე გზების ანთება და გაღიზიანება (კონკრემენტებით ან მათ გარეშე). ქოლელითიაზი, ნეფროლიაზი და თირკმლის ჭვალი, ცისტიტი, ცისტოპიელიტი. სტრესები თირკმლების ტკივილით.

წინააღმდეგ ჩვენება:

არ გააჩნია.

გვერდითი ეფექტი:

არ გააჩნია.

სხვა პრეპარატებთან ურთიერთქმედება:

აღსანიშნავ თავისებურებათა გარეშე.

დოზირება და გამოყენების წესი:

ჩვეულებრივ - 10 წვეთი დღეში 3-ჯერ. მწვავე შემთხვევაში - იწყებენ 10 წვეთით ყოველ 15 წუთში, არა უმეტეს 2 საათისა. ჭვალისას — 10 წვეთი ყოველ 10-15 წუთში Reneel, Spascupreel, Bryaconeel-თან მონაცვლეობით.

დამატებითი რეკომენდაცია:

Berberis-Homaccord გამოიყენება სტრესებისას - თირკმელების არეში ტკივილების თანხლებით, განსაკუთრებით, მარცხენა თირკმლის ტკივილებისას დიათეზური პოდაგრების და ქრონიკული რევმატიზმისას. Berberis-Homaccord ხშირად ინიშნება როგორც შუალედური საშუალება სხვადასხვა ფაზებისას, მაგ., ანთებითი ფაზის, იმუნური სისტემების გადატვირთვების, ალოპათიური თერაპიის უარყოფითი შედეგებისას. იგი თირკმელზედა ჯირკვლის ქერქის

ფუნქციებს ააქტიურებს და ამიტომ დედიფერენციაციის ფაზაშია ნაჩვენები; ამ დროს ეს ფუნქციები დასუსტებულია.

BRONCHALIS-HEEL®
ბრონჰალის-ჰეელი

გამოშვების ფორმა და შეფუთვა:

ტაბლეტები: 50 ან 250 ტაბლეტი შეფუთვაში. *რეგისტრაციის ნომერი R-0002938.*

შემადგენლობა:

1 ტაბლეტი შეიცავს: Belladonna D4, Sticta D4, Tartarus stibiatus D4, Kreosotum D5, Ipecacuanha D4, Lobelia inflata D4 - შესაბამისად 30 მგ; Hyoscyamus D4, Bryonia D4 - შესაბამისად 60 მგ. ასევე Lactose-Monohydrat და Magnesiumstearat.

ჩვენება:

ბრონქიტები, თამბაქოს მწეველის კატარალური ბრონქიტის ჩათვლით.

წინააღმდეგ ჩვენება:

არ გააჩნია.

გვერდითი ეფექტი:

არ გააჩნია.

სხვა პრეპარატებთან ურთიერთქმედება:

აღსანიშნავ თავისებურებათა გარეშე.

დოზირება და გამოყენების წესი:

1 ტაბლეტი 3-ჯერ დღეში ენის ქვეშ დადებით. მწვავე სიმპტომატიკის შემთხვევაში - 1 ტაბლეტი ყოველ 15 წუთში არა უმეტეს 2 საათისა.

დამატებითი რეკომენდაცია:

ეს პრეპარატი ინიშნება ასევე ბრონქული ასთმის, ფილტვების ემფიზემის, პლევრიტის, მწვავე და ქრონიკული ტრაქეიტისა და ბრონქიტისას, გრიპის და ბრონქოექტაზიისას. ბრონქების ავთვისებიანი სიმსივნისას გამოიყენება როგორც დამხმარე საშუალება Galium-Heel, Lympomyosot, Psorinoheel N-თან ერთად. ის ხელს უწყობს ამოხველებას.

BRYACONEEL®

ბრიაკონელი

გამოშვების ფორმა და შეფუთვა.

ტაბლეტები: 50 ან 250 ტაბლეტი შეფუთვაში. *რეგისტრაციის ნომერი R-0004183.*

შემადგენლობა:

1 ტაბლეტი შეიცავს: Bryonia D4 - 120 მგ; Aconitum nepellus D4 - 150 მგ; Phosphorus D5 - 30 მგ. ასევე Lactose-Monohydrat და Magnesiumstearat.

ჩვენება:

ნევრალგიები, მ.შ. რევმატული წარმოშობისა; გრიპოზული ინფექციები.

წინააღმდეგ ჩვენება:

არ გააჩნია.

გვერდითი ეფექტი:

არ გააჩნია.

სხვა პრეპარატებთან ურთიერთქმედება:

აღსანიშნავ თავისებურებათა გარეშე.

დოზირება და გამოყენების წესი:

ჩვეულებრივ - 1 ტაბლეტი დღეში 3-ჯერ ენის ქვეშ დადებით. მწვავე შემთხვევებში - იწყებენ თითო ტაბლეტით ყოველ 15 წუთში, არა უმეტეს 2 საათისა.

დამატებითი რეკომენდაცია:

პრეპარატი ინიშნება ასევე პნევმონიების, გაციებით გამოწვეული მწვავე დაავადებების (რასაც თან ახლავს ხველა), ბრონქიტის, ლარინგიტის, მწვავე და ქრონიკული პლევრიტისას (Lymphomyosot-თან ერთად), სხვადასხვა ხასიათის ნევრალგიების, განსაკუთრებით, ზემო კიდურების ნევრალგიისას, ოსტეოქონდროზით გამოწვეული მტევნების და ტერფების პარესთეზიისას (Osteoheel-თან ერთად), აგრეთვე, პირველადი ქრონიკული პოლიართრიტისას, განსაკუთრებით, ზემო კიდურებში ტკივილების დროს.

Bryaconeel ეფექტურად გამოიყენება კუჭქვეშა ჯირკვლის დაავადებებისას (Spascupreel-თან ერთად — პრეპარატი მიიღება 3-6-ჯერ დღეში), აგრეთვე Bryonia-ს ყველა სხვა ჩვენებისას.

Bryaconeel ნაჩვენებია სეროზული გარსების ანთებებისას, რადგან იგი ზემოქმედებას ახდენს შემაერთებელ ქსოვილსა და

ლორწოვან გარსზე სხვადასხვა ხასიათის ანთების დროს (ისევე, როგორც Belladonna-Homaccord).

პრეპარატი, ასევე, თრგუნავს ძალიან ძლიერ რეგრესულ ვიკარიაციას.

CACTUS COMPOSITUM S
კაკტუს კომპოზიტუმ ს

გამოშვების ფორმა და შეფუთვა:

წვეთები: საწვეთურიან ფლაკონში 30 მლ ან 100 მლ. ***რეგისტრაციის ნომერი R-0004184.***

შემადგენლობა:

ხსნარის 1 გ შეიცავს: Selenicereus grandiflorus D1, Spigelia anthelmia D3, Kalium carbonicum D3 - შესაბამისად 0,01გ; Nitroglycerinum D3 - 0,006 გ, Crataegus D1 - 0,964 გ. Ethanol 51 vol%.

ჩვენება:

კორონარული სისხლის მიმოქცევის უკმარისობა. გულის იშემიური დაავადებები, პოსტინფარქტული თერაპია.

წინააღმდეგ ჩვენება:

არ გააჩნია.

გვერდითი ეფექტი:

არ გააჩნია.

სხვა პრეპარატებთან ურთიერთქმედება:

აღსანიშნავ თავისებურებათა გარეშე.

დოზირება და გამოყენების წესი:

დოზები შერჩეულ უნდა იქნეს ინდივიდუალურად.

წვეთები: ხანგრძლივი თერაპიისას - 10 წვეთი დღეში 3-ჯერ. მწვავე შემთხვევებში (მჩხვლეტავი ხასიათის ტკივილები გულის არეში, გულის „შებოჭვის" შეგრძნება, გულიდან ზემო კიდურებში ან მუცლის არეში გადამცემი ტკივილები) - 5-8 წვეთი ყოველ 5 წუთში, 1-2 საათის განმავლობაში. მდგომარეობის გაუმჯობესებისას დოზა უნდა შემცირდეს.

დამატებითი რეკომენდაცია:

პრეპარატი სპეციფიკურად მოქმედებს სტენოკარდიული სინდრომისას და კორონარული სისხლის მომარაგების დარღვევისას. სტენოკარდიისას მოქმედებს კომპონენტები Cactus, Glonoinum.

Spigelia, Kalium carbonicum. ისინი ხელს უშლიან ინფარქტის წარმოქმნას. Crataegus ხელს უწყობს მიოკარდის კორონარული სისხლით მომარაგებას. ამიტომ Cactus compositum ნაჩვენებია აგრეთვე გულის ინფარქტისას.

ამგვარად, პრეპარატი გამოიყენება სხვადასხვა გენეზის სტენოკარდიებისას, გადამეტებული თამბაქოს წევის შემთხვევაში სისხლის კორონარული მომარაგების დარღვევისას, მიოკარდიუმის ინფარქტის შემდგომი და მისი ხანგრძლივი თერაპიისას.

CEREBRUM COMPOSITUM NM
ცერებრუმ კომპოზიტუმ ნმ

გამოშვების ფორმა და შეფუთვა:

საინექციო ხსნარი: 2,2 მლ ამპულაში. შეფუთვა: 5, 10, 50 ან 100 ამპულა შეფუთვაში. ***რეგისტრაციის ნომერი R-0004216.***

შემადგენლობა:

2,2 მლ-იანი 1 ამპულა შეიცავს: Cerebrum suis D8, Embryo suis D10, Hepar suis D10, Placenta suis D10, Kalium phosphoricum D6, Selenium D10, Thuja D6, Ignatia D8, Acidum phosphoricum D10, China D4, Sulfur D10, Kalium bichromicum D8, Gelsemium D4, Ruta D4, Arnica D28, Aesculus D4, Manganum phosphoricum D8, Magnesium phosphoricum D10, Anacardium D6, Conium D4, Hyoscyamus D6, Aconitum D6, Cocculus D4, Ambra D10 - შესაბამისად 22 მკლ; ასევე საინექციო წყალი, ნატრიუმქლორიდი.

ჩვენება:

ბავშვებში ფიზიკური და გონებრივი განვითარების ჩამორჩენისას რეგენერაციული პროცესების და არასპეციფიკური იმუნიტეტის სტიმულირება. ლეგასთენია, ვეგეტატიური დისტონია, დეპრესია, ათეროსკლეროზი. თავის ტვინის შერყევის და ენცეფალიტის შემდგომი მდგომარეობები, ნევრალგიები, ნევროზული მდგომარეობები, გვერდითი ამიოტროფული სკლეროზი, გაფანტული სკლეროზი, პარკინსონის დაავადება; მეხსიერების მოშლილობები, ნევრასთენიები და სხვა გერიატრიული ცვლილებები.

წინააღმდეგ ჩვენება:

არ გააჩნია.

გვერდითი ეფექტი:

ერთეულ შემთხვევაში შესაძლოა კანის ალერგიული რეაქციები, რაც მოითხოვს პრეპარატის გამოყენების დაუყოვნებლივ შეწყვეტას.

სხვა პრეპარატებთან ურთიერთქმედება:

აღსანიშნავ თავისებურებათა გარეშე.

დოზირება და გამოყენების წესი:

ჩვეულებრივ - 1 ამპულა 1-3 -ჯერ კვირაში კანქვეშ, კუნთში, კანში, აუცილებლობისას - ვენაში.

დამატებითი რეკომენდაცია:

Cerebrum compositum მოქმედებს არა მხოლოდ თავის ტვინის ფუნქციებზე (მეხსიერების ჩათვლით), არამედ ყველა ასაკის ადამიანებში თავის ტვინის არტერიოსკლეროზით გამოწვეულ სისხლის მიმოქცევის დარღვევასა და მასთან დაკავშირებულ გონებრივი უნარიანობის დასუსტებას გვაცილებს თავიდან - განსაკუთრებით, სტრესებისას; რეკომენდებულია დამატებით დაინიშნოს: Hepar compositum (ღვიძლის დეზინტოქსიკაციური ფუნქციის გააქტივება), Testis compositum (მამაკაცებისათვის), Ovarium compositum (ქალებისათვის), Placenta compositum (პერიფერიული სისხლის მიმოქცევის გაუმჯობესება), Cor compositum (მიოკარდის სისუსტე და გულის სისხლით მომარაგების დარღვევა), Lymphomyosot (სადრენაჟო თერაპიისათვის), ხოლო პრეკანცეროზის ან ახალწარმონაქმნის საშიშროებისას — Ubichinon compositum, Thyreoidea compositum-ის თითო ინექცია.

პრეპარატი Cerebrum compositum N აგრეთვე ნაჩვენებია სხვადასხვა ორგანული ნერვული დაავადების და შაკიკების დროს, განსაკუთრებით, სხვა ანტიჰომოტოქსიკურ პრეპარატებთან პარალელურად (მაგ., Galium-Heel).

CHELIDONIUM-HOMACCORD® N
ჰელიდონიუმ-ჰომაკორდ ნ

გამოშვების ფორმა და შეფუთვა:

წვეთები: საწვეთურიან ფლაკონში 30 მლ ან 100 მლ. *რეგისტრაციის ნომერი* ***R-0004222.***

შემადგენლობა:

100 გ შეიცავს: Chelidonium majus - D10, Chelidonium majus - D30, Chelidonium majus D200 - შესაბამისად 0.6 გ. Atropa Belladonna D10, Atropa Belladonna D30, Atropa Bel-

ladonna D200, Atropa Belladonna D1000 - შესაბამისად 0.3 გ. Fel tauri - D10, Fel tauri - D30, Fel tauri - D200 - შესაბამისად 0.1 გ. Ethanol 35 vol%.

ჩვენება:

ქოლანგიტები, ქოლეცისტიტები, ნაღვლის ბუშტის ჭვალი, მწვავე და ქრონიკული ჰეპატიტი, ობტურაციული სიყვითლე (შეგუბებითი) და ღვიძლის სხვა დაავადებები (პარენქიმის დაზიანებით). გულის არითმიებისას გამოიყენება როგორც დამხმარე საშუალება.

წინააღმდეგ ჩვენება:

არ გააჩნია.

გვერდითი ეფექტი:

არ გაჩნია.

სხვა პრეპარატებთან ურთიერთქმედება:

აღსანიშნავ თავისებურებათა გარეშე.

დოზირება და გამოყენების წესი:

ჩვეულებრივ - 10 წვეთი 3-ჯერ დღეში. მწვავე მდგომარეობისას - 10 წვეთი ყოველ 15 წუთში არა უმეტეს 2 საათისა.

დამატებითი რეკომენდაცია:

Chelidonium-Homaccord ინიშნება აგრეთვე მარჯვენა ფერდქვეშა მიდამოში ტკივილისას, რომელიც გადაეცემა ბეჭის ქვეშ; ღვიძლის დაზიანებისას (მწვავე და ქრონიკული ჰეპატიტი და ღვიძლის პარენქიმის სხვა დაზიანება), შაკიკისას (განსაკუთრებით, მარჯვენა თვალის ზემოთ ტკივილი).

ციროზის და ღვიძლის სხვა დაავადებებისას პრეპარატი Psorinoheel N, Galium-Heel, Lymphomyosot, Hepeel-თან ერთად გამოიყენება. პრეპარატის მოქმედებას ავსებს Gastricumeel (კუჭის კატარების და წყლულისას), Nux vomica-Homaccord (ზოგადთერაპიული საშუალება ღვიძლის და საჭმლის მომნელებელი ტრაქტის დაავადებების და სპასტიური ყაბზობისას).

ეს პრეპარატი ღვიძლისა და სანაღვლე გზების დაავადებებისას ძირითად საშუალებას წარმოადგენს, უფრო ეფექტურია Nux vomica-Homaccord-თან ერთად, რომელიც ღვიძლის დეზინტოქსიკაციურ ფუნქციას ააქტიურებს.

CHINA-HOMACCORD® S
ქინა-ჰომაკორდ ს

გამოშვების ფორმა და შეფუთვა:

წვეთები: საწვეთურიან ფლაკონში 30 მლ ან 100 მლ. *რეგისტრაციის ნომერი R-0004185.*

შემადგენლობა:

100 გ (105 მლ) შეიცავს: China D10, China D30, China D200 - შესაბამისად 0,6 გ. Sepia D30, Sepia D200, Sepia D1000 - 0,4 გ. China D2 - 0,6 გ. Sepia D6 - 0,4 გ. Ethanol 43 vol%.

ჩვენება:

გამოფიტვა, ულონობა, სისუსტე. ის ძირითადი საშუალებაა ოსტეოქონდროზების მკურნალობისას.

წინააღმდეგ ჩვენება:

არ გააჩნია.

გვერდითი ეფექტი:

არ გააჩნია.

სხვა პრეპარატებთან ურთიერთქმედება:

აღსანიშნავ თავისებურებათა გარეშე.

დოზირება:

ჩვეულებრივ - 10 წვეთი 3-ჯერ დღეში. მწვავე მდგომარეობისას -10 წვეთი ყოველ 15 წუთში, არა უმეტეს 2 საათისა.

დამატებითი რეკომენდაცია:

China-Homaccord S ინიშნება დაუძლურებისას, გამოფიტვისას. ასეთი მდგომარეობები შოიერმანის დაავადების, ოსტეოქონდროზის, დაძაბული მუშაობის ან სწავლის დროს და კლიმაქსურ პერიოდში წარმოიშობა.

China-Homaccord S ოსტეოქონდროზის მკურნალობაში საბაზისო პრეპარატს წარმოადგენს (Discus compositum, Colocynthis-Homaccord-თან და სხვა პრეპარატებთან ერთად). ქალებს, რომელთათვისაც დამახასიათებელია სითხის დაკარგვა (მენსტრუაცია, მენორაგია, თეთრად შლა და ა. შ), ეს პრეპარატი ენიშნებათ როგორც ძირითადი ან შუალედური საშუალება. პერაპარატი Nux vomica-Homacord-თან ერთად ეფექტურ შემავსებელ თერაპიულ საშუალებას წარმოადგენს შეკრულობის და კუჭ-ნაწლავის ტრაქტის სხვა დაავადებებისას.

COENZYME COMPOSITUM
კოენზიმ კომპოზიტუმი

გამოშვების ფორმა და შეფუთვა:

საინექციო ხსნარი: 2,2 მლ ამპულა. 5, 10, 50 ან 100 ამპულა შეფუთვაში. *რეგისტრაციის ნომერი R-0004188.*

შემადგენლობა:

2,2 მლ-იანი 1 ამპულა შეიცავს: Acidum ascorbicum D6, Thiaminchlorydhidrochlorid D6, Riboflavin-5`-phosphat Mononatriumsalz 2 H2O D6, Pyridpxinhidrochnorid D6, Nicotinamid D6, Acidum cis-aconiticum D8, Acidum citricum D8. Acidum fumaricum D8, Acidum α–ketoglutaricum D8, Acidum DL-malicum D8, Acidum succinicum D8, Baryum oxalsuccinicum D10, Natriumpyruvat D8, L-Cystein D6, Pulsatilla D6, Hepar sulphuris D10, Sulfur D10, Adenosin-5`-triphosphat Dinatriumsalz D10, Nadid D8, Coenzym A D8, Beta vulgaris rubra D4, Natrium oxalaceticum D6, Manganum phosphoricum D6, Magnesiumorotat D6, Cerum oxalicum D8, α-Liponsaure D6 - შესაბამისად 22 მკლ. ასევე საინექციო წყალი, ნატრიუმქლორიდი.

ჩვენება:

ბლოკირებული ფერმენტული სისტემების სტიმულირება და ნორმალიზაცია დეგენერაციული დაავადებებისას (უჯრედული ფაზა).

წინააღმდეგ ჩვენება:

არ გააჩნია.

გვერდითი ეფექტი:

არ გააჩნია.

სხვა პრეპარატებთან ურთიერთქმედება:

აღსანიშნავ თავისებურებათა გარეშე.

დოზირება და გამოყენების წესი:

ჩვეულებრივ - 1 ამპულა 1-3-ჯერ კვირაში კანში, კუნთში, კანქვეშ.

დამატებითი რეკომენდაცია:

მოცემული პრეპარატი, როგორც ფერმენტული სისტემის ინიციატორი (ინდუქტორი) უწყობს ხელს ვიტამინების და სხვა კომპონენტების ლიმონმჟავას ციკლზე ზემოქმედებას. მასში შემავალი (ფერმენტების რეგენერაციის ხელშემწყობი) მიკროელემენტები და შუალედური კატალიზატორები ახდენენ ფართო, მაგრამ არაძლიერ

თერაპიულ ეფექტს ბლოკირებულ ან არააქტივირებულ ფერმენტულ სისტემებზე. აქედან გამომდინარე, მოცემული პრეპარატი ნაჩვენებია ბიოლოგიური ბარიერის მარღვნივ მყოფ ყველა ფაზის დაავადებაზე (იმპრეგნაციის, დეგენერაციის და დედიფერენციაციის ფაზები). სხვადასხვა ახალწარმონაქმნებისას ის ინიშნება როგორც შუალედური საშუალება შემდეგ პრეპარატებთან ერთად: Ubichinon compositum, Hepar compositum. გარდა ამ პრეპარატებისა ფერმენტული სისტემების ნებისმიერი დარღვევისას რეკომენდებულია Galium-Heel, Engystol N, Traumeel S-ის დანიშვნა. მოცემულმა პრეპარატებმა ბრავალი პაციენტის გამოჯანმრთელებას შეუწყო ხელი.

ამ პრეპარატის კანქვეშა და კანშიგა ინექციების გაკეთებისას ვიტამინების შემცველობის გამო შეიძლება იყოს უმნიშვნელო ტკივილი.

COLOCYNTHIS-HOMACCORD®
კოლოცინტის-ჰომაკორდი

გამოშვების ფორმა და შეფუთვა:

წვეთები: საწვეთურიან ფლაკონში 30 მლ ან 100 მლ. ***რეგისტრაციის ნომერი R-0004186.***

საინექციო ხსნარი: 1,1 მლ ამპულაში. 5, 10, 50 ან 100 ამპულა შეფუთვაში. ***რეგისტრაციის ნომერი R-0004189.***

შემადგენლობა:

წვეთები: 100 გ (105 მლ) შეიცავს: Colocynthis D2, Colocynthis D10, Colocynthis D30, Colocynthis D200 - შესაბამისად 0,8 გ; Gnaphalium polycephalum D1, Gnaphalium polycephalum D10, Gnaphalium polycephalum D30, Gnaphalium polycephalum D200 - შესაბამისად 0,2 გ. Ethanol 43 vol%.

საინექციო ხსნარი: 1,1 მლ-იანი 1 ამპულა შეიცავს: Colocynthis D4, Colocynthis D10, Colocynthis D30, Colocynthis D200 - შესაბამისად 8,8 მკლ. Gnaphalium polycephalum D3, Gnaphalium polycephalum D10, Gnaphalium polycephalum D30, Gnaphalium polycephalum D200 - შესაბამისად 2,2 მკლ. ასევე საინექციო წყალი, ნატრიუმქლორიდი.

ჩვენება:

ნევრალგიები, განსაკუთრებით, სამკდომი ნერვის; ხერხემლის სვეტის წელის ნაწილის ოსტეოქონდროზი.

წინააღმდეგ ჩვენებები:

არ გააჩნია.

გვერდითი ეფექტები:

არ გააჩნია.

სხვა პრეპარატებთან ურთიერთქმედება:

აღსანიშნავ თავისებურებათა გარეშე.

დოზირება და გამოყენების წესი:

წვეთები: ჩვეულებრივ - 10 წვეთი 3-ჯერ დღეში. მწვავე შემთხვევაში - დასაწყისისთვის 10 წვეთი ყოველ 15 წუთში, არა უმეტეს 2 საათისა.

საინექციო ხსნარი: მწვავე შემთხვევისას - ყოველდღიურად, ხოლო ჩვეულებრივ - 1 ამპულა კვირაში 1-3-ჯერ კანქვეშ, კუნთში, ვენაში, კანში. ნევრალგიებისას — ტკივილის მიდამოში Neuralgo-Rheum-Injeel-თან მონაცვლეობით ან ნარევში.

დამატებითი რეკომენდაციები:

Colocynthis-Homaccord ნაჩვენებია სხვადასხვა წარმოშობის და ლოკალიზაციის ნევრალგიებისას, ნეკნთაშორისი ნევრალგიის და მალათაშორისი დისკების დაავადებისას. რადგან ნევრალგიების უმრავლესობა ვერტებროგენული ხასიათისაა, პრეპარატი ხერხემლის ოსტეოქონდროზის ბაზისური თერაპიისას ინიშნება (Discus compositum და China-Homaccord S-თან მონაცვლეობით).

Colocynthis-Hoinaccord იმ მძღოლთა შორის განსაკუთრებული სახეობის ნევრალგიისას გამოიყენება, რომლითაც ხანგრძლივი მგზავრობისას ქვემო კიდურებში ისეთი შეგრძნება უჩნდებათ, რომ ერთ პოზაში ჯდომა აუტანელი ხდება. პრეპარატის მიღებით მდგომარეობა უმჯობესდება რამდენიმე საათის განმალობაში.

Colocynthis-Homaccord-თან მონაცვლეობით ინიშნება პრეპარატები Spascupreel და Lumphomyosot (მუცლის ჭვალისას), Spigelon (თავის ტკივილებისას).

COR COMPOSITUM N
კორ კომპოზიტუმი ნ

გამოშვების ფორმა და შეფუთვა:

საინექციო ხსნარი: 2,2 მლ ამპულაში. 5, 10, 50 ან 100 ამპულა შეფუთვაში. *რეგისტრაციის ნომერი* ***R-0004217.***

შემადგენლობა:

2,2 მლ-იანი 1 ამპულა შეიცავს: Cor suis D8, Hepar suis D8,

Crataegus D6, Arnica D4, Ignatia D6, Acidum arsenicosum D8, g-Strophanthin 8 H_2O D8, Ranunculus bulbosus D6, Cactus D3, Glonoinum D4, Kalium carbonicum D4, Kalmia D4, Spigelia D10, Carbo vegetabilis D18, Acidum α–ketoglutaricum D8, Acidum fumaricum D8, Acidum DL-malicum D8, Acidum sarcolacticum D6, Natrium oxalaceticum D8 - შესაბამისად 22 მლ; ასევე სანექციო წყალი, ნატრიუმქლორიდი.

ჩვენება:

გულის კორონარული სისხლის მიმოქცევის ინფარქტის შემდგომი დარღვევები, გულის იშემიური დაავადება, მიოკარდის სისუსტე, გულის უკმარისობა, სპორტსმენის გული, მაობლიტირებელი ენდარტერიიტი, არტერიული ჰიპერტონია, გასტროკარდიალური სინდრომი, გულის არითმია, პაროქსიზმული ტაქიკარდია, ემფიზემა, ფილტვების შეშუპებისადმი მიდრეკილება.

წინააღმდეგ ჩვენება:

არ გააჩნია.

გვერდითი ეფექტი:

არ გააჩნია.

სხვა პრეპარატებთან ურთიერთქმედება:

აღსანიშნავ თავისებურებათა გარეშე.

დოზირება და გამოყენების წესი:

მწვავე შემთხვევებისას - ყოველდღიურად, სხვა შემთხვევებში - 1-3-ჯერ კვირაში თითო ამპულა კანქვეშ, კუნთში, კან'ში, აუცილებლობისას - ვენაში.

დამატებითი რეკომენდაცია:

პრეპარატის შემადგენლობაში არსებული გულისა და ღვიძლის ექსტრაქტები ამ ორგანოთა ფუნქციების აღდგენის მოლეკულურ საფუძველს ქმნის და მსგავსების პრინციპის შესაბამისად ანტიპომოტოქსიურ მოქმედებას ახდენს. მცენარეული კომპონენტები სისხლის მიმოქცევის ტონიზირებას იწვევს და ხელს უწყობს სისხლის დარღვეული მიმოქცევის ნორმალიზებას, ამასთან, Glonoinum და სხვა კომპონენტები აწესრიგებს გულის კუნთის სისხლით მომარაგებას, ხსნის მიოკარდის დაზიანებათა შედეგებს (ამასვე უწყობს ხელს პრეპარატის შემადგენლობაში არსებული ლიმონმჟავას ციკლის კატალიზატორები). Acidum sarcolacticum და g-Strophanthin მსგავსებს და უკუეფექტის პრინციპთა შესაბამისად ინფარქტისადმი მიდრეკილებისა და ჟანგვითი პროცესების შეფერხებისას გულის

კუნთის სისხლით ცუდად უზრუნველყოფილ მიდამოებში მოქმედებს.

დამატებითი თერაპიისათვის Cor compositum-თან ერთად იყენებენ Hepar compositum, Placenta compositum (სისხლის პერიფერიული მიწოდების დარღვევებისას), Testis compositum (მამაკაცებისთვის) და Ovarium compositum (ქალებისთვის), Cactus compositum (ინფარქტის საშიშროების ან თვით ინფარქტის დროს). პოსტინფარქტული მდგომარეობის თერაპიისთვის ნაჩვენებია Cor compositum, Cactus compositum. პოსტინფარქტული მდგომარეობის პერორალური თერაპიისთვის გამოიყენება Cactus compositum S და Cralonin-ის (გულის კუნთის დასუსტება) ე.წ. "სასმელი ამპულები".

CRALONIN® TROPFEN

კრალონინ ტროპფენი

წვეთები

CRALONIN®

კრალონინი

საინექციო ხსნარი

გამოშვების ფორმა და შეფუთვა:

წვეთები: საწვეთურიან ფლაკონში 30 მლ ან 100 მლ. *რეგისტრაციის ნომერი R-0004187.*

საინექციო ხსნარი: 1,1 მლ ამპულაში. 5, 10, 50 ან 100 ამპულა შეფუთვაში. *რეგისტრაციის ნომერი R-0004192.*

შემადგენლობა:

წვეთები: 100 მლ ხსნარი შეიცავს: Crataegus Ø - 70 მლ, Spigelia anthelmia D2, Kalium carbonicum D3 შესაბამისად 1 მლ: Ethanol 43 vol%.

საინექციო ხსნარი:1,1 მლ-იანი 1 ამპულა შეიცავს: Crataegus D2 8.8 მგ, Spigelia anthelmia D1, Kalium carbonicum D2 - შესაბამისად 1.1 მგ; ასევე საინექციო წყალი, ნატრიუმქლორიდი.

ჩვენება:

წვეთები: ნაჩვენებია სიმპტომთა კომპლექსის შესაბამისად, რომელთა კუპირებისთვის რეცეპტურის ცალკეული კომპონენტები გამოიყენება: დაბერებული გული, გულის კუნთის დაზიანებათა შედეგები, გულის მოქმედების ნეიროგენული მოშლილობები, გულის

არეში მჩხვლეტავი და სხვა ხასიათის ტკივილები (გულის იშემიური დაავადების პროფილაქტიკა).

საინექციო ხსნარი: სისხლის კორონარული მიმოქცევის დარღვევები, გულის იშემიური დაავადება, სხვადასხვა გენეზის ტკივილები გულის არეში, ინფექციურ-ტოქსიკური მიოკარდიტი, მიოკარდის ინფარქტის შემდგომი მდგომარეობა.

წინააღმდეგ ჩვენება:

არ გააჩნია.

გვერდითი ეფექტი:

არ გააჩნია.

სხვა პრეპარატებთან ურთიერთქმედება:

აღსანიშნავ თავისებურებათა გარეშე.

დოზირება და გამოყენების წესი:

დოზირება უნდა განისაზღვროს ექიმის მიერ ყოველი პაციენტისთვის ინდივიდუალურად.

წვეთები: ჩვეულებრივ, ხანგრძლივი თერაპიისას, 2-10 წვეთი 3-ჯერ დღეში. მწვავე სიმპტომატიკის შემთხვევაში 10 წვეთი ყოველ 15 წუთში დაავადების საწყის სტადიაზე (ყ უ რ ა დ ღ ე ბ ა! ამ დოზირებით წამლის მიღება ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში ექიმის კონტროლის გარეშე არ შეიძლება).

საინექციო ხსნარი: დოზირება უნდა განისაზღვროს ექიმის მიერ ყოველი პაციენტისთვის ინდივიდუალურად. მწვავე სიმპტომატიკის შემთხვევაში - 1 ამპულა ყოველდღიურად (შეიძლება 6-8 საათში ერთხელ), სხვა შემთხვევებში - 1 ამპულა კვირაში 1-3-ჯერ ცენაში, კუნთში, კანქვეშ, კანში.

დამატებითი რეკომენდაცია:

Craegus პირველ ყოლისა ზემოქმედებს გულის დაზიანებულ კუნთზე; გულის დატვირთვასა და ფიზიოლოგიურ დაბერებაზე. რომლებიც იწვევს მისი მუშაობის ფუნქციონალურ შესუსტებას; იგი ხელს უწყობს მიოკარდის სისხლით და ჟანგბადით მომარაგებას და არეგულირებს სისხლის წნევას; Kalium carbonicum და Spigelia ხელს უწყობს Crataegus-ის ზემოქმედებას.

ოსტეოქონდროზით გართულებული გულის დაავადებებისას (ვერტებროგენული სტენოკარდია) დამატებით ინიშნება Colocynthis -Homaccord და სხვა.

CUTIS COMPOSITUM
კუტის კომპოზიტუმი

გამოშვების ფორმა და შეფუთვა:

საინექციო ხსნარი: 2,2 მლ ამპულაში.: 5, 10, 50 ან 100 ამპულა შეფუთვაში. ***რეგისტრაციის ნომერი R-0004214.***

შემადგენლობა:

2,2 მლ-იანი 1 ამპულა შეიცავს: Cutis suis D8, Hepar suis D10, Splen suis D10, Placenta suis D10, Glandula suprarenalis suis D10, Funiculus umbilicalis suis D10, Thuja D8, Galium aparine D6, Selenium D10, Thallium sulfuricum D13, Ignatia D6, Sulfur D10, Cortisonacetat D28, Urtica urens D4, Acidum Phosphoricum D6, Calcium fluoratum D13, Mercurius solubilis Hahnemanni D13, Aesculus D6, Ichthyolum D28, Ledum D4, Arctium lappa D6, Acidum Formicicum D198, Acidum α–ketoglutaricum D10, Acidum fumaricum D10, Natrium oxalaceticum D10 - შესაბამისად 22 მკლ. ასევე საინექციო წყალი, ნატრიუმქლორიდი.

ჩვენება:

იმუნური სისტემის გააქტივება კანის დაავადებებისას, როგორიცაა დერმატიტები, დერმატოზები, ეგზემები, ალერგიები, სკლეროდერმიები, ვულგარული აკნე, ერითემები, დერმატომიოზები, კონდილომები, კონტაგიოზური იმპეტიგო, ნეიროდერმიტი, თითთაშუა მიკოზები, ნაწოლები, დულპუიტენის კონტრაქტურები, თმის ცვენა, კვინკეს შეშუპება, ელეფანტიაზი.

წინააღმდეგ ჩვენება:

ალერგია იხტიოლზე (ammoniumbituminosulfonat).

გვერდითი ეფექტი:

შესაძლოა გაძლიერებული ნერწყვდენა.

სხვა პრეპარატებთან ურთიერთქმედება:

აღსანიშნავ თავისებურებათა გარეშე.

დოზირება და გამოყენების წესი:

მწვავე შემთხვევაში - ყოველდღიურად, ჩვეულებრივ კი - ერთი ამპულა 1-3-ჯერ ვერაში, კანქვეშ, კუნთში, კანში; აუცილებლობისას - ვენაში.

დამატებითი რეკომენდაცია:

შემადგენელი კომპონენტების თვისებებიდან გამომდინარე, პრეპარატი ნაჩვენებია კანის ბუნებრივი ექსკრეტორული ფუნქციების

გასააქტივებლად, როდესაც ადგილი აქვს ორგანიზმის რეტოქსიკურ დაზიანებას კოსმეტიკური პრეპარატების გამოყენების გამო.

სხვადასხვა ორგანოების ექსტრაქტები აადვილებს ჰომეოპათიური კომპონენტების და ლიმონმჟავას ციკლის კატალიზატორთა მოქმედებას შემაერთებელ ქსოვილსა და კანის დარღვეულ ფუნქციებზე, მაგ., ანთების ფაზისას, ეგზემისას, თმის ცვენისას და სკლეროდერმიის ტიპის დეგენერაციული პროცესებისას.

კანის დეგენერაციული დაავადებებისას დამატებით ინიშნება Coenzyme compositum, Ubichinon compositum, Thyreoidea compositum, Hepar compositum (ღვიძლის დეზინტოქსიკაციური ფუნქციის გააქტივება), Placenta compositum (სკლეროდერმიისას), Echinacea compositum S, Traumeel S (ანთებითი გამოვლინებებისას).

DIARRHEEL® S
დიარჰელ ს

გამოშვების ფორმა და შეფუთვა:

ტაბლეტები: შეფუთვაში 50 ან 250 ტაბლეტი. *რეგისტრაციის ნომერი R-0004208.*

შემადგენლობა:

1 ტაბლეტი შეიცავს: Argentum Nitricum D8, Acidum arseniccosum D8, Colchicum D6, Colocynthis D6, Hydrargirum bichloratum D8, Podophyllum D6, Veratrum D4 - შესაბამისად 30 მგ; Tormentilla D2 - 60 მგ; ასევე Lactose-Monohydrat და Magnesiumstearat.

ჩვენება:

მწვავე და ქრონიკული დიარეა, გასტროენტერიტი.

წინააღმდეგ ჩვენება:

არ გააჩნია.

გვერდითი ეფექტი:

მიღებისას შესაძლებელია მომატებული ნერწყვდენა, რის შემდეგაც პრეპარატის მიღება უნდა შეწყდეს.

სხვა პრეპარატებთან ურთიერთმოქმედება:

აღსანიშნავ თავისებურებათა გარეშე.

დოზირება და გამოყენების წესი:

ჩვეულებრივ - 1 ტაბლეტი 3-ჯერ დღეში ენის ქვეშ დადებით, მწვავე შემთხვევებში - თითო ტაბლეტი ყოველ 15 წუთში ერთხელ, არა უმეტეს 2 საათისა.

დამატებითი რეკომენდაცია:

Diarrheel S ინიშნება აგრეთვე დისპეფსიის, დიზენტერიის, ტიმპანიტის და მეტეორიზმის დროს, რომლის მიზეზადაც გვევლინება საჭმლის მომნელებელი ტრაქტი, ღვიძლი და კუჭქვეშა ჯირკვალი. ტოქსინების გამოსადევნად დამატებით Diarrheel S-ის ტაბლეტის მიღებიდან 30 წუთის შემდეგ რეკომენდებულია გააქტივებული ნახშირის მიღება.

Diarrheel S ნაჩვენებია საჭმლის მომნელებელი ტრაქტის ფუნქციის დარღვევის ყველა შემთხვევებში (განსაკუთრებით, დიარეისათვის დამახასიათებელი განავლის დროს), პანკრეატიტის, სხვადასხვა დაავადებებით გამოწვეული სეპტიური აშლილობის, კუჭის და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულის, ქოლანგიტის, ქოლეცისტიტის, ნაღველ-კენჭოვანი დაავადებების, დისბაქტერიოზებისას და სხვა.

დოზირება დამოკიდებულია დაავადების სტადიაზე და სიმპტომატიკაზე.

DISCUS COMPOSITUM
დისკუს კომპოზიტუმი

გამოშვების ფორმა:

საინექციო ხსნარი: 2,2 · მლ ამპულაში. 5, 10, 50 ან 100 ამპულა შეფუთვაში. ***რეგისტრაციის ნომერი R-0004196.***

შემადგენლობა:

საინექციო ხსნარი: 2,2 მლ ამპულაში. 5, 10, 50 ან 100 ამპულა შეფუთვაში. ***რეგისტრაციის ნომერი R-0004201.***

შემადგენლობა:

2,2 მლ-იანი 1 ამპულა შეიცავს: Ovarium suis D8, Placenta suis D10, Uterus suis D10, Salpinx suis D10, Hypophysis suis D13, Cypripedium pubescens D6, Lilium tigrinum D4, Pulsatilla D18, Aquilegia vulgaris D4, Sepia D10, Lachesis D10, Apisinum D8, Kreosotum D8, Bovista D6, Ipecacuanha D6, Mercurius solubilis Hahnemanni D10, Hydrastis D4, Acidum cis-aconiyicum D10, Magnesium phosphoricum D10 - შესაბამისად 22 მკლ. ასევე საინექციო წყალი, ნატრიუმქლორიდი

ჩვენება:

ორგანიზმის დამცველობითი მექანიზმის, ჯირკვლებისა და შემაერთებელი ქსოვილის ფუნქციათა სტიმულირება დისმენორეის, პარამეტრიტის, მიომეტრიტის, ენდომეტრიტის, ენურეზების (გოგონებში), კლიმაქსის, დაუცხრომელი პირღებინების, ჰიპოფიზის წინა წილის უკმარისობისას ქალებში, ვულვის კრაუროზის, მასტოდინიის, ოსტეომალაციის, მენორაგიისას, აგრეთვე, მეტაბოლიზმის სხვადასხვა დარღვევებისას ხანდაზმულობის ჩათვლით.

წინააღმდეგ ჩვენება:

არ გააჩნია.

გვერდითი ეფექტი:

ნერწყვის გამოყოფის მომატებისას პრეპარატის გამოყენება უნდა შეწყდეს.

სხვა პრეპარატებთან ურთიერთქმედება:

აღსანიშნავ თავისებურებათა გარეშე.

დოზირება და გამოყენების წესი:

მწვავე შემთხვევაში - ყოველდღიურად, სხვა შემთხვევაში - 1 ამპულა კვირაში 1-3ჯერ კანქვეშ, კუნთში, კანში, აუცილებლობისას

- ვენაში.

დამატებითი რეკომენდაცია:

პრეპარატი ეფექტურად გამოიყენება გერიატრიაში.

პრეპარატში ორგანოთა ექსტრაქტების, ჰომეოპათიური სუბსტანციების, კატალიზატორების და მიკროელემენტების (მაგნიუმი) შეხამება მიმართულია დარღვეული ჰორმონალური ფუნქციების და ქალის სასქესო ორგანოთა ფუნქციების აღსადგენად, საშვილოსნოს და საკვერცხეების მიდამოში ანთებითი პროცესების, აგრეთვე, მენსტრუალური მოშლილობების და თეთრად შლის თავიდან ასაცილებლად. ამ დროს შეიძლება მონაცვლეობით Metro-Adnex-Injeel-ის დანიშვნა, ხოლო ალოპათიური თერაპიის შედეგად გამოწვეული რეტოქსიკაციული დაზიანებებისას: Coenzyme compositum, Ubichinon compositum. მანამდე დათრგუნული ანთებითი კერების გასააქტივებლად ინიშნება Traumeel S. გაურკვეველი ცხელებით მიმდინარე დაავადებებისას - Echinacea compositum SN , აგრეთვე პერორალურად - Trumeel S, Gynaecoheel, Hormeel S.

ფრიგიდულობისას და ფსიქიკური აშლილობისას ამ პრეპარატთან ერთად ნაჩვენებია Cerebrum compositum NM (მონაცვლეობით), ხოლო დერმატული გამოვლენებისას - Cutis compositum. კლიმაქტერიულ პერიოდში პერორალურად ინიშნება Klimakt-Heel.

PLACENTA COMPOSITUM
პლაცენტა კომპოზიტუმი

გამოშვების ფორმა და შეფუთვა:

საინექციო ხსნარი: 2,2 მლ ამპულაში. 5, 10, 50 ან 100 ამპულა შეფუთვაში. ***რეგისტრაციის ნომერი R-0004191.***

შემადგენლობა:

2,2 მლ-იანი 1 ამპულა შეიცავს: Placenta suis D6, Embryo suis D8, Vena suis D8, Arteria suis D10, Funiculus umbilicalis suis D10, Hypophysis suis D10, Secale cornutum D4, Acidum sarcolacticum D4, Tabacum D10, Strophanthus D6, Aesculus D4, Melilotus officinalis D6, Cuprum sulfuricum D6, Natriumpyruvat D8, Baryum carbinicum D13, Plumbum jodatum D18, Vipera berus D10, Solanum nigrum D6 - შესაბამისად 22 მკლ. ასევე საინექციო წყალი, ნატრიუმქლორიდი.

ჩვენება:

პერიფერიული სისხლის მიმოქცევის სტიმულირება არტერი-

ოსკლეროზის, თამბაქოს წევის და შაქრიანი დიაბეტის შედეგად გამოწვეული ქვედა კიდურების განგრენის, განგრენოზული წყლულების, ელეფანტიაზის, ნაწოლების, დისმენორეის, ვეგეტატიური დისტონიის, ენდარტერიიტის, ენდომეტრიტის, ენცეფალიტის და ინსულტის შემდგომი ნარჩენი მოვლენების, შიგნითა ყურის დაავადების შედეგად გამოწვეული სიყრუისას.

წინააღმდეგ ჩვენება:

ფარისებრი ჯირკვლის დაავადებებისას არ მიიღება წინასწარი გამოკვლევის გარეშე.

გვერდითი ეფექტი:

არ გააჩნია.

სხვა პრეპარატებთან ურთიერთქმედება:

აღსანიშნავ თავისებურებათა გარეშე.

დოზირება და გამოყენების წესი:

მწვავე შემთხვევისას ყოველდღე, ჩვეულებრივ 1-3-ჯერ კვირაში ერთი ამპულა კანქვეშ, კუნთში, კანში და აუცილებლობისას ვენაში.

დამატებითი რეკომენდაცია:

Placenta compositum ინიშნება აგრეთვე, ნივთიერებათა ცვლის გასააქტიურებლად კვანძოვანი ერითემის, ემბოლიის, ქრონიკულად ცივი კიდურების დროს. როგორც დამატებითი საშუალება - ნეეროზების, შაკიკის, ნევრალგიების, მასტოდინიის, კუნთოვანი რევმატიზმის და კუშინგის სინდრომისას.

სხვადასხვა ორგანოებისგან მიღებული გამონაწელილის და ბიოლოგიური საშუალებების შეთავსება თავის ტვინის და გულის სისხლის მიმოქცევაზე მასტიმულირებელ ზემოქმედებას ახდენს.

Placenta compositum და Aesculus compositum-ით ჩატარებული თერაპია ნაჩვენებია არა მარტო პერიფერიული სისხლის მიმოქცევის მოშლისას, არამედ არტერიოსკლეროზის, შაკიკების, მასტოდინიის, კანის დაავადებების გამოვლინებისას, რადგან შემადგენელი პრეპარატების ასეთი შეთანხმებისას შემაერთებელი ქსოვილიდან გამოყოფა დეპონირებული ჰომოტოქსინები. ორგანოების ტოქსიკური დაზიანებისას დამატებით ინიშნება Hepar compositum (ღვიძლი), Cor compositum (გული), Solidago compositum S (თირკმელები), Discus compositum (ხერხემალი), Traumeel S, Coenzym compositum, Ubichinon compositum (ფერმენტული სისტემის სტიმულირება).

PSORINOHEEL® N
ფსორინოჰელ ნ

გამოშვების ფორმა და შეფუთვა:

წვეთები: საწვეთურიან ფლაკონში 30 მლ და 100 მლ. ***რეგისტრაციის ნომერი R-0004248.***

საინექციო ხსნარი: 1,1 მლ ამპულაში. 5, 10, 50 ან 100 ამპულა შეფუთვაში. ***რეგისტრაციის ნომერი R-0004190.***

შემადგენლობა:

წვეთები: 100 გ (105 მლ) შეიცავს: Psorinum D10, Medorrinum D12, Sulfur D6, Thuja D6, Bufo D10, Natrium chloratum D12, Vaccinium D8 - შესაბამისად 10 გ; Kaliumtetrajodobismutat (III) D5, Oleander D4, Cicuta virosa D5, Bacillicum D12 - შესაბამისად 5 გ; Ethanol 34 vol%.

საინექციო ხსნარი: 1,1 მლ-იანი 1 ამპულა შეიცავს: Psorinum D10, Medorrinum D12, Sulfur D6, Thuja D6, Bufo D10, Natrium chloratum D12, Vaccinium D8 - შესაბამისად 1.1 მკლ; Oleander D4, Cicuta virosa D5, Bacillicum D12, Kaliumtetrajodobismutat (III) D5 - შესაბამისად 0.55 მკლ; ასევე საინექციო წყალი, ნატრიუმქლორიდი.

ჩვენება:

კანის და ლორწოვანი გარსის ქრონიკული დაავადებები (პიგმენტური ლაქა, კელოიდი, ნეიროდერმიტი, ეგზემა, დერმატოზი, ერითემა, მეჭეჭი და სხვა). ღვიძლის ფუნქციის დარღვევა.

წინააღმდეგ ჩვენება:

არ გააჩნია.

გვერდითი ეფექტი:

არ გააჩნია.

სხვა პრეპარატებთან ურთიერთქმედება:

აღსანიშნავ თავისებურებათა გარეშე.

დოზირება და გამოყენების წესი:

წვეთები: ჩვეულებრივ - 10 წვეთი 3-ჯერ დღეში.

საინექციო ხსნარი: 1 ამპულა 1-3-ჯერ კვირაში კუნთში, კანქვეშ, კანში ან ვენაში.

დამატებითი რეკომენდაცია:

Psorinoheel N წარმოადგენს კომპლექსურ კონსტიტუციურ ნოზოდურ პრეპარატს, რომელიც ნაჩვენებია ნებისმიერი უჯრედული

დაავადებებისას, სიმსივნეებისას, მწვავე და ქრონიკული რეაქტიული ფაზებისას (მაგ., ქრონიკული ცხელებისას, რომელსაც თან ერთვის უსიამოვნო სუნიანი ოფლის გამოყოფა, პირის სიმშრალე, სისუსტე), ან ქრონიკული ფისტულებისას და კანის დაავადებებისას.

მოცემული პრეპარატი ინიშნება თანდაყოლილი პიგმენტური ხალების (Galium-Heel-თან ერთად), კელოიდური ნაწიბურების, ჰემანგიომების, კანზე ბუშტუკოვანი გამონაყარის (Galium-Heel და Traumeel S-თან ერთად), ქერცლიანი სირსველის, ფერიმჭამელების, Plica polonica-ს, პიტირიაზის, კონტაგიოზური იმპეტიგოს (Traumeel S-თან ერთად) დროს.

მოცემული პრეპარატი რეკომენდებულია დაინიშნოს კანის ნებისმიერი დაავადების მკურნალობის დასაწყისში, დამატებით - Galium-Heel (სკლეროდერმია, დეგენერაციის ფაზა).

მოცემული პრეპარატი გამოიყენება, საბაზისო კონსტიტუციური თერაპიისთვის იმპრეგნაციის, დეგენერაციის და დედიფერენციაციის ფაზების სხვა დაავადებებისას.

უჯრედული ფაზების ყველა ქრონიკული დაავადებისას რეკომენდებულია დაინიშნოს Psorinoheel N, Lymphomyosot, Galium-Heel.

წვივის წყლულებისას Psorinoheel N დამხმარე თერაპიის სახით ინიშნება, თუ წინამორბედ მკურნალობას არ ჰქონდა სასურველი ეფექტი.

პრეპარატისთვის შემდგომი ჩვენებაა ღვიძლის დაავადებები, რომელიც გამოწვეულია ინტოქსიკაციის შედეგად.

Psorinoheel N საბაზისო პრეპარატია შაქრის, გლაუკომის, ქრონიკული პოლიართრიტის, ნეფროზისას. მდორედ მიმდინარე ყველა ქრონიკული პროცესებისას მიზანშეწონილია Psorinoheel N დაინიშნოს Lymphomyosot და Galium-Heel-თან ერთად.

RENEEL® N
რენელ ნ

გამოშვების ფორმა და შეფუთვა:

ტაბლეტები: 50 ან 250 ტაბლეტი შეფუთვაში. ***რეგისტრაციის ნომერი R-0004226.***

შემადგენლობა:

1 ტაბლეტი შეიცავს: Berberis D2 - 15 მგ; Acidum nitricum D4, Cantharis D5 - შესაბამისად 30 მგ, Causticum Hahnemanni D4 - 60 მგ; Plumbum aceticum D6 - 30 მგ; Alumina D12 - 75 მგ. Sabal serrulatum D2 - 30 მგ; ასევე Lactose-Monohydrat

და Magnesiumstearat.

ჩვენება:

საშარდე გზების ანთებითი დაავადებები, კენჭის წარმოქმნით ან მის გარეშე.

წინააღმდეგ ჩვენება:

არ გააჩნია.

გვერდითი ეფექტი:

არ გააჩნია.

სხვა პრეპარატებთან ურთიერთქმედება:

აღსანიშნავ თავისებურებათა გარეშე.

დოზირება და გამოყენების წესი:

ჩვეულებრივ - 1 ტაბლეტი 3-ჯერ დღეში ენის ქვეშ დადებით, მწვავე შემთხვევებში - თითო ტაბლეტი ყოველ 15 წუთში ერთხელ, არა უმეტეს 2 საათისა.

დამატებითი რეკომენდაცია:

Reneel ნაჩვენებია როგორც დამხმარე საშუალება პროსტატის ადენომისას Sabal-Homaccord, Berberis-Homaccord-თან ერთად; ჰიდრონეფროზისას Traumeel S-თან ერთად; თირკმლის ჭვალისას Berberis-Homaccord, Spascupreel-თან ერთად; დილაობით წელის ტკივილებისას, განსაკუთრებით, თირკმლის მიდამოში; შარდის შეუკავებლობისას.

SABAL-HOMACCORD®

საბალ-ჰომაკორდი

გამოშვების ფორმა და შეფუთვა:

წვეთები: საწვეთურიან ფლაკონში 30 მლ ან 100 მლ. ***რეგისტრაციის ნომერი R-0004247.***

საინექციო ხსნარი: 1,1 მლ ამპულაში. 5, 10, 50 ან 100 ამპულა შეფუთვაში. ***რეგისტრაციის ნომერი R-0004193.***

შემადგენლობა:

წვეთები: 100 გ (105 მლ) შეიცავს: Sabal serrulatum Ø 0,9 გ, Sabal serrulatum D10 0,3 გ. Sabal serrulatum D30 0,9 გ, Hepar sulfuris D10 0,7 გ, Hepar sulfuris D15 0,7 გ, Hepar sulfuris D30 0,7 გ, Hepar sulfuris D200 0,7 გ. Ethanol 43 vol%.

საინექციო ხსნარი: 1,1 მლ-იანი 1 ამპულა შეიცავს: Sabal serrulatum D2, Sabal serrulatum D10, Sabal serrulatum D30 - შესაბამისად 3.3 მკლ; Hepar sulfuris D12, Hepar sulfuris D15,

Hepar sulfuris D30, Hepar sulfuris D200 - შესაბამისად 7,7 მლ; ასევე საინექციო წყალი, ნატრიუმქლორიდი.

ჩვენება:

პროსტატის ადენომის პირველი სტადია (გასინჯვისას წინამღებარე ჯირკვალი გადიდებულია), ცისტალგია.

წინააღმდეგ ჩვენება:

არ გააჩნია.

გვერდითი ეფექტი:

არ გააჩნია.

სხვა პრეპარატებთან ურთიერთმოქმედება:

აღსანიშნავ თავისებურებათა გარეშე.

დოზირება და გამოყენების წესი:

წვეთები: ჩვეულებრივ - 10 წვეთი 3-ჯერ დღეში; მწვავე მდგომარეობისას - იწყებენ 10-10 წვეთით ყოველ 15 წუთში, არაუმეტეს 2 საათისა. შარდის გამოყოფის დარღვევისას - 15 წუთში ერთხელ 10 წვეთი, 1-2 საათის განმავლობაში შემდეგ პრეპარატებთან ერთად - Reneel (შარდსასქესო ორგანოების დაავადებები), Spascupreel (სპაზმები, სტრანგურია), Berberis-Homaccord (თირკმელ-კენჭოვანი დაავადება), Traumeel S (შარდსასქესო ორგანოების ინფექციები), Solidago compositum S.

საინექციო ხსნარი: მწვავე მდგომარეობისას ყოველდღე, ჩვეულებრივ 1-3-ჯერ კვირაში ერთი ამპულა კანქვეშ, კუნთში, ვენაში, კანში.

დამატებითი რეკომენდაცია:

Sabal-Homaccord ინიშნება პროსტატიტის, შარდსასქესო გზების გაღიზიანების და ანთებებისას; ასევე, როგორც დამხმარე თერაპია, თირკმლის კენჭოვანი დაავადების, ჰიდრონეფროზის და პიელოცისტიტისას.

SOLIDAGO COMPOSITUM® SN
სოლიდაგო კომპოზიტუმ სნ

გამოშვების ფორმა და შეფუთვა:

საინექციო ხსნარი: 2,2 მლ ამპულაში. 5, 10, 50 ან 100 ამპულა შეფუთვაში. ***რეგისტრაციის ნომერი R-0004215.***

შემადგენლობა:

2,2 მლ-იანი 1 ამპულა შეიცავს: Solidago D3, Berberis D4, Vesica urinaria suis D8, Pyelon suis D10, Ureter suis

D10, Urethra suis D10, Terebinthina D6, Hydrargyrum bichloratum D8, Acidum arsenicosum D28, Cuprum sulfuricum D6, Bucco D8, Hepar sulfuris D10, Capsicum D6, Orthosiphon stamineus D6, Equisetum hiemale D4, Pareira brava D6, Cantharis D6, Apisinum D8, Baptisia D4, Natrium pyruvat D10, Sarsaparilla D6, Colibacillinum D13, Coxcackie-Virus A9 D8, Argentum nitricum D6 - შესაბამისად 22 მკლ. ასევე საინექციო წყალი, ნატრიუმქლორიდი.

ჩვენება:

იმუნური მექანიზმის გააქტივება თირკმლის მწვავე და ქრონიკული დაავადებებისას, როგორიცაა ცისტიტი, ცისტოპიელიტი, თირკმელ-კენჭოვანი დაავადება, ჰიდრონეფროზი, ღამის ენურეზი, შარდის შეუკავებლობა, პროსტატის ადენომის პირველი სტადია, შარდსადინარის შევიწროვება, ნეფროზები, ნეფროსკლეროზი, ჰიპერტონია, მწვავე გლომერულონეფრიტი, თირკმლის გამომყოფი ფუნქციის სტიმულირება, ჰიპერჰიდროზი, ფეხის ტერფის ოფლიანობა, ეგზემები.

წინააღმდეგ ჩვენება:

არ გააჩნია.

გვერდითი ეფექტები:

მოჭარბებული ნერწყვდენისას პრეპარატის მიღება უნდა შეწყდეს.

სხვა პრეპარატებთან ურთიერთქმედება:

აღსანიშნავ თავისებურებათა გარეშე.

დოზირება და გამოყენების წესი:

მწვავე მდგომარეობისას - ყოველდღე Traumeel S და Echinacea compositum S-თან ერთად; ჩვეულებრივ - 1 ამპულა 1-3-ჯერ კვირაში კანქვეშ, კუნთში, ვენაში, კანში.

დამატებითი რეკომენდაცია:

პრეპარატში შემავალი ჰომეოპათიური კომპონენტების თვისებებიდან გამომდინარე Solidago compositum S ინიშნება ასევე, თირკმლის ექსკრეტორული ფუნქციის გასააქტივებლად გაძლიერებული ოფლდენისას, ემფიზემის, ეკლამფსიისას; როგორც დამხმარე თერაპია, ღვიძლის დაავადებების დროს.

Solidago compositum S-თან ერთად დამატებით რეკომენდებულია დაინიშნოს Berberis-Homaccord, Coensyme compositum, Ubichinon compositum (ფერმენტული სისტემის გასააქტივებლად), Hepar compositum, Traumeel S, Engystol N (მონაცვლეობით).

SPASCUPREEL ®

სპასკუპრელი

ტაბლეტები, საინექციო ხსნარი

SPASCUPREEL ® S

სპასკუპრელ ს

სანთლები

გამოშვების ფორმა და შეფუთვა:

ტაბლეტები: 50 ან 250 ტაბლეტი შეფუთვაში. ***რეგისტრაციის ნომერი R-0004203.***

საინექციო ხსნარი: 1,1 მლ ამპულაში. 5, 10, 50 ან 100 ამპულა შეფუთვაში. ***რეგისტრაციის ნომერი R-0004200.***

სანთლები: 2,0 გ შეფუთვაში 12, 60 ან 120 სანთელი. ***რეგისტრაციის ნომერი R-0004202.***

შემადგენლობა:

ტაბლეტები: 1ტაბლეტი შეცავს: Colocynthis D4, Ammonium bromatum D4, Atropinum sulfuricum D6, Veratrum D6, Magnesium phosphoricum D6, Gelsemium D6 -შესაბამისად 30 მგ; Passiflora incarnata D2, Agaricus D4, Chamomilla D3, Cuprum sulfuricum D6 - შესაბამისად 15 მგ; Aconitum D6 60 მგ. ასევე Magnesiumstearat.

საინექციო ხსნარი: 1,1 მლ-იანი 1 ამპულა შეიცავს: Colocynthis D4, Ammonium bromatum D4, Atropinum sulfuricum D6, Veratrum D6, Gelsemium D6, Magnesium phosphoricum D6 - შესაბამისად 1.1 მკლ; Agaricus D4, Chamomilla D3, Cuprum sulfuricum D6, Passiflora incarnata D2 - შესაბამისად 0.55 მკლ; Aconitum D6 2,2 მკლ; ასევე საინექციო წყალი, ნატრიუმქლორიდი.

სანთლები: 1 სანთელი (=2.0 გ) შეიცავს: Colocynthis D3, Ammonium bromatum D3, Atropinum sulfuricum D5, Veratrum D5, Magnesium phosphoricum D6, Gelsemium D5 - შესაბამისად 1,1 მგ; Passiflora incarnata D1, Agaricus D3, Chamomilla D2, Cuprum sulfuricum D5 - შესაბამისად 0,55 მგ; Aconitum D5 2,2 მგ. ასევე შემადგენელი კომპონენტია: მყარი ცხიმი.

ჩვენება:

ღრუ ორგანოების გლუვზოლიანი კუნთების სპაზმი (კუჭი,

ნაწლავები, ნაღვლის ბუშტი, საშვილოსნო, შარდსადინარი), განიზოლიანი კუნთების სპაზმი (მიოგელოზები, კუნთების გადაღლა).

წინააღმდეგ ჩვენება:

არ გააჩნია.

გვერდითი ეფექტი:

არ გააჩნია.

სხვა პრეპარატებთან ურთიერთმოქმედება:

აღსანიშნავ თავისებურებათა გარეშე.

დოზირება და გამოყენების წესი:

ტაბლეტები: ჩვეულებრივ - 1 ტაბლეტი 3-ჯერ დღეში ენის ქვეშ დადებით; მწვავე მდგომარეობისას - თითო ტაბლეტი 15 წუთში ერთხელ, არა უმეტეს 2 საათისა.

საინექციო ხსნარი: მწვავე მდგომარეობისას - გარკვეული ხნის განმავლობაში ყოველდღე, ჩვეულებრივ - 1-3-ჯერ კვირაში ერთი ამპულა კანქვეშ, კუნთში, ვენაში, კანში.

სანთლები: თუ სხვა დანიშნულება არ არის - ერთი სანთელი 2-3-ჯერ დღეში, მწვავე ტკივილებისას - ერთი სანთელი საათში ერთხელ რექტალურად. 6 თვემდე ჩვილებისთვის 1/2 სანთელი ერთჯერადად.

დამატებითი რეკომენდაცია:

Spascupreel ინიშნება ღრუ ორგანოების მეტ-ნაკლებად გამოხატული ტკივილების დროს, მაგ., ნაღვლის ბუშტის ჭვალი, ქოლეცისტიტი, სპაზმი კუჭისა და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულოვანი დაავადებებისას; სპასტიური კოლიტი, თირკმლის ჭვალი, დისმენორეა, შარდის ბუშტის ტენეზმები, ბრონქიალური ასთმის სხვადასხვა ფორმა და სპასტიური ბრონქიტი, ხორხის სპაზმი, მაგ., ცრუ კრუპის და ყივანახველის დროს; ბავშვებში კბილების ამოჭრისას, მუცლის ჭვალი, შაკიკი, კუნთების გადაძაბვა (მიალგიები, მიოგელოზები), მაგ., ოსტეოქონდროზისას დროს კუნთების რეფლექტორული შეკუმშვა.

ერთდროულად რეკომენდებულია შემდეგი პრეპარატები: Chelidonium-Homaccord, Hepeel (ნაღვლის ბუშტის ჭვალისას), Reneel, Berberis-Homaccord (თირკმლის ჭვალისას), Engystol N, Galium-Heel (ბრონქული ასთმისას).

SPIGELON®
სპიგელონი

გამოშვების ფორმა და შეფუთვა:

ტაბლეტები: 50 ან 250 ტაბლეტი შეფუთვაში. *რეგისტრაციის ნომერი R-0002913.*

შემადგენლობა:

1 ტაბლეტი შეიცავს: Belladona D3, Brionia D3, Gelsemium D3, Melilotus officinalis D3, Natrium carbonicum D3, Spigelia D3 - შესაბამისად 30 მგ; Thuja D12, Acidum silicicum D12 - შესაბამისად 60 მგ. ასევე Magnesiumstearat.

ჩვენება:

თავის ტკივილი.

წინააღმდეგ ჩვენება:

არ გააჩნია.

გვერდითი ეფექტი:

არ გააჩნია.

სხვა პრეპარატებთან ურთიერქმედება:

აღსანიშნავ თავისებურებათა გარეშე.

დოზირება და გამოყენების წესი:

ტაბლეტები: ჩვეულებრივ - 1 ტაბლეტი 3-ჯერ დღეში, ენის ქვეშ დადებით. მწვავე შემთხვევებში - 1 ტაბლეტი ყოველ 15 წუთში, არა უმეტეს 2 საათისა.

დამატებითი რეკომენდაცია:

Spigelon ინიშნება სხვადასხვა წარმოშობის თავის ტკივილებისას, განსაკუთრებით, ნერვულ ნიადაგზე, კისრისმიერი შაკიკების, კეფისა და სამწვერა ნერვის ნეურალგიების, კონსტიტუციური თავის ტკივილებისას. აგრეთვე, ციებ-ცხელების შედეგად გამოწვეული თავის ტკივილების, გრიპის, ანგინის, ალკოჰოლის გამოყენების შემდგომ და მენსტრუაციის წინა პერიოდში - როგორც დამხმარე თერაპია სხვა ბიოილოგიური პრეპარატებით მკურნალობისას.

ეს პრეპარატი შეიძლება დაენიშნოს ნებისმიერი ასაკის პაციენტებს, ის არ აქვეითებს მძღოლების რეაქციას. უმრავლეს შემთხვევაში რეკომენდებულია სხვადასხვა ბიოლოგიურ პრეპარატებთან კომბინირება.

STRUMEEL® T
სტრუმელ ტ

ტაბლეტები

გამოშვების ფორმა და შეფუთვა:

ტაბლეტები: 50 ან 250 ტაბლეტი შეფუთვაში. *რეგისტრაციის*

ნომერი R-0004204.

შემადგენლობა:

1 ტაბლეტი შეიცავს: Euspongia officinalis D3 - 150 მგ; Calcium jodatum D4 90 მგ; Fucus vesiculosus D4 - 30 მგ. ასევე Lactose-Monohydrat და Magnesiumstearat.

ჩვენება:

პარენქიმატოზული ჩიყვი (დიფუზური, იუვენილურ-მოზარდული), ჩიყვის პროფილაქტიკა, ათეროსკლეროზი და სხვა მდგომარეობები, რის დროსაც იოდის მიღებაა ნაჩვენები.

წინააღმდეგ ჩვენება:

იოდის მიმართ მომატებული მგრძნობელობა; ფარისებრი ჯირკვლის დაავადებისას არ მიიღება ექიმის დანიშნულების გარეშე.

გვერდითი ეფექტები:

მოსალოდნელია ფარისებრი ჯირკვლის ჰიპერფუნქცია.

სხვა პრეპარატებთან ურთიერთმოქმედება:

აღსანიშნავ თავისებურებათა გარეშე.

დოზირება და გამოყენების წესი:

დოზირება ინიშნება მკაცრად ინდივიდუალურად.

სტრუმელ T - ტაბლეტები: ჩვეულებრივ - 1 ტაბლეტი1-3-ჯერ დღეში ენის ქვეშ დადებით ან 2 ტაბლეტი 3-ჯერ დღეში. ბავშვებისთვის პროფილაქტიკა 1 ტაბლეტი1-2-ჯერ დღეში.

დამატებითი რეკომენდაცია:

Strumeel T (ტაბლეტები) გამოიყენება როგორც დამხმარე საშუალება - აორტის ანევრიზმის (Barijodeel-თან ერთად), ჰიპერტონიის, გაცხიმოვნების, ჯირკვლების სკროფულოზური შეშუპების; რეტიკულოზის (Galium-Heel, Lymphomyosot, Psorinoheel N, Traumeel S-თან ერთად), ხველების დროს და კრუპისას (Husteel-თან ერთად).

SYZYGIUM COMPOSITUM
სიზიგიუმ კომპოზიტუმი

გამოშვების ფორმა და შეფუთვა:

წვეთები: საწვეთურიან ფლაკონში 30 მლ ან 100 მლ. *რეგისტრაციის ნომერი R-0004227.*

შემადგენლობა:

100 გ ხსნარი შეიცავს: Syzygium jambolanum D8, Secale cornutum D6, Lycopodium D4, Natrium sulfuricum D10, 2-Oxoglutarsaure D8, Natrium choleinicum D6, Phlorizin D10, Plumbum metallicum D18, Acidum arsenicosum D8, Ignatia D4, Acidum phosphoricum D4, Acidum sulfuricum D8, Acidum sarcolacticum D4, Kreosotum D6, Kalium picrinicum D4, Curare D8, Hepar suis D10, Pankreas suis D10 - შესაბამისად 1 გ. Ethanol 35 vol%.

ჩვენება:

დამცავი სისტემების და ჯირკვლების ფუნქციების გააქტივება მოხუცებულობითი დიაბეტის და მასთან დაკავშირებული ჯანმრთელობის შერყევისას.

წინააღმდეგ ჩვენება:

არ გააჩნია.

გვერდითი ეფექტები:

არ გააჩნია.

სხვა პრეპარატებთან ურთიერთმოქმედება:

აღსანიშნავ თავისებურებათა გარეშე.

დოზირება:

10 წვეთი 3-ჯერ დღეში ენაზე დაწვეთებით.

დამატებითი რეკომენდაცია;

Syzygium compositum ინიშნება როგორც დამხმარე საშუალება დიაბეტისა და მასთან დაკავშირებული ჯანმრთლობის დარღვევებისას. მაგრამ აუცილებელია აღინიშნოს სერიოზული განსხვავება სენილურ დიაბეტსა (საკმაოდ უვნებელი, რომელიც შეიძლება განიკურნოს) და იუვენილურ დიაბეტს შორის, რომელიც ჩვეულებრივ ფერმენტული სისტემების (ჰიპოფიზის სისტემა, ადრენალინი, ღვიძლისა და კუჭქვეშა ჯირკვლის ფერმენტები, შესაძლებელია ფარისებრი ჯირკვალისაც) რეტროქსიკური მძიმე დაზიანების შედეგად წარმოიშვება.

დიაბეტის პირველი ფორმისას ეფექტურად გამოიყენება:

1) დიეტის საშუალებით რეგულირება, ღორის ხორცის და მისგან დამზადებული ძეხვეული და შებოლილი პროდუქტების აკრძალვა; დილით - ქერის ფაფა; ხორცეულიდან დაშვებულია საქონლის, ფრინველის ხორცი და თევზეული. ასევე დასაშვებია კვერცხი, მაგრამ კვების საფუძველს უნდა წარმოადგენდეს ძირითადად

ბოსტნეული. აუცილებელია კალორიების დღიური რაციონის დაცვა.

არ მიიღოთ დიდი რაოდენობით საკვები, დანაყრებისას შეწყვიტეთ ჭამა!

2) ორგანოთა ფუნქციის სტიმულირება ფერმენტებით, ბიოლოგიური პრეპარატებით, კატალიზატორებით, სუის-ორგანული პრაპარატებით (ორგანიზმზე ღრმა კონსტიტუციური ზემოქმედებისთვის - მაღალი და საშუალო პოტენციების მცირე დოზებით).

მელიკამენტური თერაპიისას შენაცვლებით ინიშნება Hepar compositum, Coenzyme compositum, Ubichinon compositum, (ფერმენტული სისტემის სტიმულაციისათვის), Hepeel, Chelidonium-Homaccord. როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, იუვენილურ დიაბეტს საფუძვლად ტოქსიკური და რეტოქსიკური დაზიანება უდევს (ალოპათიური პრეპარატებით – უპირატესად სულფანილამიდებით გამოწვეული, რომლებსაც ანგინისა და სხვა ანთების ფაზის დაავადებისას იყენებენ).

მსგავს შემთხვევებში რეგულირებადი სისტემების ფუნქციის სერიოზული დარღვევები შეინიშნება; ესაა, არა მარტო კუჭქვეშა ჯირკვლის და ადრენალური სისტემის, არამედ ცენტრალური ჰორმონალური (ნეიროჰორმონალური) სისტემისაც (კლოდ ბერნარის აზრით დიაბეტი შეიძლება წარმოიქმნას მხოლოდ იმ შემთხვევებში, როდესაც ვეგეტატიური სისტემაა დაზიანებული). ასეთ შემთხვევებში აუცილებელია ინსულინის რეგულარული ინექციები. მაგრამ იუვენილური დიაბეტის დროსაც დილით ქერის ფაფის ჭამაა აუცილებელი, რამდენადაც იგი დიაბეტის განვითარებას უშლის ხელს.

Syzygium compositum, Galium-Heel, Psorinoheel N, Ubichinon comositum, Coenzyme compozytum, Traumeel S, Engystol N, Hepeel, Lymphomyosot და სუის-ორგანული პრეპარატების დახმარებით უნდა შევეცადოთ გამოვიწვიოთ რეგრესული ვიკარიაცია: ინფექციური დაავადებები, ტონზილარული ანგინა, გრიპი და ა.შ. რათა განვკურნოთ დეგენერაციის ფაზა.

დიაბეტით დაავადებულებში რეაქტიული ფაზის პრაქტიკულად ნებისმიერი მწვავე და ქრონიკული დაავადება (მაგ., ჩირქოვანი ფისტულები, კანის დაავადებები, გრიპი, ანგინა) წარმოადგენს ორგანიზმის მცდელობას გამოდევნოს ჰომოტოქსინები. მსგავსი რეაქტიული ფაზები არავითარ შემთხვევაში არ უნდა დაიხშოს, რადგანაც ამან შეიძლება გამოიწვიოს დეგენარაციული ფაზის მკვეთრი გადასვლა დიაბეტურ კომაში.

როგორც პრაქტიკა და ექსპერიმენტი გვიჩვენებს, სენილური დიაბეტი, რომელიც ხშირად გეხვდება და შთამომავლობითაა განპირობებული, წარმოადგენს დიდი რაოდენობის საკვები პროდუქტებისაგან (განსაკუთრებით, ღორის ხორცი) ჰომოტოქსინებით გამოწვეულ ორგანიზმის მიზანდასახულ დამცველობით პროცესს, რომლის დროსაც ეს საკვები ორგანიზმიდან შუალედური ნივთიერების - გლუკოზის მეშვეობით გამოიყოფა, რომელიც ადვილად ტრანსპორტირდება ორგანიზმში. აქედან გამომდინარე, ნათელი ხდება, თუ რატომ აქვს დიეტას ასეთი მნიშვნელობა; ამ დროს აუცილებელია დიდი რაოდენობის ნახშირწყლების მიღება (პირველ რიგში ბოსტნეული) და რაციონიდან ტოქსინების და კალორიების შემცველი იმ პროდუქტების და ნივთიერებების (განსაკუთრებით, ღორის ხორცი) გამორიცხვა, რომლებიც იწვევს დიაბეტს. დიაბეტის კეთილთვისებიან ფორმებში ხშირად გეხვდება არტერიოსკლეროზისკენ მიდრეკილება; ამ შემთხვევაში თერაპიისთვის ინიშნება Syzygium compositum და Cralonin.

დიაბეტით დაავადებულებში პერიფერიული სისხლის მიმოქცევის დარღვევების და განგრენის წარმოშობისას Placenta compositum ინიშნება.

ჰომოტოქსიკოლოგიის თეორიიდან გამომდინარე, დიაბეტი წარმოადგენს არა კუჭქვეშა ჯირკვლის ფუნქციის ლოკალურ დარღვევას, არამედ კომპლექსურ დაავადებას - დამცველობით პროცესს ტოქსინების წინააღმდეგ. აქედან გამომდინარეობს სწორი თერაპიის აუცილებლობა, პირველ რიგში სწორი კვება (ღორის ხორცზე უარის თქმა), ღვიძლის ფუნქციის და შემაერთებელი ქსოვილის გააქტიურება. სწორედ ამ მიზანს ემსახურება Syzygium compositum, რომელიც დიაბეტის ხანგრძლივი მკურნალობისთვისაა ნაჩვენები. შაქრიანი დიაბეტისას დამატებით ინიშნება Coenzyme compositum (დიაბეტური განგრენა).

TARTEPHEDREEL® N
ტარტეფედრელ ნ

გამოშვების ფორმა და შეფუთვა:

წვეთები: საწვეთურიან ფლაკონში 30 მლ ან 100 მლ. *რეგისტრაციის ნომერი R-0004246.*

შემადგენლობა:

10 გ (10.5 მლ) შეიცავს: Kalium stibyltartaricum D4, Atropa Belladonna D4, Natrium sulfuricum D4, Arsenicum jodatum D6 - შესაბამისად 1 გ. Blatta orientalis D6, Lobelia inflata D4, Cephaelis Ipecacuanha D4, Naphatalinum D6, Anisum stellatum D3 - შესაბამისად 0.5 გ. Ethanol 43 vol%.

ჩვენება:

ბრონქიტი - განსაკუთრებით, ასთმური ხასიათის; ბრონქიალური ასთმა, გახანგრძლივებული ხველა; ხველა სკროფულოზურ ბავშვებში; ბრონქების და ხორხის კატარი, ყივანახველას სხვადასხვა ფორმები; პრეპარატი ნაჩვენებია სასუნთქი გზების კატარალური დაავადებებისას.

წინააღმდეგ ჩვენება:

ფარისებრი ჯირკვლის დაავადებისას არ მიიღება ექიმის დანიშნულების გარეშე.

გვერდითი ეფექტი:

არ გააჩნია.

სხვა პრეპარატებთან ურთიერთქმედება:

აღსანიშნავ თავისებურებათა გარეშე.

დოზირება და გამოყენების წესი:

ჩვეულებრივ - 10 წვეთი 3-ჯერ დღეში, მწვავე მდგომარეობისას - 10 წვეთი ყოველ 15 წუთში ერთხელ, არა უმეტეს 2 საათისა.

დამატებითი რეკომენდაცია:

Tartephedreel N ინიშნება სასუნთქი გზების ისეთი დაავადებებისას, როგორიცაა ლარინგიტი, ტრაქეიტი; მოცემული პრეპარატი გამოიყენება როგორც დამხმარე საშუალება პნევმონიის თერაპიისას, ტუბერკულოზური და პლევრიტული ხველისას, ასევე სხვადასხვა ლორწოვანი გარსის კატარებისას (კუჭის, ნაწლავების, შარდ-სასქესო ორგანოების);

ლორწოვანი გარსის კატარი ხელს უწყობს დეზინტოქსიკაციას; ის გამოყოფს გრიპის ვირუსს ანთების მეშვეობით. ამიტომ კატარი კი არ უნდა ჩაახშოთ, არამედ ხელი შევუწყოთ და დავაჩქაროთ, რათა აღმოვფხვრათ ინტოქსიკაცია, მაგ., - ბრონქიალური ასთმისას. მოცემული პრეპარატის კომპონენტები ახდენს ანთების საწინააღმდეგო ზემოქმედებას, იწვევს დეზინტოქსიკაციას და ჰომოტოქსინების გამოდევნას, რაც განსაზღვრავს ამ პრეპარატის ეფექტურობას.

ბრონქიალური ასთმისას რეკომენდებულია თერაპიის შემდეგი სქემა:

Husteel - 8 და 16 საათზე 5-8 წვეთი;

Tartephedreel N - 10 და 18 საათზე 5-8 წვეთი;
ანდა ორივე პრეპარატი ინიშნება ერთად 2-4-6-ჯერ დღეში.

TESTIS COMPOSITUM N
ტესტის კომპოზიტუმ ნ

გამოშვების ფორმა და შეფუთვა:

საინექციო ხსნარი: 2,2 მლ ამპულაში. 5, 10, 50, 100 ან 500 ამპულა შეფუთვაში. *რეგისტრაციის ნომერი R-0002939.*

შემადგენლობა:

2,2 მლ-იანი 1 ამპულა შეიცავს: Testis suis D4, Embryo suis D8, Glandula suprarenalis suis D13, Kalium pikrinicum D6, Ginseng D4, Damiana D8, Caladium seguinum D6, Cor suis D8, Cortisonacetat D13, Agnus castus D6, Selenium D10, Cantharis D8, Conium D28, Lycopodium D28, Phosphorus D8, Diencephalon suis D10, Magnesium phosphoricum D10, Ferum phosphoricum D10, Manganum phosphoricum D8, Zincum metallicum D10, Acidum ascorbicum D6 - შესაბამისად 22 მკლ; ასევე საინექციო წყალი, ნატრიუმქლორიდი.

ჩვენება:

ორგანოთა ფუნქციების სტიმულირება, მ.შ. რეპროდუქციული ასაკის იმპოტენცია, ეაკულაციის დაჩქარება, გამოფიტვა, ოსტეომალაცია, ღამის შარდის შეუკავებლობა, პროგრესირებადი კუნთოვანი დისტროფია, შაქრიანი დიაბეტი და ნივთიერებათა ცვლის სხვა დარღვევები; ღვიძლის დაზიანება. პრეპარატი ხელს უწყობს რეგრესულ ვიკარიაციას.

წინააღმდეგ ჩვენება:

ფარისებრი ჯირკვლის დაავადებისას არ მიიღება ექიმის დანიშნულების გარეშე.

გვერდითი ეფექტი:

არ გააჩნია

სხვა პრეპარატებთან ურთიერთქმედება:

აღსანიშნავ თავისებურებათა გარეშე.

დოზირება და გამოყენების წესი:

ჩვეულებრივ - ერთი ამპულა 1-3-ჯერ კვირაში კანქვეშ, კუნთში, კანში, საჭიროების შემთხვევაში ვენაში.

დამატებითი რეკომენდაცია:

Testis compositum ინიშნება მამაკაცებში დისტროფიის შემთხვევაში (Dystrophia adiposogenitalis) ორგანოთა ფუნქციების გასააქტიურებლად, ნივთიერებათა ცვლის სხვადასხვა დარღვევებისას, Induratio penis plastica, დაუძლურებისას, აგრეთვე, როგორც დამხმარე თერაპია, ღვიძლის სხვა დაავადებებისას. პრეპარატი ასევე გამოიყენება გერიატრიაში;

ეს პრეპარატი ძირითადად მამაკაცის სასქესო ჯირკვლებზე მოქმედებს; ბიოლოგიური კომპონენტების მასტიმულირებელი თვისებებიდან გამომდინარე, პრეპარატი აძლიერებს სქესობრივ ფუნქციებს სხვადასხვა ორგანოთა და ჯირკვლების ფუნქციებზე ზემოქმედებით, ააქტიურებს შემაერთებელ ქსოვილს (მაგ., კორტიზონის შექცევადი ეფექტი), ააქტიურებს ფიზიკურ და ფსიქიკურ ფუნქციებს, ხელს უწყობს გამოჯანმრთელებას (იმპოტენციის და სქესობრივი ფუნქციების დაქვეითების დროს). ვიტამინები და მიკროელემენტები ხელს უწყობს ამ პრეპარატის კომპლექსურ მოქმედებას სხვადასხვა ორგანული დაავადებების და ფუნქციური დარღვევების დროს. დამატებით ინიშნება Coenzyme compositum, Ubichinon compositum (ბლოკირებული ფერმენტული სისტემის გააქტივებისათვის), Hepar compositum (ღვიძლის დეზინტოქსიკაციური ფუნქციის სტიმულაციისათვის), Cor compositum (გულ-სისხლძარღვთა სტიმულაციისათვის), Placenta compositum, Solidago compositum S, Cerebrum compositum N (თავის ტვინისა და ნერვული სისტემის სტიმულაციისათვის),

Testis compositum ინიშნება არა მხოლოდ ისეთ დაავადებებზე, როგორიცაა პროსტატის ადენომა, ჰიპერტონია, პერიფერიული სისხლის მიმოქცევის დარღვევა, არამედ დეგენერაციის ფაზების დაავადებებისას (როგორც დამხმარე საშუალება), ასევე ახალწარმონაქმნებში. სასურველია თერაპია შეძლებისდაგვარად ადრე დაიწყოს.

მოცემული პრეპარატის მოქმედება შეიძლება გაძლიერდეს იმ სხვადასხვა პრეპარატების მონაცვლეობითი პერორალური თერაპიით, რომლებიც მიმართულია ცალკეულ ორგანოებზე და ჯირკვლებზე (Hepeel, Lympomyosot, Psorinoheel N, Vertigoheel და სხვა).

ოსტეოქონდროზისა და ნევრალგიების დროს დამატებით ინიშნება Discus compositum, Traumeel S, Zeel T.

TRAUMEEL® S
ტრაუმელ ს

გამოშვების ფორმა და შეფუთვა:

წვეთები: საწვეთურიან ფლაკონში 30 მლ ან 100 მლ. *რეგისტრაციის ნომერი R-0003022.*

ტაბლეტები: შეფუთვაში 50 ან 250 ტაბლეტი. *რეგისტრაციის ნომერი R-0003023.*

საინექციო ხსნარი: 2,2 მლ ამპულაში. 5, 10, 50 ან 100 ამპულა შეფუთვაში. *რეგისტრაციის ნომერი R-0003020.*

მალამო: 50 გ ან 100 გ ერთ ტუბში. *რეგისტრაციის ნომერი R-0003021.*

შემადგენლობა:

წვეთები: 100 გ (105 მლ) შეიცავს: Belladona D4 - 25 გ, Aconitum D3, Hepar sulfuris D8, Mercurius solubilis Hahnemanni D8 - შესაბამისად 10 გ, Symphytum D8, Chamomila D3 - შესაბამისად 8 გ, Calendula D2, Hamamelis D2, Millefolium D3, Arnica D2 - შესაბამისად 5 გ, Echinacea D2, Echnacea purpurea D2, Bellis perennis D2 - შესაბამისად 2 გ, Hypericum D2 1გ. Ethanol 30 vol%.

ტაბლეტები: 1 ტაბლეტი შეიცავს: Arnica D2, Calendula D2, Hamamelis D2, Millefolium D3 - შესაბამისად 15 მგ; Aconitum D3, Hepar sulfuris D8, Mercurius solubilis Hahnemanni D8 - შესაბამისად 30 მგ; Chamomila D3, Symphytum D8 - შესაბამისად 24 მგ, Bellis perennis D2, Echinacea D2, Echnacea purpurea D2 - შესაბამისად 6 მგ, Hypericum D2 - 3 მგ. Belladona D4 - 75 მგ, ასევე Lactose-Monohydrat და Magnesiumstearat.

საინექციო ხსნარი: 2,2 მლ-იანი 1 ამპულა შეიცავს: Calendula D2, Belladona D2 - შესაბამისად 2.2 მკლ, Aconitum D2 - 1.32 მკლ, Bellis perennis D2 - 1.1 მკლ, Hypericum D2 -0.66 მკლ, Echinacea D2, Echnacea purpurea D2 - შესაბამისად 0.55 მკლ, 0,25 მლ; Symphytum D6, Chamomila D3, Millefolium D3, Arnica D2, Hepar sulfuris D6 - შესაბამისად 2.2 მკლ, Mercurius solubilis Hahnemanni D6 -1.1 მკლ, Hamamelis D1 - 0.22 მკლ, ასევე საინექციო წყალი, ნატრიუმქლორიდი.

მალამო: 100 გ. მალამო შეიცავს: Arnica D3 - 1,5 გ. Calendula Ø, Hamamelis Ø - შესაბამისად 0,45 გ; Echinacea angustifolia Ø, Echnacea purpurea Ø, Chamomila Ø - შესაბამისად 0.15 გ; Symphytum D4, Bellis perennis Ø - შესაბამისად 0.1გ; Hypericum

D6, Millefolium Ø - შესაბამისად 0,09 გ; Belladonna D1, Aconitum D1 - შესაბამისად 0,05 გ; Mercurius solubilis Hahnemanni D6 - 0,04 გ, Hepar sulfuris D6 0,025 გ. ეთანოლით სტაბილიზირებული ჰიდროფილური მალამო (DAB). 12,5 vol % Ethanol.

ჩვენება:

წვეთები, ტაბლეტები, საინექციო ხსნარი: დაჭიმულობები, ამოვარდნილობები, სისხლჩაქცევები (კანქვეშა და სახსარშიგა), ძვლების მოტეხილობები, ოპერაციის და ტრავმის შემდგომი შეშუპებები, სხვადასხვა ორგანოებისა და ქსოვილის ანთებითი და დეგენერაციული პროცესები, განსაკუთრებით, საყრდენ-მამოძრავებელი აპარატის (ტენდოვაგინიტი, სტილოიდიტი, ეპიკონდილიტი, ბურსიტი, პერიართრიტი), ართროზები, თავის ტვინის მწვავე შერყევები.

მალამო: დაჟეჟილობები, სხვადასხვაგვარი დაზიანებები (სპორტი, სატრანსპორტო შემთხვევა), დაჭიმულობა, მოტეხილობები, კონტუზიები, სისხლჩაქცევები, ანთებითი და დეგენერაციული პროცესები სხვადასხვა ორგანოებსა და ქსოვილებში (პაროდონტიტი, პაროდონტოზი, ღრძილების დაჩირქება), განსაკუთრებით, საყრდენ-მამოძრავებელ აპარატში (ტენდოვაგინიტი, ბურსიტი, მხრის ეპიკონდილიტი), ართროზები.

წინააღმდეგ ჩვენება:

წვეთები, ტაბლეტები: არ გააჩნია.

საინექციო ხსნარი: მომატებული მგრძნობიარობა რთულყვავილოვანთა მიმართ.

მალამო: მომატებული მგრძნობელობა მცენარე არნიკას მიმართ.

გვერდითი ეფექტი:

წვეთები, ტაბლეტები: პრეპარატის მიღება უნდა შეწყდეს მომატებული ნერწყვდენის დროს.

საინექციო ხსნარი: სახსრისშიგა ინექციისას ზოგიერთ შემთხვევაში აღინიშნება სახსრის ტკივილი, რომელიც იხსნება ანთების საწინააღმდეგო თერაპიით; ძალზე იშვიათად მომატებულმა მგრძნობელობამ რთულყვავილოვანთა მიმართ შეიძლება გამოიწვიოს ანაფილაქსიური რეაქციები.

მალამოს ხმარებისას, იშვიათად, კანზე ალერგიული რეაქციებია მოსალოდნელი.

სხვა პრეპარატებთან ურთიერთქმედება:

აღსანიშნავ თავისებურებათა გარეშე.

დოზირება და გამოყენების წესი:

წვეთები: 10 წვეთი 3-ჯერ დღეში, რბილი ქსოვილების შეშუპებისას - 30 წვეთი 3-ჯერ დღეში.

ტაბლეტები: 1 ტაბლეტი 3-ჯერ დღეში ენის ქვეშ დადებით.

საინექციო ხსნარი: 1-3-ჯერ კვირაში, მწვავე შემთხვევებისას ყოველდღე 1-2 ამპულა კუნთში, კანქვეშ, კანში (ნაწიბურების არსებობისას), ვენაში, სასახსრე ჩანთაში და სახსრის გარშემო.

მალამო: დილა-საღამოს ან აუცილებლობისას უფრო ხშირად დაზიანებულ ზედაპირზე შესაზელად. შესაძლებელია ნახვევების დადებაც.

დამატებითი რეკომენდაცია:

პრეპარატი ინიშნება სხვადასხვა სახის ტრავმების, რბილი ქსოვილის რევმატიზმისას, მალთაშუა დისკების და ხერხემლის სხვა დეგენერაციული დაავადებისას, რომელსაც თან ახლავს შესაბამისი ვერტებროგენური სიმპტომატიკა; თავის ტვინის შერყევისას (Vertigoheel-თან ერთად), მწვავე და ქრონიკული ოტიტის, ცხვირის დანამატი ღრუების ანთების, დაჩირქებებით მიმდინარე ანთებებისას, მაგ., საოფლე ჯირკვლების აბსცესის, ფურუნკულების, კარბუნკულების, მასტიტის, პაროდონტოზის, დაჩირქებული ფისტულების, წვივის წყლულის, ეკზემების, ნეიროდერმიტის დროს.

მოცემული პრეპარატი ნაჩვენებია ასევე, სულფიდური ფერმენტების აქტივაციისათვის, მაგ., ალოპათიური მკურნალობის უარყოფითი შედეგების და დეგენერაციული დაავადებებისას; მიოკარდიუმის ინფარქტის შემდგომი თერაპიისას (პროთრომბინის რეგულაცია).

Traumeel S ზემოქმედების მექანიზმი მასში შემავალი მცენარეული და მინერალური კომპონენტების შემდეგი თვისებებით განისაზღვრება:

1. ვერცხლისწყლის შემცველი კომპონენტების მოქმედება ანთებითი და ვირუსული დაავადებებისას;

2. სისხლძარღვების ტონუსის მომატება (Aconitum, Arnica), სისხლძარღვების გამკვრივება (კალციუმი), ვენოზური შეგუბების მოხსნა, თრომბის წარმოქმნის უკუქმედება (Hamamelis), სისხლდენის შეჩერება (Millefolium);

3. უჯრედოვანი სუნთქვის და ჟანგვა-აღდგენითი პროცესების გაუმჯობესება კალციუმის სულფიდის და კალციუმის პოლისულფიდის მეშვეობით (Hepar sulfuris);

4. დიდი დამცველობითი მექანიზმის სტიმულირება;

5. ჭრილობის შეხორცების გააქტივება; შოკური მდგომარეობის დაძლევა ფიტოთერაპიის მეშვეობით (Arnica, Calendula, Echinacea, Symphytum), „ნორმალური და სრულფასოვანი“ ჩირქის წარმოქმნა;

6. ტკივილგამაყუჩებელი ეფექტი (Aconitum, Arnica, Chamomilla, Hamamelis, Hypericum);

7. სისხლდენის შეჩერება (Aconitum, Arnica, Hamamelis (ვენოზური), Hypericum, Millefolium (არტერიული).

Traumeel S ძირითადი მოქმედება:

1. მარეგენერირებელი - ართროზის, მოტეხილობის, ეპიკონდილიტის, სტილოიდიტის, ტენდოვაგინიტისას;

2. ანტიექსუდაციური - რბილი ქსოვილების რევმატიზმის, ტრავმის, ოპერაციის შემდგომი, თავის ტვინის შერყევის შემდგომი, ართროზების, სახსარშიდა და რბილი ქსოვილების ჰემატომების, ტენდოვაგინიტის, ბურსიტის, ოტიტისას;

3. ანთების საწინააღმდეგო - ბურსიტის, ეპიკონდილიტის, სტილოიდიტის, ტენდოვაგინიტის, ოტიტისას.

UBICHINON COMPOSITUM
უბიხინონ კომპოზიტუმი

გამოშვების ფორმა და შეფუთვა:

საინექციო ხსნარი: 2,2 მლ ამპულაში. 5, 10, 50 ან 100 ამპულა შეფუთვაში. ***რეგისტრაციის ნომერი R-0004194.***

შემადგენლობა:

2,2 მლ-იანი 1 ამპულა შეიცავს: Coenzym Q10 D10, Acidum ascorbicum D6, Thiaminchloridhydrochlorid D6, Riboflavin-5`-phosphat mononatriumsalz 2 $H_2O$ D6, Pyrydoxinhydrochlorid D6, Nicotinamid D6, Myrtillus D4, Colchicum D4, Podophyllum D4, Conium D4, Hydrastis D4, Acidum sarcolacticum D6, Hydrochinon D8, Sulfur D8, Trichonoyl D10, Antrachinon D10, 1,4-Naphtochinon D10, para-Benzochinon D10, Adenozin-5`-triphosphat-Dinatriumsalz D10, Coenzym A D10, Galium aparine D6, Acetylsalicylsaure D10, Histamin D10, Nadid D10, Magnesium-D gluconat 2 H_2O D10, α-Liponsaure D8, Manganum phosphoricum D8, Natrium oxalaceticum D8 - შესაბამისად 22 მკლ; ასევე საინექციო წყალი, ნატრიუმქლორიდი.

ჩვენებები:

დამცველობითი მექანიზმის სტიმულირება ბლოკირებული ფერმენტული სისტემის აღსადგენად, ამ ფუნქციის დარღვევის და დეგენერაციული დაავადებებისას (უჯრედული ფაზა).

წინააღმდეგ ჩვენებები:

ფეხმძიმობის და ძუძუთი კვების პერიოდში არ გამოიყენება.

გვერდითი ეფექტები:
არ გააჩნია.
სხვა პრეპარატებთან ურთიერთმოქმედება:
აღსანიშნავ თავისებურებიათა გარეშე.
დოზირება და გამოყენების წესი:
ჩვეულებრივ თითო ამპულა კვირაში 1-3-ჯერ კანქვეშ, კუნთში, კანში, აუცილებლობისას - ვენაში.
დამატებითი რეკომენდაცია:
ალოპათიური თერაპია ახშობს ორგანიზმის ყველა მცდელობას გამოიწვიოს რეგრესული ვიკარიაცია უჯრედული ფაზებისას (მ.შ. დედიფერენციაციის), რომელთაც ჩვენ ხშირად აღვწერთ როგორც ქრონიკულ დაავადებებს. ამასთან, ფერმენტული სისტემები სრულად ბლოკირდება და მათი აღდგენა პრაქტიკულად შეუძლებელია. ბიოლოგიური თერაპია გამოდის ზემოქმედების სხვა პრინციპებიდან, ბლოკირებული ფერმენტული სისტემების სტიმულირებით - კატალიზატორებითა და ახალწარმონაქმნების დეპოლიმერიზაციის პროცესებით (რომლებიც კონდენსაციის და პოლიმერიზაციის პრინციპით ფორმირდება). ამისათვის გამოიყენება სხვადასხვა პოტენცირებული ქინონები, ბიოლოგიური ნივთიერებები, რომლებიც ხელს უშლის ახალწარმონაქმნის გაჩენას (Colchicum, Podophyllum, Conium, Hydrastis, Galium aparine); ამაში დიდ როლს თამაშობს კო-ფერმენტები (კოენზიმ A, ატფ, ნადიდი, ლიმონმჟავა) და მიკროელემენტები, რომელთა გარეშე შეუძლებელია ფერმენტული სისტემების აღდგენა (მაგნიუმი, მანგანუმი);

მნიშვნელოვან როლს თამაშობს ვიტამინები, რომლებიც არა მარტო ავსებს ორგანიზმის ნაკლებობას ვიტამინებით, არამედ ფერმენტებზეც მოქმედებს. ანალოგიურ ქმედებას ახდენს სუის ორგანული პრეპარატები, აადვილებს რა ფერმენტების სინთეზის განსაზღვრულ საფეხურებს. ამ შემთხვევაში ჩნდება დაზიანებულ გენეტიკურ აპარატზე (კიბოთი გამოწვეულ მუტაციაზე) ზემოქმედების შესაძლებლობა.

პრეპარატ Ubichinon compositum-ის მოქმედება ხშირად გამოიხატება ინექციისშემდგომ დაღლილობაში (როგორც Coenzyme compositum, Hepar compositum-ისას), ამის გამო პაციენტებისათვის რეკომენდებულია ძილი, რათა შემსუბუქდეს ფერმენტული ფუნქციების და სისტემების გარდაქმნის პროცესები. მოცემული პრეპარატი იმ დაზიანებათა კომპენსაციისათვის არის

გათვალისწინებული, რომლებიც გამოწვეულია პროგრესული ვიკარიაციით და უჯერედულ ფაზაში გადასვლით (მ.შ. დედიფერენციაციის ფაზაში). ამ შემთხვევაში ეფექტის გასაძლიერებლად დამატებით გამოიყენება Coenzyme compositum, Galium-Heel, Engystol N, Traumeel S, Hepar compositum.

მოცემული პრეპარატი აძლიერებს სხივური თერაპიის მოქმედებას (დასხივებამდე 2 საათით ადრე გაკეთებული ინექცია) და კარგად მოქმედებს კრიტიკული ინტოქსიკაციებისას, მაგ., გრიპის, აბსცესების, კატარებისას (აფონია). მსგავს შემთხვევებში დამატებით ნაჩვენებია Echinacea compositum S.

აუცილებელია აღინიშნოს, რომ B1 ვიტამინის შემცველი პრეპარატების (Ubichinon compositum, Coenzyme compositum, Discus compositum) ვენური ინექციები უნდა ჩატარდეს ძალიან ფრთხილად, რადგან პაციენტების უმრავლესობას, ალოპათიური მკურნალობის შედეგებიდან გამომდინარე, მგრძნობელობა ამ ვიტამინის მიმართ მომატებული აქვთ. ეს შეიძლება მოხდეს მიუხედავად ამ ვიტამინის მაღალი პოტენციებისა, რომელიც არ გამოიყენება შენაცვლებადი თერაპიისათვის.

რადგან ეს პრეპარატი შეიცავს ვიტამინებს, მისი კანქვეშა და კანშიდა ინექციებისას შეიძლება შეინიშნებოდეს მცირე ტკივილი და წვა.

VALERIANAHEEL®
ვალერიანაჰელი

გამოშვების ფორმა და შეფუთვა:

წვეთები: საწვეთურიან ფლაკონში 30 მლ ან 100 მლ. *რეგისტრაციის ნომერი R-0004244.*

შემადგენლობა:

100 გ (110 მლ) შეიცავს: Valeriana Ø - 65 გ, Lupulus ქ, Crataegus Ø, Hypericum D1 - შესაბამისად 5 გ, Melissa Ø - 3 გ, Chamomilla Ø, Avena sativa Ø - შესაბამისად 2 გ, Acidum picrinicum D5 - 10 გ; Kalium bromatum D1, Ammonium bromatum D1, Natrium bromatum D1 - შესაბამისად 1 გ.

ჩვენება:

სედატიური საშუალება მოუსვენრობის, შფოთვის, ნევრასთენიული მდგომარეობებისას.

წინააღმდეგ ჩვენება:

არ გააჩნია.

გვერდითი ეფექტი:
არ გააჩნია.
სხვა პრეპარატებთან ურთიერთქმედება:
აღსანიშნავ თავისებურებათა გარეშე.
განსაკუთრებული შენიშვნა:
მოქმედებს დამამშვიდებლად, არ ახდენს გავლენას სატრანსპორტო საშუალებათა მართვის უშიშროებაზე.
დოზირება და გამოყენების წესი:
ჩვეულებრივ - 15 წვეთი 3-ჯერ დღეში. საღამოს 25 წვეთი. ჩვილი და უმცროსი ასაკის ბავშვებისთვის 2-დან 6 წლამდე - 5 წვეთი, 6-დან 12 წლამდე - 10 წვეთი.
დამატებითი რეკომენდაცია:
Valerianaheel ინიშნება როგორც ბრომის შემცველი (3:1000) მცენარეული დამამშვიდებელი საშუალება. შიშის გრძნობების, მოუსვენარი მდგომარეობების, ტკივილებისას - კბილების ამოჭრის დროს ბავშვებში, სხვადასხვაგვარი უძილობისას, მ.შ., რაიმე დაავადებით გამოწვეული უძილობისას; კლიმაქტერიული ნევროზებისას უძილობის თანხლებით (Cralonin და Klimakthcel-თან ერთად).
პრეპარატი ნაჩვენებია, აგრეთვე, ცხელების და მწვავე ინფექციური დაავადებისას უძილობის თანხლებით (Gripp-Heel, Bryaconeel, Traumeel S-თან ერთად).
პრეპარატის მიღებისას არ აღინიშნება მძიმე ნარკოტიკული ან ტოქსიკური გვერდითი ეფექტები. იგი დამამშვიდებლად მოქმედებს და არ ახდენს გავლენას სატრანსპორტო საშუალებათა მართვის უშიშროებაზე.
Valerianaheel-ის მოქმედება შეიძლება გაძლიერებულ იქნეს სხვა ნაჩვენები ბიოლოგიური პრეპარატებით, მაგ., - Nux vomica-Homaccord, Hepeel - ღვიძლის ფუნქციის დარღვევის შედეგად გამოწვეული უძილობისას (მჟავების მომატებული გამოყოფისას ღამის 2-დან 6 საათამდე, შემდგომი დაღლილობით დილით – გამოღვიძების შემდეგ).

VERTIGOHEEL®
ვერტიგოჰელი

გამოშვების ფორმა და შეფუთვა:
ტაბლეტები: 50 ან 250 ტაბლეტი შეფუთვაში. *რეგისტრაციის ნომერი SNIP-000259.*
საინექციო ხსნარი: 1,1 მლ ამპულაში. 5, 10, 50 ან 100

ამპულა შეფუთვაში. *რეგისტრაციის ნომერი SMP-000259.*

შემადგენლობა:

ტაბლეტები: 1 ტაბლეტი შეიცავს: Anamirta Cocculus D4 - 210,0 მგ; Conium maculatum ex herba recent D3; Ambra grisea D6; Petroleum rectificatum D8 - შესაბამისად 30 მგ; ასევე Lactose-Monohydrat და Magnesiumstearat.

საინექციო ხსნარი: 1,1 მლ-იანი (=1.1გ) 1 ამპულა შეიცავს: Conium maculatum D2; Ambra grisea D5; Petroleum rectificatum D7 - შესაბამისად 1.1 მგ. Anamirta cocculus D3 -7.7 მგ. ასევე საინექციო წყალი, ნატრიუმქლორიდი.

ჩვენება:

სხვადასხვა გენეზისა და ხასიათის თავბრუსხვევები (განსაკუთრებით, ათეროსკლეროზის შედეგად გამოწვეული).

წინააღმდეგ ჩვენებები:

არ გააჩნია.

გვერდითი ეფექტები:

არ გააჩნია.

შენიშვნა: პრეპარატი თავსებადია ალკოჰოლთან და არ იწვევს სედატიურ ეფექტს (არ მოქმედებს ტრანსპორტის მართვის დროს მოძრაობის უსაფრთხოებაზე და ა. შ.).

სხვა პრეპარატებთან ურთიერთქმედება:

აღსანიშნავ თავისებურებათა გარეშე.

დოზირება და გამოყენების წესი:

ტაბლეტები: ჩვეულებრივ ერთი ტაბლეტი ენის ქვეშ 3-ჯერ დღეში. ძლიერი თავბრუსხვევის და ღებინებისას იწყებენ ერთი ტაბლეტით 15 წუთში ერთხელ არა უმეტეს 2 საათისა.

საინექციო ხსნარი: ძლიერი თავბრუსხვევის და ღებინებისას ყოველდღე, ჩვეულებრივ 1-3-ჯერ კვირაში ერთი ამპულა კანქვეშ, კუნთში, კანში, ვენაში.

დამატებითი რეკომენდაცია:

მოცემულ პრეპარატში შემავალი კომპონენტები Anamirta cocculus, Ambra, Petroleum ახდენს კომპლექსურ პოტენცირებულ ზემოქმედებას (ბიურგის პრინციპი) და იწვევს უკუეფექტს (არნდტ-შულცის პრინციპი).

ძირითად თერაპიულ ეფექტს ახდენს არა მარტო მიკროელემენტები - სულფატები, აცეტატები, ქლორიდები, ფოსფატები და კალციუმის, კალიუმის, რკინის, მაგნიუმის და მანგანუმის ნიტრატები, რომელთაც Conium შეიცავს, არამედ პირველი სინთეზირებული

ალკალოიდი - კონიინი, პროპილპიპერიდინი (ფორმულა $C_8H_{17}N$).

Anamirta cocculus-ში შემავალი პიკროტოქსინი ასტიმულირებს ცენტრალური ნერვული სისტემის მოქმედებას. ის ზემოქმედებს თავის და ზურგის ტვინზე, ააქტივებს ადრენალინის სეკრეციას და Conium-ის ეფექტს.

Ambra-ში შემავალი ქოლესტერინის მსგავსი არომატული შენაერთები - ამბრაინი და Petroleum-ში (გულისრევა, მოძრაობის შედეგად გამოწვეული ღებინება) შემავალი ნახშირწყლები ავსებს პრეპარატის ზოგად მოქმედებას.

Vertigoheel ინიშნება სხვადასხვა წარმოშობის თავბრუსხვევების და მენიერის სინდრომისას (თავბრუსხვევა, გულისრევა, ყურებში შუილი), ნერვულ ნიადაგზე ან ათეროსკლეროზული ცვლილებებით წარმოშობილი თავბრუსხვევებისას ჰიპერტენზიით და მის გარეშე; თავის ტვინის მწვავე შერყევის და მისი შემდგომი თერაპიისას.

VIBURCOL® N
ვიბურკოლი ნ

გამოშვების ფორმა და შეფუთვა:

სანთლები: 1,1 გ. 12, 60 ან 120 სანთელი შეფუთვაში.
რეგისტრაციის ნომერი R-0004228.

შემადგენლობა:

1 სანთელი (=1.1გ) შეიცავს: Chamomilla D1, Belladonna D2, Plantago major D3 - შესაბამისად 1,1 მგ; Pulsatilla D2 - 2,2 მგ; Calcium carbonicum Hahnemanni D8 - 4,4 მგ. ასევე შემადგენელი კომპონენტია: მყარი ცხიმი.

ჩვენება:

სანთლები ჩვილებისათვის და აგზნებულ მდგომარეობაში მყოფი ბავშვებისათვის ცხელებით და მის გარეშე; სხვადასხვა უბრალო ინფექციების სიმპტომატური მკურნალობა.

წინააღმდეგ ჩვენება:

არ გააჩნია.

გვერდითი ეფექტი:

არ გააჩნია.

სხვა პრეპარატებთან ურთიერთქმედება:

აღსანიშნავ თავისებურებათა გარეშე.

დოზირება და გამოყენების წესი:

თუ სხვა დანიშნულება არ არის - მწვავე შემთხვევებისას 1 სანთელი სწორ ნაწლავში შეყვანით რამდენიმეჯერ - მდგომარეობის

შემსუბუქებამდე. შემდეგ 1 სანთელი 2-3-ჯერ დღეში. 6 თვემდე ჩვილთათვის მაქსიმალური დოზაა - 1 სანთელი 2-ჯერ დღეში.

დამატებითი რეკომენდაცია:

Viburcol ნაჩვენებია სხვადასხვაგვარი მოუსვენრობის და შფოთვის მდგომარეობისას - სიცხით და მის გარეშე; აგზნებული მდგომარეობის, გუნებაგანწყობის სწრაფი მონაცვლეობის და უძილობისას; თერაპიული ჩარევების წინ და მის შემდეგ.

პრეპარატი გამოიყენება მოუსვენრობის, შფოთვის, სიცხის, ანთების, ფსიქიკური მოშლილობის სიმპტომურ თერაპიაში.

ცხელებისას პრეპარატი აქვეითებს ტემპერატურას და აქვს ლიტიკური ზემოქმედება, სისხლის მიმოქცევის ჰიპოტონურ დარღვევათა გამოწვევის გარეშე. პრეპარატი შეიძლება გამოყენებულ იქნეს, აგრეთვე, ბავშვთა საჭმლის მონელების დარღვევათა სიმპტომატური თერაპიისათვის, განსაკუთრებით, მეტეორიზმის დროს. Chamomilla-ას შემცველობის გამო პრეპარატს შეუძლია კრუნჩხვების მოხსნა.

სანთლები ახდენს სწრაფ ანტიჰომოტოქსიკურ თერაპიულ ეფექტს არნდტ-შულცის წესის შესაბამისად; პრეპარატის მოქმედება განისაზღვრება ანტიჰომოტოქსიკური დეზინტოქსიკაციური ეფექტით, რომლის დროს აქტიურდება დიდი დამცველობითი სისტემა და ძლიერდება ფერმენტული ქმედითობა (ჰომოტოქსინების შებოჭვა).

ZEEL® T
ცელ ტ

გამოშვების ფორმა და შეფუთვა:

ტაბლეტები: შეფუთვაში 50 ან 250 ტაბლეტი. ***რეგისტრაციის ნომერი R-0003028.***

საინექციო ხსნარი: 2,2 მლ ამპულაში. 5, 10, 50 ან 100 ამპულა შეფუთვაში. ***რეგისტრაციის ნომერი R-0003026.***

მალამო: 1 ტუბში 50 გ და 100 გ. ***რეგისტრაციის ნომერი R-0003027.***

შემადგენლობა:

ტაბლეტები: 1 ტაბლეტი შეიცავს: Cartilago suis D4, Funiculus umbilicalis suis D4, Embryo suis D4, Placenta suis D4 შესაბამისად 0,3 მგ; Rhus toxicodendron D2 - 0,54 მგ; Arnica montana D1 - 0,6 მგ; Solanum dulcamara D2 - 0,15 მგ; Symphytum officinale D8 - 0,15 მგ; Sanguinaria canadensis D3 0,45 მგ; Sulfur D6 - 0,54 მგ; Nadidum D6, Coenzym A D6, Acidum α-liponicum D6,

Natrium Diethyloxalaceticum D6 - შესაბამისად 0,03 მგ; Acidum silicicum D6 - 3 მგ. ასევე Lactose - 300 მგ.

საინექციო ხსნარი: 2,2 მლ-იანი 1 ამპულა შეიცავს: Cartilago suis D6, Embryo totalis suis D6, Placenta suis D6, NAD D8, Coenzym A D8 aquos, Acidum α-liponicum D8 aquos - შესაბამისად 2 მგ. Solanum Dulcamara D3, Symphytum officinale D6, Rhus toxicodendron D2 - შესაბამისად 10 მგ. Arnica montana D4 - 200 მგ; Sulfur D6 3,6 მგ; Sanguinaria canadensis D4 3 მგ; ასევე საინექციო წყალი, ნატრიუმქლორიდი.

მალამო: 100 გ შეიცავს: Cartilago suis D2, Funiculus umbilicalis suis D2, Embryo suis D2, Placenta suis D2 - შესაბამისად 0,001 გ; Rhus toxicodendron D2 - 0,27 გ; Arnica montana D2 - 0,3 გ; Solanum dulcamara D2 - 0,075 გ; Symphytum officinale D8 - 0,75 გ; Sanguinaria canadensis D2 0,225 გ; Sulfur D6 - 0,27 გ; Nadidum D6, Coenzym A D6, Acidum α-liponicum D6. Natrium diethyloxalaceticum D6 - შესაბამისად 0,01 გ; Acidum silicium D6 - 1 გ. ეთანოლით სტაბილიზირებული ჰიდროფილური მალამო 12,9 vol % Ethanol.

ჩვენება:

ართროზები (კერძოდ გონართროზები, პოლიართროზები, სპონდილართროზები, მხარ-ბეჭის სახსრის პერიართრიტი).

წინააღმდეგ ჩვენება:

ტაბლეტები: მომატებული მგრძნობელობა Rhus toxicodendron-ის შხამის მიმართ.

საინექციო ხსნარი: მომატებული მგრძნობელობა Rhus toxicodendron-ის და რთულყვავილოვანთა მიმართ.

მალამო: მომატებული მგრძნობელობა არნიკის მიმართ; არ გამოიყენება Rhus toxicodendron-ის და მალამოს სხვა კომპონენტების მიმართ მომატებული მგრძნობელობისას.

გვერდითი ეფექტი:

საინექციო ხსნარის გაკეთებისას ზოგიერთ შემთხვევაში შეიძლება აღინიშნოს სახსრების ტკივილი, რომელიც იხსნება ანთების საწინააღმდეგო თერაპიით. რთულყვავილოვანთა მიმართ განსაკუთრებული მგრძნობელობისას, ინექციების შემთხვევაში, მოსალოდნელია ანაფილაქსიური რეაქციები; იშვიათ შემთხვევაში აღინიშნება კანის რეაქციები მალამოს გამოყენების შემდეგ.

სხვა პრეპარატებთან ურთიერთქმედება:

აღსანიშნავ თავისებურებათა გარეშე.

დოზირება და გამოყენების წესი:

